ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№205 (264) 29 იანვარი – 5 თებერვალი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სააკაშვილის გედის სიმღერა...

(2013 წლის 20 იანვრიდან, საპრეზიდენტო ხუთწლიანი ვადის გასვლის გამო, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარაა. იგი, უბრალოდ, მოქალაქე სააკაშვილია)

როგორც იტყვიან, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას მოხსნა პირი გუდას მაშინ ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა და, თანაც როგორ მოხსნა! ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი რომ არ იყოს, მისი გამოსვლიდან გამომდინარე, გაიფიქრებდი – სკლეროზი მოერია, აღარ ახსოვს თავისი ახლო წარსულის შავ-ბნელი საქმეები და ამიტომ ჭიკჭიკებს ასეთი ამაღლებული განწყობითო.

ამ დროს კი, პროკურორებისა და მოსამართლეების მაგიდები ჩაზნექილია იმ პოლიტდევნილებისა თუ სხვა უდანაშაულოდ დაპატიმრებული პირების საპროტესტო განცხადებებით, სადაც ისინი მოითხოვენ მათი სისხლის სამართლის საქმეების თავიდან განხილვას.

“საქართველო უკვე მეორედ მიდის მოჯადოებულ წრეზეო”, განუცხადა სააკაშვილმა ქუთაისელ სტუდენტებს. ან გაუგონრად უტიფარი უნდა იყოს ადამიანი, ან სულელებად უნდა მიაჩნდეს მთელი ქართველი ერი, ამგვარი განცხადება რომ გააკეთოს იმ პოლიტიკურმა ავანტიურისტმა, რომელმაც მართლაც დიქტატურის მოჯადოებულ წრეზე გაყვანა მოუნდომა სრულიად საქართველოს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. სამწუხაროდ, დარბაზში არ აღმოჩნდა სტუდენტი, რომელიც სათანადო შეკითხვას დაუსვამდა ამ გათავხედებულ ნადიქტატორალს, მაგრამ არცაა გასაკვირი – სტუდენტთა აუდიტორია ხომ საგანგებოდ იყო შერჩეული იმ დამონებული არსებებისაგან, რომელნიც გარკვეული საზღაურის ფასად უჭერენ მხარს ყოველგვარ პოლიტიკურ უმსგავსოებას!

ძნელი განსაჭვრეტი არაა, თუ როგორი მისწრაფებების მქონე **“პატრიოტებს”** მივიღებთ ამ საგანგებოდ შერჩეული აუდიტორიისაგან. განა შევარდნაძემაც ასეთი **“რუდუნებით”** არ შეარჩია ის გადაჯიშებული ახალგაზრდები, **“რეფორმატორებად”** რომ მოუვლინა შემდეგ საქართველოს? თუ სააკაშვილს თავისი ბოროტი იდეების გახმოვანების საშუალება მივეცით, უეჭველია, რომ ისიც ედუარდ შევარდნაძესავით დაგვიტოვებს უმძიმეს პოლიტიკურ მემკვიდრეობას!

და ყოველივე ეს ქუთაისში ხდებოდა იმის მეორე დღეს, როცა სააკაშვილმა, საქართველოს ეკლესიის პატრიარქის ილია მეორის თანდასწრებით **“გულწრფელად”** გაუწოდა **“კოჰაბიტაციის”** ხელი საქართველოს ახალ ხელისუფლებას. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქართული საზოგადოება, რომ კაპიკია დაშნაკი სომეხი რეაქციონერის სააკაშვილის სიტყვა, რომ ავადსახსენებელი **“ნაცები”** და **“ქართული ოცნება”** ისევე ვერ იარსებებენ ერთად, როგორ ერთად ვერ შეიყრებიან დღე და ღამე. ამიტომ, აუცილებელია, რომ კუნაპეტ ღამედ ქცეული ნაცები სასწრაფოდ ჩამოშორდნენ ქართული პოლიტიკის ცისკიდურს!

მიხეილ სააკაშვილის სიტყვასა და საქმეს ისევე ვერ ენდობა ადამიანი, როგორც ვერ ენდობა შხამიან ასპიდს! აქ უკვე საუბარია არა მხოლოდ ელემენტარულ პოლიტიკურ კულტურაზე, რომელიც საერთოდ არ გააჩნიათ სააკაშვილსა და მის პოლიტიკურ დამქაშებს, არამედ ელემენტარულ ადამიანურ დადებით თვისებებზე, რომელიც ასევე არ გააჩნიათ ქართული პოლიტიკიდან სამარცხვინოდ გაძევებულ სააკიანც-დარჩიევ-ბოკერიებს თუ ჩიორა-ხერხეულიძე-ოჩიაურებს... თუმცა, ამაზე ოდნავ ქვემოთ...

შემდეგ ქუთაისში საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობისა და საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობით გაიმართა განხილვა საკითხისა – უნდა დარჩეს თუ არა საქართველოს პარლამენტი ქუთაისში?

ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, პარლამენტის თბილისში დაბრუნებას სწორედ სააკაშვილისა და მისი ბანდისაგან გაბრიყვებული ის ქართველები ეწინააღმდეგებიან, რომელთაც არ იციან, საერთოდ, ვის მიერ და როდის დაისვა არა მხოლოდ სახელისუფლებო სტრუქტურების, არამედ საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის საკითხი. ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ ჯერ კიდევ 1922 წლის მაისში (ვიდრე ლენინი ჯერ კიდევ შრომისუნარიანი ავადმყოფი იყო) საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანის მოთხოვნით ლენინს წერილობით მიმართეს ცნობილმა სომეხმა რევოლუციონერებმა სტეფანე შაუმიანმა და აღასი ხანჯიანმა: მალე ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნება და უმჯობესი იქნება ამიერკავკასიის დედაქალაქად სწორედ თბილისი გამოვაცხადოთო. სომეხთა ჩანაფიქრი საკმაოდ **“ჭკვიანური”** და, ამავე დროს, საკმაოდ მზაკვრული გახლდათ: საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანით ისინი იოლად მოახერხებდნენ სომეხი მოსახლეობის გადმოსახლებას აღმოსავლეთ საქართველოში და, აქედან გამომდინარე, მის სრულ გასომხებას. მაშინ დაშნაკების ამ ვერაგულ ჩანაფიქრის აღსრულებას წინ აღუდგა იოსებ სტალინი, რომელმაც შესძლო დაერწმუნებინა ლენინი ამ გეგმის მიუღებლობაში.

– ახლახან დამთავრდა 1918 წელს დაწყებული სომხეთ-საქართველოს ომი, სწორედ რომ ახლახან (1915 წელს) ჩატარდა სომხების მასიური ხოცვა-ულეტვა თურქების მიერ, ამიტომ, დიდი რაოდენობის სომხების, მუსულმანებისა და ქართველების ერთ ქალაქში თავმოყრამ შეიძლება სისხლისღვრის ახალ კამპანიის პროვოცირებამდე მიგვიყვანოსო, – უთხრა მაშინ სტალინმა ლენინს, რაც არ გახლდათ ჭეშმარიტებას მოკლებული.

თუმცა, მაშინაც იყვნენ მოკალათებული საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ის გადაგვარებული ქართველები – ტოროშელიძეები, მახარაძეები, ორჯონიკიძეები, ცხაკაიები, მდივნები, რომლებიც არ დასჯერდნენ საქართველოდან მისი ძირძველი კუთხის ჰერეთის ჩამოცილებას და ახლა, სომხურ ბოდვით იდეებს ბრმად თუ შეგნებით აყოლიებულნი, მზად იყვნენ, რომ თბილისი ამიერკავკასიის დედაქალაქად გამოეცხადებინათ.

ალბათ ამიტომაც გვეძახიან რეაქციონერი სომხები **“გიჟ-ვრაცუას”** (შეურაცხად ქართველებს).

მაგრამ, მაშინ კიდევ ერთხელ გადაგვარჩინა მაშინ ღმერთმა! უფრო სწორად, მაშინ საქართველო გასომხებას იოსებ სტალინმა გადაარჩინა, მოგვიანებით კი ლავრენტი ბერიამ კიდევ უფრო გააძლიერა ლამის ერთიანად გასომხებულ აღმოსავლეთ საქართველოში ქართული სული და, როგორც ამბობენ, თბილისის ქართული მოსახლეობის რიცხვი დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებული ქართველებით შეავსო!

სწორედ ამიტომ შეიძულა ლავრენტი ბერია აღმოსავლეთ საქართველოს აშკარად არაქართულმა მოსახლეობამ, რომელიც საიმედოდ არის ამოფარებული ქართულ გვარ-სახელებს!

არსებობს ძველებური ინგლისური გამოთქმა: **“ამ ადამიანს ისეთი რა სიკეთე გავუკეთე, ასეთ დაუძინებელ მტრად რომ მექცაო”!**

ჩვენ ვიცით, თუ რატომ მოეკიდა ბერიას ასე მტრულად საქართველოს არაქართული მოსახლეობა.

იმიტომ, რომ საქართველოში ქართველთა შევიწროების პროცესები ლამის 80 წლით დამუხრუჭდა.

მაგრამ მალე საქართველოს ავბედითად დააწვა პირწავარდნილი კარიერისტისა და პოლიტიკური ავანტიურისტის ედუარდ შევარდნაძის აჩრდილი, რომელსაც ქართველები იმიტომ ეზიზღებოდა, რომ საკუთარი კარიერის ორგანიზებაში, რომელიც ქართველი ხალხის პოლიტიკური და ეთნიკური შევიწროების ხარჯზე ჰქონდა დაგეგმილი, ქართული საზოგადოება ღიად არ უცხადებდა მას ნდობას!

გავიხსენოთ თუნდაც ასეთი ფაქტი: როცა შევარდნაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე გაძვრა, მას უკვე ჰქონდა შემუშავებული ქართველი პატრიოტის, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის, უდავოდ პატიოსანი პიროვნების ვასილ მჟავანაძის დისკრედიტირებისა და მისი თანამდებობის დაუფლების გეგმა, რომლის განხორციელება, როგორც შს მინისტრს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ კომპრების შეგროვებას ქართველებს მაინც არ ანდობდა. ამიტომ, მან, ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობიდან მოხსნა გულმართალი ქართველი კაცი და იგი სომეხი ეროვნების მარლენ ულუხანოვით შეცვალა, რომელმაც წამსვე გაავსო სამინისტროს კანცელარია სომეხი თანამშრომლებით.

მოგვიანებით კი, როცა შევარდნაძემ ბანდიტების ხელით დაამხო ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება და თავად დაეუფლა ქვეყნის მართვის სადავეებს, კვლავ სომხებს მოუყარა თავი და ერთ-ერთი ვირთხა – მოხეილ სააკაშვილი თავის შემცვლელადაც კი მოგვივლინა.

სწორედ ამ დღიდან დაატყდა თავს საქართველოს ახალი უბედურებების ტალღა.

ყველაზე დიდი უბედურება კი ის გახლავთ, რომ თურმე ჩვენს საყვარელ ქუთაისს კვლავაც ყვავ-ყორნებად დაჰყარყაშებენ ახალი ყაიდის ტოროშელიძეები, მახარაძეები, ორჯონიკიძეები და სხვა ავსულები, რომლებიც ვერ გრძნობენ გადამთიელთა მიერ შემოგდებულ სატყუარას და ყოველგვარი სიცრუისა თუ ყალბი პატრიოტული პათოსის მოშველიებით ცდილობენ ქუთაისში საქართველოს პარლამენტისა და შემდეგ კი დედაქალაქის დამკვიდრების იდეის ლობირებას.

ღმერთო, შენ აუხილე თვალები უნებლიედ თუ ნებსით დაბრმავებულ და ფულზე სულგაყიდულ იმ ვაი-ქართველებს, რომლებიც საკუთარი ყოფითი გაჭირვებიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზა მხოლოდ ქუთაისის გადედაქალაქებაში ხედავენ!

ეს არ გახლავთ მხოლოდ ქუთაისლების პრობლემა, ეს სრულიად საქართველოს პრობლემაა, თანაც, მეტად საფრთხილო და საბედისწერო!

ამასობაში კი, კუთხეში მიმწყვდეულმა პოლიტიკურმა ვირთხამ – მოქალაქე სააკაშვილმა, იგრძნო რა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის საპროტესტო განწყობა მისი უდღეური და ყოვლად უმსგავსო მმართველობის მიმართ, საჯაროდ განაცხადა თავისი რეზიდენციის ზუგდიდში გადატანის თაობაზე, რითაც, ქუთაისის პოლიტიკური კრიზისის პარალელურად კიდევ ერთ – ზუგდიდის მოსალოდნელ უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისს ჩაუყარა საფუძველი!

სამეგრელო, როგორც აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთი ძლიერი რგოლი, დღეს, განსაკუთრებით ფაქიზ მიდგომას საჭიროებს და მინდა გავაფრთხილო ძმები მეგრელები, რომ ძალაუფლების დაკარგვის შიშით გათანგული პოლიტიკური მძორის, მოქალაქე სააკაშვილის სამეგრელოში შეშვება პრეზიდენტის რანგში, რომელიც იგი უკვე აღაარა 2013 წლის 20 იანვრის შემდეგ, ახალი სისხლისღვრის რეალურ საფრთხეს შექმნის, რაც შეიძლება საქართველოს შუაზე გახლეჩვის წინაპირობად იქცეს. ნუთუ აღარ მოგწყინდათ ამ ცრუპენტელა მხდალი ავანტიურისტისა და პოლიტიკური დემაგოგის ყბედობის მოსმენა, რომელიც კიდევ უფრო გვაშორებს საქართველოდან მისივე ძალისხმევით ჩამოცილებული ტერიტორიების შემოერთების სანუკვარ მიზანს?

ერთხელ ხომ მწარედ მოვტყუვდით, როცა შევარდნაძის სიძულვილით გონებაამღვრეულებმა ვირწმუნეთ მიშას და სანდრას მეგრულად **“ჭუკჭუკის”** და შესრულებული მეგრული სიმღერებისა, გზა გავუკაფეთ მას საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში, რაც შემდეგ მძიმე ტვირთად ექცა სრულიად საქართველოს?

გაიხსენეთ: **“ცხელი რძით პირდამწვარი დოსაც კი სულს უბერავდაო”!**

ერთხელ მოტყუებულები მეორედაც ნუღარ მოვატყუებინებთ თავს ამ არარაობას!

მოითხოვეთ, რომ სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ბაზაზე შეიქმნას ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც აიღებს არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ სრულიად საქართველოს პოლიტიკური კრიზისისაგან დახსნის პასუხისმგებლობას, რომელსაც შეეძლება დიალოგის წარმოება მეზობელ რუსეთთან და ჩვენს მოძმე აფხაზებთან და ოსებთან!

თქვენს ხომ ძალიან კარგად იცით, რომ სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** დღეს გააჩნია ამის პოლიტიკური ნებაც, პროგრამაც და სათანადო რესურსიც!

გაიხსენეთ თუნდა სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ლიდერის, ცნობილი პოლიტიკოსის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შექმნილი პროგრამა: **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა”.**

სხვა რომელ პოლიტიკურ ძალას აქვს შემუშავებული ასეთი სრულყოფილი და ყოვლისმომცველი სახელმწიფო-საპროგრამო დოკუმენტი?

არავის!

ნუთუ ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდით, რომ მოქალაქე სააკაშვილი მხოლოდ გვაშორებს საქართველოს გაერთიანების იდეას და გეოგრაფიული დაშლისაკენ მიჰყავს ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო?

მოდით, გადაწყვეტილება მივიღოთ ცივი გონებით და არა ლაფშმორღვეული მოქალაქე სააკაშვილის უტიფარი, სიცრუით უხვად გაჯერებული ტირადებით გამოწვეული ემოციებით, რომელსაც არასოდეს მოიუტანია სიკეთე საქართველოსა და ქართველი ერისათვის!

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს
აკადემიების ნამდვილი წევრი

მოგზაურობანი

სარწმუნოება სამურზაყანოელ მწყემსისა. – მიქამ-ბარიო. – მთის წყალი. – ჩაქუხა. – წყალში ბანაობა აკრძალულია. – მიქამ-ბარიოსტობა. – მთა და თაყვანისცემა. – ნაშთი ასტროლატრიისა. – ჯუჯა ხალხი და ადამიანის გაჩენა.

მწყემსის ფანტაზიამ იქამდეც მიაღწია, რომ მიქელ-გაბრიელი ხორციელჰქმნა, დაიახლოვა, როგორც კარგი მეგობარი და მფარველი. აქაურ მწყემსებში დაცულია ერთი თქმულება მიქელ-გაბრიელსა და მწყემსზე. როგორც ამ თქმულებიდან დაინახავს მკითხველი, მიქელ-გაბრიელი მწყემსთან მიდის, როგორც მეზობელი ვინმე. ელაპარაკება, იხსნის გაჭირვებისაგან, აფრთხილებს მოსალოდნელი ხიფათის დროს, სახლ-კარს უშენებს, ფულებს აძლევს, მის ყანაში ღვთის თვალს ატრიალებს, ერთი სიტყვით ანიჭებს ყოველივე საააქაო სიკეთეს, რის ნატვრაც კი შეუძლია მწყემსსა. აი, თვით თქმულებაცა.

მწყემსი ვინმე იყო სამურზაყანოში, უთვალავი ცხვრის პატრონი. გავიდა ზაფხული, მთაში ყოფნის დრო. მზეს სითბო მოაკლდა, სიცივე დაიჭირა. მწყემსმა თაყვანი სცა მთასა (აქაური მწყემსები მთას თაყვანს სცემენ, როგორც უზენაეს არსებასა), დაირეკა ცხვარი და ცოტა არ იყოს, სიხარულით დაადგა ბარის გზასა. ჯერ ისევ შიშველზე (**"შიშველს"** მთაში მწყემსები ისეთ მთას ეძახიან, სადაც ბალახის მეტი სხვა მცენარე არ არის) რომ დასადამოჟამდა, წამოვიდა ბოლქვა-ბოლქვად ნისლი, ეს იყო განუყრელი ამხანაგი მთისა და საშინელი მტერი მწყემსისა, შიგ გაჰხვია ყველაფერი, გაჰხვია მწყემსების საყვარელი ცხვარიცა. შავი ღრუბლებით დაიხუნძლა ცა. იელვა, ქუხილი მიემატა გულშემზარავი. ცამ პირი მოიხსნა, კოკისპირული დაუშვა, თითქოს წარღვნას უქადის ქვეყანასაო. მწუხარებით გაიწურა გული მწყემსისა, განსაცდელში ჩავარდა. კვნესითა და ნამდვილი მწყემსურის, მშობლიური გულისტკივნეულობით თავი მოუყარა ერთად, დაეყრდნო თავის ლაბაშასა (მთის ჯოხი მწყემსისა, ბოლო რკინითა აქვს მოჭედილი) და შეეცადა ფარისათვის ერთიანად შეეხედნა. იქნებ უკანასკნელად ვხედავ ჩემს ცხვარსაო, იქნება (ღმერთო, მტრის გულისას ნუ გამხდიო!) მთლად შთანთქას აბობოქრებულმა ბუნებამ, ერთიც არ გადამირჩინოსო, იქნება მეც თან გადამიტანოსო... იქნება, გადავრჩე ცოცხალი, მაგრამ რაღად მინდა სიცოცხლე ჩემი ცხვრის შემდეგ, რად მინდა უბედური თავი უიმათოდ, რა გემო ექნება ეულს სიცოცხლესა? არა, თუ დაღუპვა უწერია ჩემ ცხვარსა, ისევ იმათთან ერთად მეც მიმიბაროს ჩემი მთის ცივმა არვაშებმა (ხრამებმა). ელვასავით გაურბინა ამ მწარე, ნაღველში ნალესმა ფიქრებმა და თავის უკანასკნელ სახსარსა და ნუგეშს მიმართა. შეევედრა მთასა, მთის გამჩენ ღმერთსა: მიხსენ გაჭირვებისგან, ნუ დამიღუპავ ამ წვითა და დაგვით, შვილსავით ნაზარდს და ნაამაგევს ცხვარსაო. თუ ცოცხალს გადაგვარჩენ, ილორის წმინდა გიორგის კართან მივალ და ზვარაკს შემოვწირავ შენს სახელსაო.

ბუნება ბობოქრობდა. თითქო უფრო უმატა სიმკაცრესაო. სასო წარეკვეთა მწყემსსა. მოეშვა სულითა და ხორცითა. უკანასკნელად შეევედრა თავის მფარველსა – მთავარანგელოზს მიქელ-გაბრიელს: **"ერთი თეთრი ვერძი, ერთი კრავი შენთვის შემომივლია, ოღონდ, ჩემო მფარველო, ჩვენო მხსნელო, გვიხსენ ამ გაჭირვებისაგან შენი სახელის სადიდებლად".**

უცბად, იმავ სისწრაფით, რა სისწრაფითაც გაავდრდა, გამოისარკა, ღრუბლები გადიყარა ცამა, თითქო არც კი ყოფილა როდისმეო. სალი კდლე გაშრა, უმთვარო ცა მოიკირწყლა ციმციმა ვარსკვლავებითა. ჩამოვიდა მწყემსი სამშვიდობოს, გულდამშვიდებული დაბანაკდა და ცხვრის კრეჭის თადარიგს შეუდგა.

მეორე დილას სამმა ანგელოზმა გაიარეს მის ბინაზე. თურმე ბინა მწყემსს ანგელოზების სავლელ გზაზე დაედგა. ეწყინათ. წავიდნენ ღმერთთან და შესჩივლეს: მწყემსს მოუკალათნია ჩვენს სავლელ გზაზედა და ცხვრის გაკრეჭას აპირებსო. ღმერთმა უბრძანა: მოსთხოვეთ დაპირებული ზვარაკიო.

მოვიდნენ ანგელოზები და მწყემსთან და უთხრეს:

– ღმერთი დაპირებულ ზვარაკსა გთხოვსო.

მწყემსმა შორს დაიჭირა სიტყვა:

– მე მთავარ-ანგელოზ მიქელ-გაბრიელს დავპირდი ვერძსა და კრავსა და კიდევაც შევწირავ. ვენაცვალე მის სახელსა, ვერძი და კრავი კი არა, მთელი ფარა რომ მთხოვოს, ყველაფერს თავს შემოვავლებ!

ანგელოზები ხელცარიელი დაბრუნდნენ. შესჩივლეს ღმერთს მწყემსის ურჩობა. ღმერთმა უბრძანა:

– თუ ორ დღეში არ აიყაროს მანდედან, მოუვლინეთ წვიმა, თოვლი, ქუხილი და სულ ერთიანად ამოუწყვიტეთ ფარა.

მიქელ-გაბრიელი მწყემსთან მივიდა და უთხრა:

– აქედან აიბარგე და მოშორებით სადმე დაიდე ბინა.

ხელახლად მოვიდნენ ანგელოზები და ნახეს, რომ მწყემსი აბარგებულიყო. მიქელ-გაბრიელმა კვლავ ურჩია მწყემსსა: ისევ წინანდელ ადგილას გადი და ეცადე, ორ დღეში გაჰკრიჭო ცხვარიო. მწყემსმა ბევრი მკრეჭავები იშოვნა და ორ დღეში გაჰკრიჭა ფარა.

მთავარ-ანგელოზმა უთხრა: კარგი სასახლე ააგეო.

– სასახლის ასაგები ფული ვინდა მომცა? – უთხრა მოკრძალებით მწყემსმა.

– ფულის დარდი ნუ გაქვს, – ანუგეშა მიქელ-გაბრიელმა, – სთქვი, ამდენი ფული მჭირია-თქო, და ფულით მაშინათვე ჯიბე გაგევსება.

მწყემსმა დაახვია უთვალავი ხუროები და შვიდ დღეზე სამეფო სასახლე ააგო. ნახეს ანგელოზებმა მწყემსის გაკეთებული სასახლე და ღმერთს ამბავი მიუტანეს. **"თუ ერთ კვირაზე თავიდან არ მოგწყდათ,** – ბრძანა ღმერთმა, – **დააქციეთ მანდაურობაო".** მიქელ-გაბრიელმა გააფრთხილა მწყემსი, – თუ სახლი არ გაჰყიდე, ცუდი დღე მოგელისო.

– ვიღა იყიდის ჩემს სახლს, ბატონო? – დაეკითხა მწყემსი.

– შენ იმისი ფიქრი ნუ გაქვს. ხვალვე მოგივა იმისი მყიდველი ვაჭარი. რასაც სთხოვ, ჩარჩობას არ დაგიწყებს, მაშინვე მოგცემს.

მეორე დღეს მივიდა მწყემსთან ერთი მდიდარი ვაჭარი და სახლს შეევაჭრა.

– რამდენი მოგცე შენს სახლში?

– ხუთასი თუმანი.

– ინებე! – უთხრა ვაჭარმა და ხუთასი თუმანი მაშინვე დაუთვალა.

მოვიდნენ ანგელოზები იმ განზრახვით, რომ მწყემსის სახლი დაენგრიათ. მაგრამ ნახეს, რომ მწყემსის მაგიერ ვიღაც ვაჭარი დაჰპატრონებოდა, რა თქმა უნდა, ხელი არ ახლეს, რადგან მწყემსის ჯავრი სჭირდათ და არა ვაჭრისა და უკან დაბრუნდნენ დაღონებულები.

ეწვია მიქელ-გაბრიელი მწყემსსა და უთხრა:

– ვაჭარს გულს ავუცრუებ სახლზე და სულ ჩალის ფასად მივაყიდვინებ შენთვისაო.

მეორე დღეს მოვიდა ვაჭარი მწყემსთან და სთხოვა:

– მოდი, შენი სახლი ისევ შენ იყიდე, იაფად მოგცემო.

– რა მოგცე? – ჰკითხა მწყემსმა.

– რაც მომიცია, იმის ნახევარს დაგჯერდები.

– არა, მესამედს მოგცემ. – უთხრა მწყემსმა.

მორიგდნენ ამ ფასზე. მწყემსი იმავ დღეს თავის სახლში დაბინავდა. ნახეს ეს ანგელოზებმა და შესჩივლეს ღმერთს.

"ამას მიქელ-გაბრიელი მიშვრება და ამიტომ მიპატივებია", – ბრძანა ღმერთმა.

მიქელ-გაბრიელმა პური დათესვა ურჩია. მწყემსმაც დათესა პური. აბიბინდა ჯეჯილი. მერე თავთავები დაიკეთა. მკის დროც დადგა. ნახეს ანგელოზებმა, მწყემსს ყანა დაუთესიაო და ღმერთს შესჩივლეს მისი თავხედობა. ღმერთმა უთხრა: როცა პური მომკას და ძნები ურემზე დააწყოს, ხვავი წაართვით: თითო ურმიდან თითო ქილა ხორბალიდა გამოუყვანეთო.

მოიჭრა მიქელ-გაბრიელი მწყემსთან და უთხრა: თითო ურემს მხოლოდ თითო თავთავი დაუდეო. მწყემსიც ასე მოიქცა. გალეწა კალო. საშინლად ხვავიანი ჭირნახული დაუდგა: თითო თავთავიდან თითო ქილა ხორბალი გამოუვიდა. პური ბედელში არც კი ეტეოდა.

დაღონდნენ ანგელოზები, მაგრამ რაღა დროს!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

კაპიტალური რემონტის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობა

კაპიტალური რემონტის შემდეგ სოხუმში საზეიმოდ გახსნეს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობა. ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, პრემიერ-მინისტრი ლეონიდე ლაკერბაია, სხვა მოწვეული სტუმრები.

ლ. ლაკერბაიამ აღნიშნა, რომ ბოტანიკის ინსტიტუტს მდიდარი სამეცნიერო ისტორია გააჩნია. ფაქტიურად იგი იმ ბოტანიკური ბაღის წიაღიდან ამოიზარდა, რომელიც სახელმწიფომ გახსნა 1840 წელს. დღეს ამ ინსტიტუტში თავმოყრილია კოლხეთის ფლორის ერთ-ერთი უმდიდრესი ჰერბარიუმი, რომელსაც მსოფლიო კატალოგში უნიკალურ ფენომენად არის მიჩნეული. ამ ინსტიტუტში საქმინობდნენ მსოფლიოს უდიდესი მეცნიერები. საკმარისია დავასახელოთ დიდი ბოტანიკოსი ალფრედ კოლაკოვსკი, რომლის მემორიალური დაფაც ამშვენებს ინსტიტუტის კრდრლს.

ლაკერბაიამ ის დიდი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებიც გაიხსენა, რომლებიც აქ წარმატებით ჩატარდა 2006-2011 წლებში. მსოფლიოს მრავალმა წამყვანმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ კონფერენციებში, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტს არ გააჩნდა შესაბამისი სამუშაო პირობები. ახლა კი, ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სუფსიდიები აქ დასაქმებულ მეცნიერებს და მოწვეულ სტუმრებს მაღალნაყოფიერი ანალიტიკური სამუშაოს და სამეცნიერო კვლევების ჩატარების საშუალებას მისცემს.

პრემიერ-მინისტრმა დიდი მადლობა გადაუხადა მშენებლებს, რომელთაც ადმინისტრაციული შენობის მაღალხარისხიანი სარემონტო სამუშაოები ჩაატარეს. და მე-19 საუკუნის არქიტექტურის ძეგლი ქალაქის მშვენებად აქციეს.

ღონისძიებას ესწრებოდა რუსეთის ფედერაციის დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ჩერნოვმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ახლადგარემონტებული ადმინისტრაციული შენობა დიდი სტიმული იქნება მეცნიერების ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ეს კი თავისთავად ნიშნავს იმ დიდ მეცნიერთა შრომის დაფასებას, რომელთაც მთელი სიცოცხლე შეალიეს ადამიანთა ყოფის გამშვენიერებას. ეს მოვლენა გახლავთ აფხაზეთის 2010-2012 წლების სოციალურ-ეკონომიკური გეგმის განხორციელების საქმეში. მან მოულოცა ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს ეს დიდი გამარჯვება და წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში.

შემდეგ ლაკერბაიამ საზეიმოდ გაჭრა წითელი ლენტი, რამაც სათავე დაუდო აფხაზეთის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო დარგის შემდგომი აღმშენებლობის პროცესებს.

ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორმა ედუარდ გუბაზმა სტუმრებს დაათვალიერებინა გარემონტებული კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი, ჰერბარიუმის საცავი, ა. კოლაკოვსკის მემორიალური კაბინეტი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზი. გუბაზმა აღნიშნა, რომ ინსტიტუტის მდიდარი ბიბლიოთეკა ახალგაზრდა მეცნიერებს საშუალებას აძლევს, რომ, შენობიდან გაუსვლელად მოიპოვონ მათთვის საინტერესო სამეცნიერო ინფორმაცია. **"ჩვენ გაგვაჩნია სპეციალიზირებული ლიტერატურა, რომლის ანლოგებს მხოლოდ მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის ბიბლიოთეკებში თუ მოიპოვებს ადამიანი",** – სიამაყის განცდით აღნიშნა მან. – **"სასიხარულოა, რომ ახლა ამ წიგნების საიმედოდ შენახვის საშუალება გვექნება, რისთვისაც კიდევ ერთხელ მოვუხდით დიდ მადლობას მშენებლებს".**

შემდეგ სტუმრებისათვის მოეწყო ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში, რომელსაც მეგზურობას უწევდა ინსტიტუტის სწავლული მდივანი ტატიანა გიულანიანი. მან დამსწრეთ გააცნო ბაღის ისტორია, მოუთხრო იმ პიროვნებათა შესახებ, რომლებმაც დიდი ძალისხმევა მოახმარეს პარკის შექმნისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეს, გააცნო პარკში გახარებული უნიკალური მცენარეები, რომელთა ნაწილი ჩამოტანილია იაპონიიდან და ტაივანიდანაც კი. ეს გახლავთ მარადმწვანე მცენარეების სავანე, რომელიც წლის ნებისმიერ დროს ფუნქციონირებს.

ექსკურსიის დამთავრების შემდეგ აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა ღონისძიების მონაწილეებთან ერთად სამახსოვრო ფოტო გადაიღო.

გვერდში გამოყენებულია აფხაზეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო "აფსნი პრესის" მასალები

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ "ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ" ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ საქინფორმს ატყობინებს, მოძრაობა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ქვეყნის მართვის ზუგდიდიდან შესაძლო გაგრძელებას განცხადებით გამოეხმაურა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: **„სააგენტო „პირველის“** მიერ გარცელებული ინფორმაციის თანხმად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა შესაძლოა, ქვეყნის მართვა ზუგდიდის რეზიდენციიდან გააგრძელოს. ე.წ. ოპოზიციის – **„ნაცმოძრაობისა“** და მისი ლიდერისა და პრეზიდენტის უპასუხისმგებლო განცხადებების, ქმედებებისა და ქვეყნის ბევრ რეგიონში საბოტაჟის მცდელობებიდან გამომდინარე, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობის რეჟიმში იმყოფება, ზუგდიდში მისმა გადასვლამ, შესაძლოა, სააკაშვილის მხრიდან ქვეყნის მორიგ პროვიკაციაში ჩათრევა და, რაც ყველაზე სახიფათოა – საქართველოს ორად გახლეჩაც გამოიწვიოს! ქვეყანა ისედაც ორხელისუფლებიანობის რეჟიმში ცხოვრობს და შესაძლოა (მალე), თუ პარლამენტი თბილისში გადმოვიდა და ქუთაისში პარლამენტის მუშაობა არ შეწყდა – საქართველოში, მართლაც პირველად მის ისტორიაში, „ორპარლამენტიანობის“ პრეცედენტიც შეიქმნას. პრეზიდენტის ბოლოდროინდელი უპასუხისმგებლო განცხადებებისა და **„ნაცმოძრაობის“** ხელისუფლებაში დაბრუნების დიდი სურვილის გათვალისწინებით კი, სააკაშვილს საქართველოს სავალალო შედეგებამდე მიყვანაც შეუძლია. რომ შეუძლია, ეს საკუთარ თავზე 2008 წელს ქვეყანამ ერთხელ უკვე იწვნია. ვაფრთხილებთ ქართველ საზოგადოებასა და ახალ ხელისუფლებას, რომ ასეთ შემთხვევაში (პრეზიდენტის ზუგდიდის რეზიდენციაში გადასვლის შემთხვევაში), დიდი ყურადღება გამოიჩინონ და ნებისმიერი გარედან დაგეგმილი პროვოკაციისთვის იყვნენ მზად! არ წამოეგონ პოლიტიკურად გაკოტრებული **„ნაციონალური მოძრაობის“** მხრიდან ინსპირირებულ არანაირ პროვოკაციას, რისი კარგი დიდოსტატიც, სამწუხაროდ, ყოფილი ხელისუფლება ყოველთვის გახლდათ“.

ᲕᲘᲠᲘ ᲒᲘᲜᲓᲐ "ᲖᲐᲑᲝᲠᲡ" ᲘᲥᲘᲗ ᲓᲐᲐᲑᲘ, ᲒᲘᲜᲓᲐ – ᲐᲥᲔᲗ

ასე იტყვიან ხოლმე ენამკვახე კახელები უსაქციელო და ბრიყვ ვირგლაზე, რომელიც არა მენტალურად, არამედ მხოლოდ გეოგრაფიულად იცვლის ადგილს და ამით ცდილობს ბრძენად და ქვეყნისათვის საჭირო პიროვნებად წარუდგინოს საკუთარი პიროვნება საზოგადოებას. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ მენტალურად სააკაშვილი ვერასოდეს შეიცვლება და, თავისი კარიერის დასასრულს, კვლავაც ისეთ პოლიტიკურად და ზნეობრივად არაადექვატურად დარჩება, როგორიც ამ კარიერის დასაწყისში იყო. ამიტომაც გადაწყვიტა მან თბილისში მდებარე პრეზიდენტის სასახლე დატოვოს და ზუგდიდის რეზიდენციაში გადასახლდეს.

მისი ეს ნაბიჯი აშკარად მისასალმებელია, რადგან თბილისში პოლიტიკური ჰავა გაუმჯობესდება, მაგრამ, ვერ გამიგია, ისეთი რა დანაშაული მიუძღვის სამეგრელოს ერისა და ქვეყნის წინაშე, რომ ბიოლოგიური ჭაობით შეწუხებულებმა ახლა მოშხამული პოლიტიკური ჰაერითაც რომ ისუნთქონ!

თანაც, სააკაშვილს თურმე ისიც უთქვამს: **"სამეგრელოში ნაცმოძრაობამ ყველაზე დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში და ჩემი ადგილი სწორედაც რომ სამეგრელოშიაო".** აღნიშნული ფრაზით კი, ამ გამოუსწორებელმა დემაგოგმა და არც თუ მაღალზნეობრივმა ადამიანმა კიდევ ერთხელ შეაყროლა შხამის ორთქლი მეგრელებსა და სამეგრელოს, რადგან კარგად იცის, რომ სამეგრელოში ახალაიებისა და სხვა ადამიანის სახედაკარგული **"ნაცების"** წყალობით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები თავხედურად გაყალბდა **"ნაცთა"** სასარგებლოდა და, აქედან გამომდინარე, სააკაშვილი და მისი ბანდა სამეგრელოში ისევე **"უყვართ"**, როგორც თბილისსა თუ ქუთაისში, სადაც იგი სამი საათის განმავლობაში ტუალეტში ემალებოდა მისი დანაშაულებრივი საქმიანობისაგან განრისხებულ ქუთათურებს!

სამეგრელო კი, უკვე პოლიტიკურ გვამად ქცეული სააკაშვილის მასპინძლობისათვის კიდევ ერთხელ გახდება მის მოძულეთა და არაკეთილისმსურველთა მხრიდან კბილის გაკვრის მსხვერპლი.

როგორც თავად მეგრელები ამბობენ: მართლაც **"ვავა, სამეგრელო"**!

ნეტავ რა ცოდვა მიგვიძღვის ასეთი მეგრელებს, რომ ვერა და ვერ მოვიშორეთ თავიდან ეს **"ქრისტეს ძვლის მკვნეტელი"** სააკიანცი და მისი პირსისხლიანი ბანდა. ახიც იქნება ჩვენს მიმართ გამოთქმული ყოველი საყვედური, თუ მეგრელები ჩვეული თბილი მასპინძლობით მიიღებენ ამ საქართველოს დამაქცევარს და მშვიდად მოუსმენენ სიცრუითა და ღვარძლით გაჯერებულ მის ტირადებს.

ეზიზღება სააკიანცი და მისი მოდგმა ქართველ ხალხს იმ უამრავი ვერაგობისათვის, რითაც ჩვენთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას ცდილობენ. თან, ჩვენთან ერთად, ხალხთან გამოჩენისაც სცხვენიათ, რადგან ფიზიკურადაც და სულიერადაც მახინჯებად მოსჩანან ბუნებით ლამაზი ქართველი ხალხის ფონზე. თუნდაც ასეთი მარტივი მაგალითი ავიღოთ – სამების ტაძარში, მისი უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეზე მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლური საქრისტიანოს მღვდელმთავრებმა მოიყარეს თავი, რათა ამ გამორჩეული საეკლესიო მოღვაწეობისათვის საზეიმო თარიღები მიელოცათ. მიმლოცველებს შორის არ ჩანდნენ მხოლოდ სომხეთის უაპელაციობით გამორჩეული კათოლიკოსი გარეგინი (კარგად გვახსოვს, თუ როგორ დაურიდებლად უბარტყუნებდა უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მუხლებზე ხელს ეს საეკლესიო მოღვაწე. ასეთი თავხედობა კი ქართველებმა არავის არ უნდა ვაპატიოთ, თვით მაღალი რანგის სტუმარსაც კი, რადგან ჩვენი მხცოვანი და სიცოცხლეშივე წმინდანად მიჩნეული პატრიარქის შეურაცხყოფა სრულიად საქართველოს შეურაცხყოფა გახლავთ) და საქართველოს დიდ სირცხვილად მიჩნეული მიხეილ სააკიანცი. ან კი, რა პირით უნდა გამოჩენილიყვნენ ეს ანტიქრისტეები ქართველი მრევლის წინაშე, როცა სწორედ მათი ძალისხმევით, საქართველოში, მართლმადიდებლური ეკლესია, კანონით, ლამის ერთ-ერთ რელიგიურ სექტას გაუთანასწორეს. მრავალი ასეთი გადამთიელის შეტევა ახსოვს ქართულ ეკლესიას, მაგრამ გაგვიძლია და ამ უჯიშოთა შემოტევასაც გავუძლებთ, ახალი ხელისუფლების ხელში კი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია კვლავაც დაუბრუნდება თავის ღირსეულ ადგილს.

საინტერესოა, რაზე უნდა ესაუბროს ქართველი ხალხის მიერ პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლილი სააკაშვილი მეგრელებს. იქნებ იმაზე, თუ როგორ უნდოდა ჩაესახლებინა ქალაქ **"ლაზიკაში"** სირიიდან წამოსული 40 ათასი სომეხი, ან იქნებ იმაზე, თუ როგორ დატოვებდა ფუნქციის გარეშე ფოთის პორტს ახალქალაქი-ერზერუმის რკინიგზის გახსნის შემდეგ? ან იქნებ ის აუხსნას მეგრელებს, თუ თავისი **"ნეტარღიმილიანი"** ყოფილი გუბერნატორის ზაზა გოროზიას ხელით როგორ გაასხვისა კოლხური მიწები უცხოელებზე, სამეგრელოს ძირძველი მოსახლეობა კი სახნავ-სათესი და საძოვარი მიწების გარეშე დატოვა?

აი, უპირველესად როგორი შინაარსის შეკითხვები უნდა დაუსვან მეგრელებმა მოქალაქე სააკაშვილს, როცა იგი ზუგდიდის რეზიდენციაში მოკალათდება და **"სამშვიდობოზე"** გასულად დაიგულებს თავს!

განა არ დასტურდება ის ამბავი, რომ ავადსახსენებელი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით 100-ზე მეტი უდანაშაულო ადამიანი ხანგრძლივი ვადით გამოკეტა ციხეში, თავად არის უცხოეთის ქვეყნის ჯაშუში და სწორედ მის დამქირავებელთა დაკვეთით უთხრიდა ძირს საქართველოს მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობას!

ამიტომაც აღარ დაედგომება თბილისში და მიისწრაფვის სამეგრელოსაკენ, რადგან ჰგონია, რომ აქაური მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული მის მავნებლურ საქმიანობაზე საქართველოსადმი.

განა ესეც სრულიად სამეგრელოს და მისი მოსახლეობის მძიმე შეურაცხყოფა არ არის?

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

კოალიციამ **"ერთსულოვნება საზოგადოების ერთიანობისათვის"** ერთ მილიონზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა მიხეილ სააკაშვილისათვის პრეზიდენტობის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, სადაც 70-ე პუნქტში გარკვევით სწერია, რომ საქართველოში პრეზიდენტი ირჩევა ხუთი წლის ვადით და მას მხოლოდ ორჯერ შეუძლია კენჭისყრა ამ თანამდებობაზე.

როგორც დიდმა ქართველმა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ აღნიშნა: **„მას (სააკაშვილს) ბიბლიაზე დაფიცებული ჰქონდა, კი არ მოევლო თავისი ხალხისთვის, არამედ გონებრივად დაექვეითებინა, რათა ადვილად ემართა. ყველა ის ნაბიჯი, რაც აქამდე მისი ხელმძღვანელობით გადაიდგა, არის დარტყმა არა მარტო საქართველოს სოციალურ მდგომარეობაზე, არამედ საქართველოს სულიერებაზეც.**

საქართველოს მართვა ადვილია, როცა მას დავით აღმაშენებელს, შოთა რუსთაველს, თამარ მეფეს წაართმევ, რადგან აღარაფერი დაგრჩება ხელში.

პირველი, რაც სააკაშვილმა გააკეთა და რაც ქართველმა ხალხმა და მათ შორის, ვერც მე გავიგე, გახლდათ ის, რომ სააკაშვილმა ერთ ღამეს მალულად, დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან გაიტანა. მეგონა, მერაბ ბერძენიშვილს მის უკეთეს ადგილას გადატანა უნდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბერძენიშვილი საქმის კურსში არ იყო და მისთვის არც კი შეუტყობინებიათ. ამას მოჰყვა ქუთაისის ცენტრიდან დავით აღმაშენებლის ძეგლის ვაგზლის ტერიტორიაზე გადატანა. დიდგორის ომის მომგები და „გალობანი სინანულისანის“ ავტორი დავით აღმაშენებელი მიხეილ სააკაშვილს ქალაქის ცენტრში არ უნდოდა, არ უნდოდა იმიტომ, რომ მასზე თაობები იზრდებოდა".

დიახ, მიხეილ სააკაშვილი ავბედითი ფიგურა გახლდათ საქართველოს პოლიტიკისათვის, სრულიად საქართველოსათვის, რომელიც მან უმადლესი ხელმძღვანელის პოსტის დაკავებისთანავე გაამჟღავნა და რომლის თაობაზეც დაწვრილებით ცნობებს ჩვენ მკითხველა გაზეთის მომდევნო ნომერში მივაწვდით.

სააკაშვილი რომ თავხედური ძალადობით და თავნებობით იყო გამორჩეული (მისი ბრძანებით მოწყობილ სისხლიან დარბევებსა და პატიმრებით გამოვსებულ ციხეებში წამებების დაკანონებაზე რომ არაფერი ვთქვათ), იქიდანაც სჩანს, რომ, ფეხქვეშ გაიფინა საქართველოს კონსტიტუცია და ბინძური კვალი შეატოვა მას – ერთ-ერთ პუნქტად ჩააწერინა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს 2013 წლის ოქტომბერში, რითაც ჩაიდინა გაუგონარი დანაშაული – თვითნებურად გაიგრძელა, ცხრა თვით, საპრეზიდენტო უფლებამოსილება, რაც უპრეცენდენტო შემთხვევა გახლავთ დემოკრატიული ქვეყნების ისტორიაში. მაგრამ მის მონურ მორჩილებაში მყოფ ყოფილ საპარლამენტო (ნაციონალურ) უმრავლესობას გამორჩა, რომ ამ პუნქტში მიეთითებინა სააკაშვილის გვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ 2013 წლის ოქტომბრამდე, იგივე კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს არა ვადაგასული სააკაშვილი, არამედ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ან პრემიერ-მინისტრი.

ასე რომ, დღეიდან ქრება მცნება საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ჩნდება ახალი მცნება – მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი. დღეიდან აღარ მოგვიწევს მისი ცოფმორეული, დუჟიანი გამოსვლებისა და დანაშაულებრივი მოწოდებების მოსმენა, რამაც საქართველოს ლამის შუა საუკუნეების რეალობაში ამოაყოფინა თავი. დღიდან აღარ გვექნება იმის შიში, რომ ეს მართლაც შეურაცხადი ომს გამოუცხადებს რომელიმე ზემძლავრ სახელმწიფოს, დარჩენილ ტერიტორიებსაც დაუკარგავს საქართველოს და შემდეგ გამარჯვებულად გამოაცხადებს თავს. თუმცა, სააკაშვილს რას ვერჩით, როცა ჩვენ თავად მივეცით მას ჩვენი დატერორების, გაბრიყვებისა და ურცხვად მოტყუების საშუალება. ახლა კი, სწორედ ჩვენს პრინციპულობასა და კონსტიტუციისადმი ერთგულებაზეა დამოკიდებული, კუდამოძუებულად დატოვებს ეს პოლიტიკური არარაობა საპრეზიდენტო რეზიდენციას, თუ 2013 წლის ოქტომბრამდე გააგრძელებს ქვეყნის ჰაერის მოწამვლას, თუნდაც თვითმარქვია პრეზიდენტის რანგში.

ჩვენ კი, დარწმუნებული ვართ რა ქართველი ხალხის პრინციპულობაში, წინასწარ ვულოცავთ სრულიად საქართველოს ამ ნანატრი ჟამის დადგომას!

საკ. ინფ.

ᲐᲠᲗᲘᲐᲜᲡ ᲮᲣᲯ ᲒᲣᲡᲬᲝᲠᲐᲗ!

მუქ დორყვილეს, ჯიმალეფ!
საქმე ვარე ოჯინეთ.
ართიანს ხუჯ გუსწორათ,
სამართალშენ მოჯგირემქ!
ირდიხაშე გუმორენა,
არძა განმაჯიშებელ,
არჩქილენ, ჩქინო ოკონა,
ჯგირობუა იფრელნერ.
დაპირებემქ, "ფერაფიქ",
თე დღაშ მეტ მუმომღეს,
ჩქინიანემქ შხვადო გოცუ,
უღელ-მეღელქ მუნომლეს.
ჯვეშემს ბრელ ვეშულებუნა,
ახალემს კოჩ "ვეჩინენს"...
დიდა იჭყენს ორჩინელს.
მუმას შურო მი შინანს
"უჩა დღაშ გორჩქინელს".
იფრელ ჯგირ ხეს აშმოდინნა,
უჯგურობაშ ვაჩქუ შარა,
ჩქინ მარსხებელს მითას
ვორწყეთ,
ღორონთ გინმოტენდან ვარა!

ᲐᲜᲝᲜ ᲑᲘᲠᲐᲕᲐ

„მგელი არ მოდის!“ და... „დავმლიოთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკე!“

1) ამ 10-12 წლის წინ მივიღე ცნობა, რომ პირადად ჩემთან სატელეფონო საუბარი სურდა ესპანეთში მცხოვრებ ჩემთვის უცნობ ქალბატონს პროფ. ნ. კობახიძეს, და, ზუგდიდის ფოსტაში მისულმა, ყურმილიდან აი რა მოვისმინე მისგან: **„ვისთანაც კი დავრეკე თბილისში, საელჩოსა თუ სამინისტროებში და ვიკითხე, თუ ვინ არის მეგრულის ყველაზე კარგი სპეციალისტი საქართველოში, ყველამ თქვენ და თქვენი ქალიშვილი ცირა დაგასახელათ, მაგრამ თქვენი მისამართი ვერავინ მომცა... ნეტავი ვიცოდე, რამ შეაძულა ქართველებს (ალბათ აჯობებდა ეთქვა, ზოგ ქართველსო, – მ. ძ.) მეგრელები, აგრერიგად? კოლხურის სიძველეთა საინტერესო ნიმუშები გაგვაჩნია, ამოსაშიფრი; იქნებ ჩამობრძანდეთ და დამეხმაროთ“. ხარჯებს მე გავიღებო, – დასძინა. შევთანხმდით, მაგრამ გამგზავრება ჩაიშალა იმ მოტივით, რომ „ესპანეთს ურაგანმა გადაუარა“.**

2) გაზეთ **„გალის“** 2012 წლის აგვისტოს თვის 6 (63) ნომერში გამოქვეყნებულ ნ. სალაყაიას წერილში მოხმობილ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ ვ. მ. ალპატოვის შეფასებაში ვკითხულობთ: **„მეგრული სამწერლობო ენა მუდამ იყო და არის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მას არ ცნობს და კრძალავს მის განვითარებას. მეგრული ენის შესწავლისათვის საკმაო მეცნიერული მასალები არსებობს, დაწყებული მე-18 საუკუნიდან (მხოლოდ საქართველოში მისი მიღწევა აკრძალული იყო).**

3) 2011 წლის 3 ივლისს ინტერნეტ-გაზეთში **„ახალი შვიდი დღე“** გამოჩნდა ლილი ტოკლიკიშვილის წერილი, რომელიც იუწყებოდა, **„გალში მეგრელიზაციის პროცესი მიდის“**-ო. ასეთ განაცხადს ავტორი აკეთებდა თურმე იმიტომ, რომ გაზეთი **„გალი“** სამენოვანია. მასში იწერება წერილები აფხაზურ, რუსულ და მეგრულ ენებზე.

საქმე ის არის, რომ, ქართული სივრცისგან მოწყვეტილ გალის მეგრულენოვან მოსახლეობას, რაკი აფხაზეთის ხელისუფლება ხელს არ უშლის, მეგრული ენის შენარჩუნება-გადარჩენის მიზნით, თურმე, თავიანთ გაზეთში მეგრული ფოლკლორის ნიმუშების, ანდაზების და მისთანების გამოქვეყნებაც გადაუწყვეტიათ. ეს ფაქტი **„გამჭრიახ“** ქალბატონს გალელი მეგრელების **„მეგრელიზაციის პროცესად“** (?) წარმოუდგენია. აბა, მათს რუსიზაციაზე, სომხიზაციასა და მისთანებზე ხომ არ გამოხატავდა შეშფოთებას?

შევადაროთ: რა ხდება, ამავდროულად, საქართველოში?

აქ, 1998 წლიდან, უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტზე ისედაც ფორმალურად სწავლებაში არსებული კოლხური და სვანური ენები, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების საბაბით, სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულ იქნა. არავინ იფიქრა თუნდაც იმაზე, რომ ამით ქართულ ენათმეცნიერებაში საფუძველი გამოეცალა შედარებით–ისტორიულ ენათმეცნიერებას, ურომლისოდაც ნამდვილი ენათმეცნიერება საერთოდ არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ იესო ქრისტემ სულთმოფენობისას ბრძანა, ბიბლია თარგმნილიყო ყველა ენაზე, მისი თარგმნა მეგრულ ენაზე (ასევე სვანურ და ლაზურ ენებზე) საქართველოში ოდითგანვე აკრძალული იყო და არის დღემდე, ერისკაცთაგანაც და ბერისკაცთაგანაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, უძველესი კოლხური დამწერლობიანი ენის ნაცვლად, მეგრელებს, უდამწერლობო მეგრული ენა შემოგვრჩა, – გავრცელების უკიდეგანო არეალიდან აგრერიგად დამცრობილი და, იქიდანაც მუდმივად განდევნადი და შემცირებადი სახით.

ამჟამინდელი ერთ-ერთი ქართული კანონის მიხედვით თუ გამოვხატავთ, სავსებით საფუძვლიანად იბადება **„გონივრული ეჭვი“** იმის შესახებ, რომ **„მხედრიონელთა“** ლაშქრობანი სამეგრელოში და შემდეგ აფხაზეთში, რაც იქიდან მეგრული მოსახლეობის გამორეკვით, მრავალთა დახოცვითა და გაძარცვა-დათრგუნვით დამთავრდა, სწორედაც დამნაშავე ხელისუფალთა მეგრელთმოძულეობით იყო განპირობებული და წინასწარვე განსაზღვრული, მეგრულენოვანი მოსახლეობის მაქსიმალურად შემცირება-გენოციდისათვის. დიახ, ეს იყო იმდროინდელი მოდალატე ქართული ხელისუფლების სასტიკი იერიში მეგრულენოვანი მოსახლეობის ფიზიკურად და მორალურად განადგურება-დათრგუნვის მიზნით. აკი წინასწარ გამოაცხადა ტელევიზიით ე. შევარდნაძემ: – **„ამ მეგრელებს მე თვითონ დავსერავ დანით და ჭრილობაში მარილს ჩავუყრი“**-ო, ჯაბა იოსელიანმა კი უფრო დააკონკრეტა: – **„ეს მეგრელები უნდა ამოვხოცოთ და მათ ადგილას სხვა ხალხი უნდა დავასახლოთ“**-ო. ცდა არ დაუკლიათ, მიზანი ბოლომდე ვერ მიიყვანეს თორემ!

ჩნდება ასეთი **„გონივრული ეჭვიც“**, – დასაფუძვლიანებული შემდეგზე:

მსოფლიო საისტორიო წყაროების მიხედვით, კოლხეთი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ მოიხსენიება. III–VII საუკუნეებში აქ აკადემიის არსებობის ფაქტიც არის ცნობილი. აღმოსავლეთი საქართველოს, კერძოდ, ქართების შესახებ კი, ჩვ. წ. III საუკუნეშიაც არაფერი, ან თითქმის არაფერია თქმული, ხოლო რაც შეეხება მათს მროველისეულ შეფასებას, აქ მის მოხმობას, შეგნებულად მოვერიდებით. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ქართლის საერისთავოდან გაძევებულმა და კოლხეთის მეფე ქუჯის მიერ სრულიად საქართველოს მეფედ განმწესებულმა ფარნაოზ მეფემ, კოლხეთის მეფეს – ქუჯის არათუ არ დაუფასა ამგვარი ამაგი, არამედ გამოიჩინა მისდამი მოღალატეობა, სასიკვდილოდ გამეტებით. დაისმის კითხვა: მეგრელთმოძულეობა, როგორც ასეთი, ხომ არ არის, ყოველივე ზემოაღნიშნულით განპირობებული და ზოგთათვის გენეტიკურად დამახასიათებელი შურიანობის, შოვინიზმისა და მოღალატეობრივი ბუნების გამოვლინება, საუკუნეების მანძილზე, და, დღეს უკვე, – ტარიელ ფუტკარაძის, თემურ გვანცელაძის, მანანა ტაბიძის, ანანია ჯაფარიძის, კოტე კაკიტაძის და სხვა მეგრელთმოძულეთა მხრივ? არადა, სხვა რა დანაშაული მიუძღვით, ვინმეს მიმართ, მეგრელებს?

აქ, რაკი გაგვახსენდა, აი, რაზეც უნდა ვთქვათ: სამეგრელოში დღემდე შემონახულია გადმოცემა, რომ ოდესღაც აქ მოვიდა ცნობა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ასაოხრებლად მტრის აურაცხელი ლაშქარი დაძრულიყო. მეგრელები უმალ შეიარაღდნენ და იქითკენ გასწიეს, თან სვანეთში აფრინეს მაცნე და მათაც შემოერთება სთხოვეს. მაგრამ, მაცნეს ენგურის პირას ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, მდინარეში ჩავარდა და ენგურმა იგი დაახრჩო. ეს ამბავი ენგურმა საკუთარ თავს არ აპატია, – როგორ თუ აღმოსავლეთელი ქართველებისადმი დასახმარებლად შემართული ვაჟკაცი დავახრჩვეო, გიჟურად გაქანდა წინ და თავი შავ ზღვაში დაიხრჩოო. ასეა გადმოცემული დასავლეთელ და აღმოსავლეთელ ქართველთა მითთაჟამიმდელი ურთიერთობის შესახებ... და, თქვენ რაღა გემართებათ: კოტე კაკიტაძევ, ანანია ჯაფარიძევ, ტარიელ ფუტკარაძევ, თემურ გვანცელაძევ და სხვანო? (ბევრად უფრო ნამუსაყრილნი და საწყლები **„თვისტომის დამწუნებელი ღამურები“** (აკაკის მიხედვით) არიან და მათ აქ, და საერთოდაც, ჩვენ არ ვასახელებთ, შემდეგი ქართული ანდაზის გათვალისწინებითაც: **„ვერა კაცი კაცს ვერ უზამს, რასაც კაცი თავსა უზამს“**).

მრავალზე მრავალი საუკუნის მანძილზე მტერთაგანაც და მოყვარეთაგანაც არ დაჭკლებიათ ძალმომრეობა და დათრგუნვა მეგრელებს, კოლხებს. ამიტომაც არის ასე სევდიანი, საერთოდ, მეგრული სიმღერები. ეს ასახულია უძველეს სასიმღერო ტექსტშიც; **„ვაი შური საყვარელი, რინა მუში მამარდა რე; რინაში ნება ქორდას)ნი, ქიანა მუში მაფართა რე!“**

როდემდე არ დაეხსნებიან, მეგრელთმოძულენი, მეგრულ ენას, მეგრელებს, სამეგრელოს, ყოველივე მეგრულსა და კოლხურს? როდემდე გააგრძელებენ მათს დისკრედიტაცია-დისკრიმინაციას? არ გვაქვს, უფლება? – ამის შესახებ ვიკითხოთ მაინც?

ბოლოს და ბოლოს, რას მოითხოვენ მეგრელები, საერთოდ?

– ძალიან უბრალო, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელ რამეს: არ გაქრეს მიწის პირისაგან მეგრული ენა და ამ ენის მფლობელი ხალხი; არ ამოიძირკვოს საქართველოს ისტორიიდან კოლხეთის ისტორია და არარაობად არ წარმოჩნდეს კოლხეთის დიადი წარსული, რასაც ისწრაფვიან, სამწუხაროდ, რა ხანია, ცრუპატრიოტი პოლიტიკანი კვაზიენათმეცნიერები, კვაზიისტორიკოსები და მათსავით შოვინისტური და ფაშისტური გრძნობებით შეპყრობილი ქვეყნის უუნარო მმართველები (ვისაც ეს ეხებათ), ცალცალკე თუ ერთობლიობაში.

დედამიწის ზურგზე თითქმის არ არსებობს ენა, მონათესავე ენების გარეშე. მაგრამ არსად არ იდევნება ასეთი ენები იმგვარად, როგორც ეს საქართველოში ხდება **„კვალიფიციური“** მეგრელთმოძულეებისგან. მაგალითად, ესპანეთში 5 ენაზე არსებობს ლიტერატურა, მაგრამ ავტორები, ჩვეულებრივ, ესპანელ მწერლებად და პოეტებად იწოდებიან. ასევეა საფრანგეთში და სხვაგანაც. ჩინეთში, ერთ საერთო ჩინურ ენასთან ერთად, არსებობს უამრავი სხვა ენაც. აქ, ხშირად ორი ერთმანეთის გვერდით არსებული სოფლების მცხოვრებლების ენები ერთმანეთისათვის გაუგებარია, მაგრამ ამ ენებს არავინ სდევნის.

სავსებით ლოგიკურად დაისმის კითხვა:

თუ კი არაფერი დაიწერება მეგრულ ენაზე, არსად მოხდება მისი შესწავლა, იგნორირებული იქნება ის, რაც უკვე შესწავლილია ან შეიძლება მომავალში შესწავლილ იქნას, თუ კი მეგრულად ლაპარაკი და წერა ჩათვლილი იქნება **„მეგრული სეპარატიზმის“** გამოვლინებად, და ასე შემდეგ, რითი და როგორ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას ამ ენისა და მისი მატარებელი ხალხის არსებობა?

10 მილიონამდე ხალხების ენების და თვით ამ ენების მატარებელი ხალხების წაბიძგება გადაშენებისაკენ, ასეთის მიღწევის პირობებში, ხომ მხოლოდ მასშტაბებში ჩამორჩება ჰიტლერელი ფაშისტების ზრახვებსა და მის შედეგებს?

მაშასადამე, თუ არა შოვინისტები და ფაშისტები, რა შეიძლება ეწოდოს მეგრელთმოძულეებს, რომლებიც, პირდაპირ თუ ვიტყვით, ყოვლად უსინდისოდ, უზნეოდ, თავხედურად და ამპარტავნულად ატერორირებენ მეგრელებს, სვანებსა და ლაზებს? დანარჩენ ფაქტებზე რომც არაფერი ვთქვათ, სხვას რას ნიშნავს ტ. ფუტკარაძის მიერ საჯაროდ მრავალგზის გაკეთებული ამგვარი განაცხადი?: **„მეგრელებმა აღიარონ, რომ მეგრული ენა არ არის, არადა აღიარონ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან!“**. ვინ მისცა ამგვარი თავხედობისა და თავგასულობის უფლება ტ. ფუტკარაძეს და მის ამფსონებს?

როგორც ცნობილია, ევროსაბჭო, მასში შემავალი ქვეყნების მთავრობებისაგან მოითხოვს ევროსაბჭოს კონვენციების შესრულებას მცირერიცხოვანი ხალხების, უმწერლობო და რეგიონალური ენების დაცვის შესახებ. საქართველოს ხელისუფლებამ ევროსაბჭოში მიღებისას (1999 წლის აპრილში) იკისრა ამ კონვენციების რატიფიკაცია ერთი წლის ვადაში, მაგრამ იგი დღემდე არ მომხდარა, რაც ყველაფრის მეტყველია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი ხელისუფლება, რომელიც ქვეყნად სამართლიანობის აღდგენასა და დამკვიდრებას ესწრაფვის, ამ საკითხს უყურადღებოდ არ დატოვებს და უზრუნველყოფს ევროსაბჭოს კონვენციების რატიფიკაციას, მისი მოთხოვნების შესრულებას. არადა, მეგრელებს, ბოლოს და ბოლოს მოუწევთ, ამქვეყნიური სატანისტური ძალების – მეგრელთმოძულეების – მძვინვარების საკუთარი ძალებით დაძლევა, საამისოდ საჭირო ყველა ღონისძიების განხორციელებით, მათ შორის, – იესო ქრისტეს ნების აღსრულება: ბიბლიის თარგმნა მეგრულ ენაზე და წირვა-ლოცვების ჩატარება ამ ენაზე.

არ დავმალავ, იმ ფაქტის გაგონებამ, რომ გალელმა მეგრელებმა მეგრული ენის შენარჩუნეა-დაცვის მიზნით გაზეთ **„გალში“** მეგრულ ენაზე წერას მიმართეს, პირადად ჩემში დიდი კმაყოფილება და იმის განცდა გამოიწვია, რომ ამ ენას გაქრობა არ უწერია. ამ მხრივ, მადლობის მეტი რა გვეთქმის იმ აფხაზ ხელისუფალთა მიმართ, ვინც ამას ხელს არ უშლიან და, პირიქით, – ხელს უწყობენ კიდეც.

ამჯერად, სავსებით ბუნებრივად, დაისმის ასეთი კითხვაც:

ჩემთვის (საერთოდ მეგრელებისთვის, ასევე სხვა ქართველურენოვანი ტომთაგანთათვის) ვინ არის მტერი და ვინ არის მოყვარე? – ის, ვინც ებრძვის მეგრულ ენას და უბიძგებს მას გადაშენებისაკენ, თუ ის, ვინც არა თუ არ ებრძვის მას, არამედ ზრუნავს მისი დაცვა-გადარჩენისათვის? მკითხველმა თავად განსაჯოს.

პირადად მე, რომელიც ვარ ერთ-ერთი ავტორ-შემდგენელთაგანი მეგრული ენის სახეობრივი ლექსიკონებისა, რომლებშიც ამ ენის მთელი ლექსიკა – 1 410 145 286 სიტყვა არის დაფიქსირებული, ამჯერად იმ აზრზე ვარ, რომ, თავად რომ შემეძლოს ბიბლიის მეგრულ ენაზე ჯეროვნად თარგმნა (მას ბიბლიის ენის ზედმიწევნით ცოდნაც სჭირდება), ამ საქმეს ერთი დღითაც არ გადავდებდი. მაგრამ, ამიერიდან შევეცდები, გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც შემიძლია: ვწერო (შევადგინო) ტექსტები მეგრულ ენაზე, გამოვაქვეყნო ისინი და ამით შეძლებისამებრ გავამდიდრო ამ ენის ტექსტების ჩვენში აქამდე არსებული მეტად მწირი არსენალი (ლიტერატურა). ამის გაკეთება საჭიროა ენათმეცნიერების ინტერესებისათვის, მეგრული ენის შესახებ, თავის დროზე, ცნობილი ენათმეცნიერების მიერ გამოთქმული შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებითაც:

„მეგრული ტექსტების აღნუსხვა ძალიან ხელს მისცემდა ქართულ-ეროვნული აზრის განვითარებას. იგი ქართველებს ენის ცნობისმოყვარეობის საკვებავს მიაწვდენდა, ხოლო მეგრელებს მათ სამშობლო ისტორიულ კალაპოტს არა თუ ქვა-როხით გადაუღობავდა და წინმსვლელობით მიმდინარეობას შეაჩერებდა ან გადაუგდებდა უნაყოფოდ ტბისაკენ, პირიქით, სიფართოვეს და სიღრმეს დასძენდა“ (ნ. მარი).

„ვფიქრობთ, ამგვარი მასალების (საკითხი ეხება ზღაპრებს, გამოცანებს, ანდაზებს, შაირებს... – **მ. ძ.) შეგროვება და მეცნიერულად გამოცემა გადაუდებელი, არდასაყოვნებელი საქმეა უძველესი ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის ღრმად შესასწავლად. საიდუმლოება არც ის არის, რომ ტექნიკის, ცივილიზაციისა და ერთიანი კულტურის საოცრად სწრაფი წინსვლა მივიწყების, ნიველირებისა და გაქრობის საფრთხეს უქმნის ხალხური შემოქმედების სხვადასხვა უბანს, მათ შორის ზეპირსიტყვიერებასაც. დღეს არავის შეუძლია, ზუსტად განსაზღვროს, როგორ წარიმართება უმწერლობო ქართველური ენების – სვანურისა და მეგრულ-ჭანურის ბედი რამდენიმე საუკუნის შემდეგ, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ამ ენებზე დაფიქსირებულ მასალებს მომავალში ოქროს ფასი დაედება“** (ქართული ხალხური სიტყვიერება, II, თსუ, 1991, გვ. 3).

სტატიაში განხილულ საერთო-პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, უხერხულიც კი გვეჩვენება პირად ნაშრომებზე ვრცელი მსჯელობა-საუბარი, მაგრამ ეს ნაშრომები მხოლოდ ჩვენი პირადი საკუთრება როდია. ვინ არ იცის, ენის წარმოშობის საფუძვლების წარმოჩენით, ენათმეცნიერების (და არა მხოლოდ მისი) რაოდენ საინტერესო, პრობლემური და საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხი იქნა გადაწყვეტილი. ამ საკითხის ჩვენში გადაწყვეტით კი, პრაქტიკულად, მსოფლიო ენათმეცნიერების ეპიცენტრმა მყისიერად საქართველოში გადმოინაცვლა და დამკვიდრდა, სამუდამოდაც, ვინაიდან ამაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხი ენათმეცნიერებაში (და არა მხოლოდ აქ) არასოდეს არ ყოფილა და არც მომავალში იქნება. საქართველოს მეცნიერებათა საერო აკადემია და თვით ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თუ კი რამე დარჩა მათგან, აშკარაა, ამაზე დღემდე სდუმან მხოლოდ იმიტომ, რომ გამოკვლევის ობიექტი მეგრული ენაა და წარმოჩენილია ამ ენის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მონაცემები.

მამანტი ძაძამია,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, 7 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

“რუბიკონი” უნდა გადაილახოს

გაზეთ **“ილორის”** მკითხველო, თითქმის ერთი წელია არ შეგხმიანებივართ, მაგრამ ამას ჰქონდა თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზევი. უპირველესად, ეს იყო თითქმის მინავლებული იმედის ნაპერწკალი, რაც თავიდან ნაკრების სათავეში თემურ ქეცბაიას გამოჩენით ყველა ქართველი გულშემატკივრის გულში ღვივოდა, მაგრამ ჩამთავრდა ჩემპიონატი და ჩვენ ჩვენთვის **“შესაფერის”** ადგილზე აღმოვჩნდით. დაიწყო მეორე ციკლი და, არსებითად, იგივე უსახური შეუთამაშებელი ნაკრები შეგვრჩა ხელში.

ტრაგედია ის კი არ არის, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ქვეყნის ნაკრებს ჩავარდნა რომ ჰქონდეს. ეს რომელი ქვეყნის ნაკრებს არ დამართნია, მაგრამ უსახურობა, უპერსპექტივობა, რომელიც ათეული წლებია გრძელდება და შენ ამ წლების განმავლობაში არავითარი დადებითი დინამიკა არ გეტყობა, მაშინ ყველაფერი ფუნდამენტურად არის შესაცვლელი.

ქართველებს არავისათვის არ გვაქვს დასამტკიცებელი, რომ ჩვენ ვართ საფეხბურთო ქვეყანა, ფეხბურთის ნიჭი ქართველის გენშია, მაგრამ მხოლოდ ნიჭი არ კმარა, მას უნდა მიეცეს შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საშუალება.

ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთის პოზიციების დათმობა დაიწყო 1982 წელს, ევროთასებზე, ბელგიის **“სტანდარტთან”** წაგებული ავადსახსენებელი მატჩის შემდეგ. სწორედ მაშინ დაიწყო ქართული ფეხბურთის **“დიდი ღამე”**, რომელიც დღემდე გრძელდება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს ჩემპიონატი, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებელია ტრიბუნაზე მაყურებელთა რაოდენობა. შედარებისათვის, საქართველოს პირველობის ტურის ყველა მატჩზე შეკრებილი მაყურებელი რომ შეაჯამო, რაოდენობით ვერ გაუტოლდება თბილისის **“დინამოს”** დუბლშემადგენლობის თამაშზე მოსული მაყურებლის რაოდენობას. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, და ასეთ ჩემპიონატში როგორ გინდა მსოფლიო დონის ფეხბურთელი რომ გაიზარდოს?

მაინც რაშია ხსნა? რა უნდა მოვიმოქმედოთ ქართველებმა, რით დავიწყოთ, რომ ქართულ ფეხბურთს აღვუდგინოთ ძველი დიდება? ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, მთლიანად უნდა შეიცვალოს მიდგომა ბავშვთა ფეხბურთის მიმართ, უნდა შემუშავდეს ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია ბავშვთა ფეხბურთთან მიმართებაში. საჭირო საქართველოს ყველა რეგიონში აიგოს თანამედროვე ევროპულ სტანდარტებზე გათვლილი საწვრთნელი ბაზები. ამაში ლომის წილი სახელმწიფომ უნდა შეიტანოს, ყოველმხრივ უნდა წაახალისონ კერძო ბიზნესი ამ სფეროში (იქნება ეს გადასახადების შემცირება თუ სხვა შეღავათები). ბაზებთან ერთად საჭირო კვალიფიციური, პროფესიონალი მწვრთნელების მოზიდვა, განსაკუთრებით რეგიონებში. პეროფერიებში აუცილებელია წელიწადში რამდენიმე სემინარის, ტრენინგების ჩატარება, მათი მოკლევადიანი მივლინება სახღვარგარეთის კლუბებში, გამოცდილების გაზიარების მიზნით. აუცილებელია, მწვრთნელებს ჰქონდეთ მოტივაცია ღირსეული ფულადი ანაზღაურების სახით. ყველა ღონისძიება უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ საქართველოში არ დაიკარგოს არცერთი ტალანტი და ყველა მოზარდს ჰქონდეს პირობები – მაქსიმალურად გამოავლინოს ბოლომდე საკუთარი შესაძლებლობები.

თუ გადავხედავთ დღევანდელ მონაცემებს, დიდად არ ულხინთ ჩვენს უშუალო მეზობლებს და თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, რომლებიც დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია დავსხდეთ, გამოვნახოთ საერთო ენა და შევიმუშაოთ ერთიანი კონცეფცია საერთაშორისო ჩემპიონატის ჩამოსაყალიბებლად, რომელსავ დაერქმევა თუნდა **“ერთიანი საფეხბურთო ლიგა”**, რა თქმა უნდა, უეფას ყველა იურიდიული კონსულტაციების გავლის შემდეგ. სავარაუდოდ, ეს ქვეყნები იქნებიან საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდავეთი, ბელორუსი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ლიტვა... რა თქმა უნდა, თითოეული ქვეყნიდან გუნდების რაოდენობა ჩემპიონატზე დამოკიდებული იქნება ამ სახელმწიფოების საფეხბურთო ტრადიციების და ამ სახელმწიფოში ფეხბურთის დღევანდელი დონის გათვალისწინებით.

ამ ნოვაციის აუცილებელი პირობა გახლავთ სპორტისა და პოლიტიკის მკვეთრი გამიჯვნა, ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს სუფთა სპორტული პრინციპების და სულისკვეთების გათვალისწინებით. მე ღრმად ვარ დარწმუნებული – ამ უსასტიკესი კონკურენციის პირობებში გამოიწრთობიან ქართული კლუბები, რომლებიც ღირსეულად წარადგენენ საქართველოს საკლუბო გუნდებს ევროჩემპიონატებზე და მსოფლიოში სანაკრებო დონეზე. აღნიშნული ღონისძიების პარალელურად უნდა ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც გამარჯვებული შეცვლის ლიგის ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გასულ ქართულ გუნდს, ხოლო ამ ჩემპიონატში უკეთეს ადგილზე გასული ქართული გუნდი წარადგენს საქართველოს ჩემპიონთა ლიგაზე. რაც შეეხება დანარჩენ ადგილებს ევროლიგებზე, მას წარმოადგენს საქართველოს პირველობის ჩემპიონი და საქართველოს თასის მფლობელი.

იმედია, ბავშვთა ფეხბურთისადმი სრულიად ახლებური მიდგომა და ქართული გუნდების მონაწილეობა უსასტიკეს კონკურენტიან ჩემპიონატში, რამდენიმე წელიწადში მოგვცემს არნახულ შედეგს და საქართველო დაიბრუნებს თავის კუთვლილ ადგილს საფეხბურთო მსოფლიოში.

წინასწარ ვიცი, ამ იდეას საქართველოში ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდება, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. ჩვენ, ღირსეულად, როგორც ჩვენს დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოს ეკადრება, ისეთი პირობებით უნდა წარვსდგეთ. თუ ადგილი ექნება, თუნდაც, ოდნავ ღირსებისათვის შეუფერებელ პირობებს, რა თქმა უნდა, უარს ვიტყვით, მაგრამ აუცილებლად გავაგრძელებთ სხვა ალტერნატიული გზების ძიებას

ზურაბ მორგოშია,
წალენჯიხა

გაზეთ “ილორის” კომენტარი: გამორიცხული არ არის, რომ მკითხველთა ნაწილმა ბატონი ზურაბის მიერ მოწოდებული იდეა საბჭოთა კავშირის აღდგენის ფარულ მცდელობად მიიჩნიოს, თუმცა წერილის ავტორი წინასწარ დაბეჯითებით განმარტავს, რომ საუბარია ერთიანი სპორტული სივრცის და არა პოლიტიკური სივრცის აღდგენაზე. გავიხსენოთ – თბილისის “დინამო” სწორედ მაშინ გახლდათ უძლეველი და მსოფლიოში აღიარებული გუნდი, როცა იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში იღებდა მონაწილეობას, სადაც მისი ყოველი მატჩი საბჭოთა კავშირის საკმაოდ ძლიერ გუნდებთან, ნიშნავდა ქართული გუნდის ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ წვრთნას. არც ის გახლავთ დასამალი, რომ სპორტი მსოფლიოში მშვიდობის დესპანად არის მიჩნეული და მან შეიძლება გაალხოს ის პოლიტიკური ყინულიც, რომელიც დღეს აისბერგებად არის აღმართული ერთ დროს მართლაც მოძმედ აღიარებულ ქვეყნებს შორის.

ჩვენი გაზეთი იწყებს პოლემიკას აღნიშნულ საკითხზე და ჩვენ მზად ვართ დავბეჭდოთ ამ წერილთან დაკავშირებული ყოველგვარი გამოხმაურება, რაოდენაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იგი ბატონი ზურაბ მორგოშიას თვალსაზრისს.

ალასანია ვიცე-პრემიერის პოსტიდან გადააყენეს

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ალასანია** ვიცე-პრემიერის პოსტიდან გადააყენეს. მისი გადაყენების შესახებ ბრძანებას პრემიერ-მინისტრმა 21 იანვარს მოაწერა ხელი და ის უკვე მთავრობის საიტზეა გამოქვეყნებული, თუმცა, მიზეზი მითითებული არ არის.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად საქართველოს მთავრობის წევრს ირაკლი ალასანიას შეუწყდეს საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება“, – ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის №24 ბრძანებაში.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ ირაკლი ალასანიასა და პრემიერ **ივანიშვილს** შორის საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით **„მძიმე საუბარი“** გაიმართა, რის შესახებაც თავად ალასანიამ გუშინ, 22 იანვარს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა **„აქცენტებში“** სტუმრობისას განაცხადა. მისივე თქმით, პრემიერი გარკვეულწილად შეშფოთებული იყო იმით, რომ ამ საკითხის განხილვა მასთან შეუთანხმებლად ხდებოდა.

„მე ვეთანხმები მას, რომ ეს საკითხი უნდა იყოს კოალიციასთან, მის ლიდერთან შეჯერებული. აქედან გამომდინარე, იყო საუბარი ამ თემაზე. მე არ მესიამოვნა, რომ ასეთი უხერხულობის მიზეზი გაჩნდა“, – აღნიშნა მაშინ ალასანიამ, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ეს იყო ჯანსაღი დიალოგი ხელმძღვანელსა და მის გუნდს შორის, რადგან **„რომ არ იყოს ასეთი საუბრები, ეს იქნებოდა ძალიან ცუდი“.**

სოციალურ ქსელებში გავრცელებული ცნობებით, ეკა კვესიტაძის გადაცემაში სტუმრობის დროს მან ჯერ კიდევ არ იცოდა პრემიერ ივანიშვილის ზემოაღნიშნული ბრძანების შესახებ.

თავის მხრივ, თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ვიცე-პრემიერის პოსტის დატოვებაზე გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილთან ერთად მიიღო. მისი თქმით, ხსენებულ საკითხზე საუბარი პრემიერსა და მას შორის 2 დღის წინ გაიმართა. ალასანიამ გამოთქვა სურვილი ვიცე-პრემიერის პოსტის დატოვების შესახებ, ხოლო პრემიერმა ეს სურვილი დააკმაყოფილა.

საქინფორმის მკითხველს შევახსენებთ, რომ ამჟამად საქართველოს მთავრობაში მხოლოდ ერთი ვიცე-პრემიერი – ენერგეტიკის მინისტრი **კახა კალაძე** რჩება.

საქინფორმი

პატრიარქმა ილია მეორემ პუტინს საქართველოს პრემიერისგან მოკითხვა გადასცა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთისა და თბილისის არქიეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია მეორემ** რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ბიძინა ივანიშვილისგან** მოკითხვა გადასცა. როგორც სააგენტო **“რია ნოვოსტი“** იუწყება, პატრიარქისა და პრეზიდენტის შეხვედრა 23 იანვარს, ნოვო-ოგარიოვოში გაიმართა.

“მინდა გადმოგცეთ მოკითხვა ჩვენი ახალი პრემიერ–მინისტრისგან. ის ყველაფერს აკეთებს რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. ვფიქრობ, რომ პრობლემები, რომლებიც ჩვენ შორის არსებობს, აღმოიფხვრება და ჩვენ უწინდებურად ძმურად ვიცხოვრებთ“, – ბრძანა ილია მეორემ.

თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინმა პატრიარქს მიულოცა 80 წლის იუბილე და აღსაყდრებიდან 35 წლისთავი, აგრეთვე მართლმადიდებელ ხალხთა ერთიანობის ფონდის პრემიის მინიჭება.

“განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო იმისთვის, რომ თქვენ დღევანდელ რთულ პირობებში, ვგულისხმობ საქართველო-რუსეთს შორის არსებულ რთულ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობას, აკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია, ჩვენს მომმე ხალხებს შორის ჰუმანიტარული, სულიერი და კულტურული კონტაქტების მხარდასაჭერად“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

შეხვედრაში მონაწილეობდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე

საქინფორმი

დათო გულუას ხსოვნას

ვაღებ ურდულით გადარაზულ სხეულის კარებს
და მინდა სული გამოვიდეს ვით სერაფიმი,
რომ დავეკიდო ვარსკვლავების ციმციმა ჭაღებს,
გაუწყვეტელი, გაუხლეჩი წმინდა ძაფებით.
მე ვაღებ მკაცრად გადარაზულ სხეულის კარებს,
მინდა რომ იყოს ჩემი სული უბრალო ნიმფა,
რომელსაც ქარის მოძრაობა აახარხარებს,
გაინავარდებს და ღრუბლებში თავს რომ დაიბანს.
მე ვაღებ სხეულს უფრო ფართოდ ვიდრე სამოთხეს,
მე ვაღებ სხეულს და ეშვება ჩემი ხელები,
მინდა რომ სული სუნთქვასავით ისე აღმომხდეს,
რომ აღარ იყოს დასახმარი, მისაშველები.
მე ვაღებ სხეულს და იმსხვრევა მისი ურდული,
თვალის შუშები, ნეკნები და ხელის ვენები,
სხეულო ჩემო სულისაგან ხარ გაქურდული,
და სამარეში ბუმბულივით ჩავესვენები.
ჩემს ქვევით მოსჩანს დიდი ველი სახნავ-სათიბი,
ჩემს ქვევით მოსჩანს ევერესტის საყინულეთი,
და ჩემი სული ფრთას მოიქნევს ვით სერაფიმი,
უკან დამრჩება სასრულიც და უსასრულეთიც.
მე ვაღებ სხეულს, ბოლო სუნთქვით ფეთქენ ფილტვები,
და იხარჯება ჩემი გულის ბოლო ჯოული,
აღარასოდეს პატიმარად არ ჩავითვლები,
მივიქნევ ფრთებს და დედამიწას კვლავ შემოვუვლი.
მე ვაღებ სხეულს და გავდივარ გვამეთის ფონს,
ჩემს ქვევით ისევ ღიღინებენ ზარები დონს!
სხეულო გთმობ!
თოვს!
ზარები დონ!
ზარები დონ!

გიო გოგეჩია,
ზუგდიდი

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-204

თვით პლინიუსიც ამბობს: რიონი მეგრელების მიწაზე დიოდაო. **საგეოგრაფიო სახელების შესწავლა, მაშასადამე, უეჭველს ხდის, რომ მთელი ის მიწა-წყალი, რომელიც კოლხიდის საზღვრებს შუა იყო მოქცეული, თავდაპირველად მხოლოდ მეგრულ-ლაზურ შტოს ტომებს ეკუთვნოდა. ასე იყო, როგორც ჩანს, სტრაბონისა, პლინიუსისა და პტოლომის თხზულებების მიხედვით. პირველ ორს საუკუნეში, შემდეგ – დაახლოებით დროის განსაზღვრა... ჯერ-ჯერობით შეუძლებელია – ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი, ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ-აღმოსავლეთით შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთი-ერთმანეთისაგან დაუშორებია, ხოლო დაპყრობილი ადგილების მაცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ, ამის გამო ახლანდელი გურულები და იმერლები გაქართველებულ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ.**

თუ ვინ იპყრობს ეგრისს (კოლხიდას) დ. ბაქრაძე არ მიუთითებს, ჩანს დანაშაულად მიაჩნდა ეს მოქმედება. პროფ. დავით გვრიტიშვილს მიაჩნდა, რომ დ. ბაქრაძემ ეს გვარი არ დაასახელა, რადგან მის სახელს შეურაცხყოფა არ მიაყენა და როგორც ჩანს, შემდგომში ეს ტრადიციად გახდა; ამტკიცებენ, რომ ირანის შაჰთან შეთანხმებით ვახტანგ გორგასალს სამეგრელო უნდა დაეპყრო, მაგრამ მიუხედავად მოულოდნელი თავდასხმისა, სამწლიანი ბრძოლა უშედეგოდ დასრულებულა და მამისონის უღელტეხილის იქით ვერ წასულა. გორგასალს ბრძოლა შეუწყვეტია. წასულა სპარსეთში და ჯარით დახმარება უთხოვია შაჰისათვის, რომელსაც სანაცვლოდ მოუთხოვია აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ჯარით დახმარებოდა მას საბერძნეთის წინააღმდეგ მომავალ ომში. სპარსეთის მრავალრიცხოვანი ჯარის დახმარებით გორგასალს დაუპყრია სამეგრელო – მოძმე ნათესავი ხალხი, ქართული ქვეყანა. სამეგრელოს შუაგულში ჩასახლებული იქნა აღმოსავლეთ საქართველოდან იძულებით გადმოსახლებული სხვა ქართველური ტომები. დ. ბაქრაძე გარკვევით წერს **„რომ ქართველები ძალად შეიჭრნენ სოლივით მათ მხარეში და ერთმანეთისაგან განაცალკევეს ისინი, მაგრამ, როდის რა ვითარებაში, აი, რა არის ფარული, განუჭვრეტელი წყვდიადით"** (?!). ასევე წერენ ი. გოგებაშვილი, ი. ჯავახიშვილი და სხვები, ხოლო ბათლომე სართანიას ნაშრომში **„ძველი კოლხეთი"** აქვს ასეთი ქვესათაური: **„ვ. გორგასალის ომი სამეგრელოსთან".**

ჩვენ ვიცით, რომ იბერელნი, იმერელნი მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდენ, მაგრამ შემდეგ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, **„რომელიღაც, ქართლიდან შემოსულმა ტომმა ქართული შეათვისებინა. ცხადია იბერიელებს, იმერლებს, მეგრელებსა და ქართლელებს შორის უნდა ეცხოვრათ. სწორედ ამ იბერიელ ტომს ეკუთვნოდა პირველ საუკუნეში ქრ. წ. უპირატესობა, მან მიანიჭა თავისი სახელი მთელ ამ ქვეყანას; შესაძლებელია მხოლოდ, რომ ეს იბერელნი ამ დროს გაქართველებულნი არ ყოფილიყვნენ, შემდეგ ქართლელნი გაძლიერდნენ და ყველა თანამოძმე ტომების მწერლობისა და ცხოვრების სათავეში ჩადგნენ", –** წერს დიდი მეცნიერი.

ცნობები ქართველი ტომების უძველესი ბინადრობის შესახებ სრული არ იქნებოდა, თუ ურარტელებისა და ხეთელების ვინაობას არ შევეხეთ. კასკების ან კოლხების აღმოსავლეთით, მდ. ევფრატის და ტიგროსის სათავეებზე, ვანის ტბის, მდ. არაქსისა და არარატის (ცნობილია, რომ სომეხ მეცნიერებს უზომოდ უყვართ სომხეთის ისტორიის უსაფუძვლო ქება-დიდება, ასე იყო ადრეც და ასეა დღესაც. განსაკუთრებით აქებენ არარატს და ის ზდაპრის დონემდე აქვთ აყვანილი, მაგრამ არსად არ ახსენებენ რომ არარატს ადრე კარდუ-ქართუ ერქვა. იხ. გაიოზ მამალაძე, **„საქართველოში ნაციზმის წარმოშობას არასოდეს ჰქონია საფუძველი"**, გაზ. **„ჯორჯიან თაიმსი"**, 2008წ., 17-24 ივლისი, №029, გვ. 9 და სხვ.) მიდამოების (მიმდინარე) ქვეყნები ნაირისა, ვანისა და საქართველოს (კოლხეთის) სამეფოები იყო.

„სიტყვები ნაირი, ბია ანა და ურარტუ მხოლოდ ქვეყნების საკუთარი სახელებია, თვითონ ხალხი – კი თავის თავს ქალდის ანუ ხალდის ეძახდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს სახელი ქართული ტომების საზოგადო სახელწოდება იყო (ქართუ – ელი, კარდუხი); ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ეს ქალდები ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ. მართლაც, თითქმის ყველა თანამედროვე მეცნიერს ურარტელები ან ქართველების წინაპრებად, ან მონათესავე ერად მიაჩნიათ (ლენორმანი, სეისი, მასპერო, ფ. ჰომმელი)". (სწორედ მსოფლიოს უპირველესი და უძველესი ხალხი ქალდმეგრელები არიან. ივანე ჯავახიშვილი, ქართველების სამი შტო", ჟურნ. „აია", 2001, №9-10. გვ. 15). ეს არის ჩვეულებრივ ივ. ჯავახიშვილის მიერ ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები.

ქრისტიანობის საწყისი – პირველ საუკუნეები მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა, რომლის შესახებ დიდი ივანე ჯავახიშვილიდან ზემოთ ვრცელი ამონარიდი გვაქვს მოხმობილი.

ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული დებულების შესახებ ა. შონია აღნიშნავს: **„დიდ ივანე ჯავახიშვილს ლაზები მეგრელებად მიაჩნდა, რაც იქიდან ჩანს, რომ ის ერთგვარ გაკვირვებას გამოთქვამს, თუ როგორ მოხდა მეგრელების შუაწელში ქართლური ტომების შეჭრა და სამხრეთისა და ჩრდილოეთის მეგრელების ერთმანეთისგან დაშორება"** (**ივანე ჯავახიშვილი,** ქართველების სამი შტო, ჟურნ. **„აია"**, 2001, №9-10. გვ. 15).

პავლე ინგოროყვა **„გიორგი მერჩულეში"** წერს: **„მთა აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) დასახლებული ყოფილა ტომით, რომლის ტომობრივი სახელწოდება ყოფილა „მოსხი" იგივე მესხი. როგორც ირკვევა აფხაზეთშიც ადგილი ჰქონია ისეთივე ტერიტორიულ თანამეზობლობას მეგრულ-ლაზურ და მესხთა ტომებისა, როგორც ჩვენ გვაქვს სამხრეთ კოლხიდაში, სადაც სამეგრელოსა და ჭანეთს შუა ზოლთაშორისად არის შეჭრილი მესხურთა ტომის შტო (გურულები და ქობულაჭარლები), რომელი დიალექტზე ლაპარაკობდა აფხაზეთის მესხთა ეს ტომი, საკუთრივ ქართულზე თუ ადგილობრივ ეგრისულ დიალექტზე, გაურკვეველი რჩება. საფიქრებელია, რომ თავდაპირველი ენა ამ ტომისა საკუთრივ ქართული იყო"** (რასაც გვაფიქრებინებს მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების საკუთრივ ქართული ხასიათი). (**პავლე ინგოროყვა**, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 129.)

მესხები მეგრული ტომები იყვნენ, იმ პერიოდის აფხაზები კი რა თქმა უნდა, მეგრელები იყვნენ და მეგრულ ენაზე მეტყველებდნენ, უფრო ზუსტად სამურზაყანოს (იმ კუთხის) მეგრულ კილოზე. აფხაზეთში გეოგრაფიული სახელებიც მეგრულია, მაშასადამე, აქ მცხოვრები ტომები მეგრულ (ქართულ) ენაზე მეტყველებდნენ.

იაკობ გოგებაშვილი წერს: **„ჭანები ძმები არიან მეგრელებისა. ძველის-ძველად ჭანები და მეგრელები შეადგენდნენ ერთ დიდ ერსა და გაბმით ეჭირათ აღმოსავლეთ ნაპირი შავი ზღვისა და სამხრეთი ნაპირი ნახევრობით. შემდგომში ქართველები აღმოსავლეთით მიაწვნენ შავი ზღვის პირას, შუაში გააპეს მეგრელ-ჭანების ტომები, დასახლდნენ ახლანდელ საცხოვრებელ ადგილზედ და გაიცალკევეს დიდი ხნის ერთად მცხოვრები ძმები. ჩვენი პატივცემული ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის აზრით კი, ახლანდელი გურულები მეგრელები არიან, მხოლოდ დროთა ვითარებაში სრულიად გაქართველებულნი."** (**იაკობ გოგებაშვილი,** ბუნების კარი, გვ. 528).

კიდევ ერთი მაგალითი: აკად. ნიკო ბერძენიშვილი ამბობს: **„არქეოლოგიური და ისტორიული ტოპონიმური მონაცემები და წერილობითი ცნობები... მოწმობენ, რომ შუა და გვიან ბრინჯაოს ხანაში... აწინდელი ტაო-კლარჯეთის, სამცხის და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი) ნაწილი მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა".**

ნოდარ დარასელიძე აღნიშნავს, რომ **„იოანე ლაზისა და პეტრე იბერიელის ახლო ურთიერთობა ბიზანტიის კეისართან და დედოფალთან, იბერიასა და სომხეთს, სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლას უადვილებდა".**

ეს იყო ვახტანგ გორგასლისა და მისი შვილის დაჩის ეპოქა. ვახტანგ გორგასლის პოლიტიკა სპარსეთისა და ბიზანტიის მიმართ ხანდახან უკომპასო ხომალდივით ირყეოდა. ბიზანტიის წინააღმდეგ ვახტანგ გორგასალის ამხედრების ცნობამ მითრიდატე ლაზზე ისე იმოქმედა, რომ კინაღამ სული განუტევა. ამის თაობაზე იოანე რუფუსი (პეტრე იბერიელის მოწაფე) წერს: **„მამა პეტრე ძალიან მოტეხილი, განუწყვეტლივ ევედრებოდა უფალს მისის ჯანმრთელობის შესახებ, მას მოესმა ხმა, რომელმაც უთხრა: „გამხნევდი, აჰა, მე მივანიჭებ მას ჯანმრთელობას შენი თხოვნის გამო და მის სიცოცხლეს კიდევ დაუმატებ ზედმეტ თორმეტ წელს – რაც აგრეთვე მართლად შესრულდაო".**

ეს ზემოხსენებული უბედურება უნდა მომხდარიყო დაახლოებით 452-453 წლებში, რადგან მითრიდიტე ლაზი 464 წელს გარდაიცვალა. ამგვარად, 12 წლით ადრე 464-12=452 წ. როგორც ჩანს, ვახტანგ გორგასალი ბიზანტიელებს აუმხედრდა.

"ქართული ეკლესიისა და ვახტანგ გორგასალის ცხოვრებისა და ისტორიის გადმოცემისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მითრიდატე ლაზისა და პეტრე იბერიელის მოღვაწეობა ბიზანტიაში, მათი ეროვნული ძალისხმევა და ა. შ. ჩვენმა სულიერმა მამებმა ორი უბედურებიდან ნაკლები უბედურება, ე.ი. ბიზანტიასთან ახლო ურთიერთობა აირჩიეს" (ნოდარ ხვედელიძე, სომხური დამწერლობა იოანე ლაზმა შექმნა, ჟურნ. **„აია"**, 1998. №1, გვ. 121.). – ასეთი დიდი ციტატა მიტომ მოვიტანე, რომ აქ კარგად ჩანს ვახტანგ გორგასლის დამოკიდებულება ქრისტიანულ ბიზანტიასთან და მუსულმანურ სპარსეთთან.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, ვახტანგ გორგასალი სპარსეთის შაჰს შვიდი წლის განმავლობაში ეხმარებოდა მახლობელი ქვეყნების დაპყრობაში, იგი თურმე ცეცხლთაყვანისმცემელი ყოფილა (?), აგრეთვე ისიც, რომ გამაზდიანებულ მეფეს მცხეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც აღინიშნა, იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ქრისტიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად ირანის შაჰთან შეთანხმებით, სამეგრელო უნდა დაეპყრო და თავისი ჯარებით დაესხა მას.

ირანის შაჰმა მოითხოვა ვახტანგ გორგასალი საქართველოს გაერთიანებული ჯარით დახმარებოდა მას საბერძნეთის წინააღმდეგ მომავალ ომში. მაგრამ ვახტანგ გორგასალი იძულებული იყო უარი ეთქვა ქართული ჯარით წასულიყო საბერძნეთში საბრძოლველად, რადგან იცოდა, რომ ასეთი გაერთიანებული, მრავალრიცხოვანი ჯარით, შაჰი დაამარცხებდა საბერძნეთს, იქვე გაანადგურებდა მას (გორგასალს) და ამის შემდეგ გაუადვილდებოდა მთელი საქართველოს დაპყრობა.

ამის გარდა, საქართველო არ წავიდოდა ქრისტიანული ქვეყნის – საბერძნეთის წინააღმდეგ, ქრისტიანობის დაუძინებელ მტერს – სპარსეთს არ დაეხმარებოდა. მით უმეტეს, ქართული ქრისტიანული ეკლესია მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბერძნეთთან. ამ პერიოდში ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას შეთქმულება ჰქონდა მოწყობილი ვახტანგ გორგასალის წინააღმდეგ – გადმობირებული ჰყავდათ მისი სანდო მეჯინიბე. ასეთია მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრი. თუმცა ვახტანგ გორგასალის მემატიანე ჯუანშერი წერს, რომ სპარსელმა მეომრებმა მას ისარი ჩაკრეს და მომაკვდავმა ვახტანგ გორგასალმა ქართველებს უანდერძა ბოლომდე დაეცვათ ქრისტიანობა.

ვახტანგ გორგასალი მეფე მირდატის და დედოფალ საგდუხტის ვაჟი იყო. ვარან-ხოსრო-ტანგი – ქართულად ვახტანგი. მან შუა აზიასა და ინდოეთში ლაშქრობიდან დაბრუნებულმა იღაშქრა კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ. მერე იქიდან კავკასიონს დაჰყვა, აფხაზეთიდან და ეგრისიდან ბიზანტიის ჯარიც განდევნა, 12 ახალი საეპისკოპოსო დააარსა, დააწესა კათალიკოსობა, 475 წელს ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა, 482 წელს მოაკვლევინა ირანის მომხრე პიტიახში ვარსქენი და ირანელთა წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა დაიწყო, მაგრამ მოღალატეთა წყალობით დამარცხდა და ეგრისში გადავიდა. ქართლში დაბრუნებული მეფე სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა ირანელთა წინააღმდეგ – წერენ წიგნის „დიდი ქართველი მეფეები"-ს ავტორები. (დიდი ქართველი მეფეები, ტექსტის ავტორი **ვაჟა შუბითიძე,** გვ. 14-15.).

აკად. მარიამ ლორთქიფანიძე კი წერს: **„გორგასალი იმასაც კი იტანდა, რომ ქართლში ცეცხლისმსახურება, ქრისტიანობის გვერდით, სახელმწიფო რელიგიის რანგშია აყვანილი და თვითონ კი ირანის ვასალი იყო. მან მთელი სისტემა შექმნა საფორტიფიკაციო ნაგებობებისა, გაამაგრა დარიალის კარი, როგორც ირანის მოხელემ (ეს ირანის სახელმწიფოს ჩრდილო საზღვარი იყო), ააგო უჯარმის, ხორნაბუჯის, ჭერმის ციხეები, დაიბრუნა ტაო-კლარჯეთი და ასე მომზადებულმა შეუტია მტერს."** (**მარიამ ლორთქიფანიძე.** საქართველო თავის ხალხთან ერთად უნდა გადარჩეს, გზ. **„დილის გაზეთი"**, 2000 წ, 25 დეკემბერი.).

2007 წლის დეკემბრის ბოლოს (აწერია №5, იანვარი, 2008) გამოვიდა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული 90 გვერდიანი (გვერდები და ავტორთა გვარსახელები არაა მითითებული) ჟურნალი **„გზა გამარჯვებისაკენ"**, მეთვრამეტე გვერდზე (გადათვლით) გამოქვეყნებულია სტატია **„მედეას დაბრუნება საქართველოში"**, რომელშიც ნათქვამია: **„ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მედეამ რომ არგონავტების თავკაცი იასონი გადარია, ყველამ ვიცით. ოქროს საწმისის ამბავიც მთელ მსოფლიოს სმენია და ისიც ვიცით, რომ მედეა როგორც კოლხეთის მეფე აიეტის ასული, ჭეშმარიტი ქუთაისელი იყო. მაგრამ ყველამ არ იცის, რომ სიტყვა „მედიცინა" ძველმა ბერძნებმა სამკურნალო მეცნიერებას სწორედ ჩვენი მედეას დამზადებული მაკურნებელი მალამოების გამო დაარქვეს ანუ, თუ კარგად გავაანალიზებთ (და თუ ცოტა ქუთაისურადაც გავაზვიადებთ), შეგვიძლია თამამად გამოვაცხადოთ საქართველო მედიცინის სამშობლოდ, ხოლო ქუთაისი – მსოფლიოს მედიცინის დედაქალაქად... ქუთათურებს ნამდვილად საამაყოდ აქვთ საქმე... მედიცინის დედად წოდებული მედეა ქუთაისელია".**

რატომ დასჭირდა, ყველაფერი ეს, ამ სტატიის ავტორს?

აღნიშნული სტატიის ავტორმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ აიეტისა და მედეას დროს კუტაია (ქუთაისი) არ ყოფილა (არ შეიძლებოდა ყოფილიყო) კოლხეთის დედაქალაქი. მან ასევე არ შეიძლება არ იცოდეს როდის დაერქვა ქალაქს კუტაია (შემდეგში ქუთაისი), რამ განაპირობა ამ სახელის დარქმევა. ნუთუ არ უნდა დავუჯეროთ დიდ ივანე ჯავახიშვილს, თუ რა დროიდან გახდა ქუთაისი კოლხეთის დედაქალაქი. (**ივანე ჯავახიშვილი,** თხზ. ტ.I, გვ. 314-315.). ეს საკითხი ჩვენ განხილული გვაქვს ამ ნაშრომის მეორე თავში, **„რა ენაზე მეტყველებდნენ ძველი კოლხები"**. რას აღწევს ავტორი იმის თქმით, **რომ „მეფე აიეტი ჭეშმარიტი ქუთაისელი იყო".** ავტორი ამბობს, რომ **„ყველამ არ იცის"**, რომ **„სამკურნალო მეცნიერებას"** მედეას გამო დაარქვეს სახელი. – სწორედ ეს მსოფლიოში თითქმის ყველამ კარგად იცის და მას საკამათოდ არავინ ხდის; ასევე ყველამ კარგად იცის, რომ **„საქართველო მედიცინის სამშობლოა, მაგრამ არავინ იცის, რომ ქუთაისი მსოფლიო მედიცინის დედაქალაქია. კიდევ ერთხელ მინდა ვიკითხო: რა საჭიროა ეს? ამით ხელისუფლებას (რომელიც ამ საქმეში არაფერ შუაში არ არის!) არაკეთილშობილურ სამსახურს უწევენ. რისთვის?"**

როგორც ცნობილია, არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში დაიწყო ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეადან, ბოლო პუნქტი კი იყო მდ. ფასისი (რიონი), ნავსადგური **„სუნჯუნა"**, ე.ი. **„არგომ"** ღუზა ჩაუშვა კოლხეთის დედაქალაქ **„აია"**-ს ახლოს მდებარე ტერიტორიაზე. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და მედეაც იქაურია და არა ქუთაისელი. (არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის საკითხი გადმოცემული გვაქვს 2008 წელს გამოსულ ნაშრომის III თავში **„მსოფლიოს უძველესი მითი კოლხეთის შესახებ"**. ასევე ორიოდე სიტყვით აღწერილი გვაქვს ტიმი სევერინის, და სხვა სწავლულების ექსპედიციები კოლხეთში, რომლებმაც განიმეორეს – იმოგზაურეს არგონავტების ნაკვალევზე.).

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ოქროს საწმისის დაბრუნება

პროგრესი მხოლოდ კავკასიური რასის გზითღა იწყება.
ჰეგელი

რანი ვიყავით

1990 წლის 2 მაისს ფილარმონიის დარბაზში წაკითხულ ლექციაში **"საქართველოს მისსია"** ბატონი ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის პერიოდში საქართველოს ისტორია, ქართველთა ეთნოგენეზისი, ქართული კულტურის ისტორია მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუირებული იყო. ტაბუირებული იყო ევროპელი დიდი მეცნიერი ილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზის, მათი კულტურის, ენის შესახებ. **"ეს იმის გამო ხდებოდა, მეგობრებო, რომ სურდათ ქართველი ერისთვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი".**

ასეთია ბატონი ზვიადის დასკვნა და მიუთითებს იმას, რომ ჩვენი მეცნიერების დიდი კორიფეების ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარის, მ. წერეთლის გამოკვლევებით, სამხრეთ ევროპის: პირენეის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების, იტალიის ავტოქტონური მოსახლეობა იბერიული მოდგმა იყო, ანუ სხვა იდენტური ტერმინებით პლეოკავკასიური, მედიტერიანული, ხმელთაშუა ზღვის რასა იყო. ეს ტერმინები იდენტურია და ერთი მოდგმის, იბერიული მოდგმის აღსანიშნავად გამოიყენება.

ეს მოდგმა უძველესი დროიდან სახლობდა პირენეის ნახევარკუნძულზე, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში, მცირე აზიაში, ინდოეთში...

ამ გამოკვლევათა ჭეშმარიტებას ადასტურებს ევროპელი და ამერიკელი მეცნიერების უახლესი ბიოგენეტიკური გამოკვლევები. ანალიზებმა აჩვენეს, რომ ფარაონთა მუმიებსა და ევროპის მოსახლეობის დიდ ნაწილს კავკასიური რასისათვის დამახასიათებელი გენები აქვთ.

საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის არარსებობის ჟამს და ამგვარი ისტორიული წინაპირობების მიუხედავად, ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა რატომღაც კვლავ დუმილს არჩევს. ხმას არ იღებენ, მაშინ როცა მათი დუმილით გათავხედებული და გულმოცემული სომეხი მეცნიერები **"ჩაკრულოს", "სულიკოს", "ხაჭაპურის"** გასომხებით კი აღარ კმაყოფილდებიან, არამედ კაცობრიობას ლამის კოლხური სამყაროს კანონიერ მემკვიდრედ მოევლინონ.

საბედნიეროდ, გვყავს ქართველი მეცნიერები, რომლებმაც ტაბუ დაარღვიეს, იცავენ ქართველი ერის ინტერესებს, ნათელს ჰფენენ კოლხურ სამყაროს, იბერთა უდიდეს დამსახურებას საკაცობრიო ცივილიზაციისა და კულტურის განვითარებაში.

ვფიქრობ, მათ გამოკვლევებს წარსულის მხოლოდ ობიექტურად დანახვისა და დაფიქსირების ფუნქცია არა აქვთ. მათ უფრო მეტად მნიშვნელოვანი, არ შევცდები თუ ვიტყვი, პოლიტიკური როლი აკისრიათ დღეს დამცრობილი, მიჩქმალული, დამახინჯებული საქართველოს ისტორიის, იბერიული მოდგმის ძველი კულტურის წარმოჩენაში, ქართველური ტომების შედუღაბებაში, განსაკუთრებით, ძმები ლაზების ძველ სახლში დაბრუნებაში და ერთჭერქვეშ, ერთ კერიასთან თანაცხოვრებაში.

რანი ვართ

საუბედუროდ, არსებობენ სულგაყიდულნი, რომლებიც არამც თუ ამაყობენ კოლხური მოდგმით, იბერიული მოდგმით, ჩვენი უძველესი ისტორიითა და კულტურით, ჩვენი საკაცობრიო ფუძე ენით, ჩვენი ჰუმანური ცხოვრების წესითა და ტრადიციებით, არამედ თავხედურად აკნინებენ, ცილს სწამებენ, სულში აფურთხებენ, ლაფში სვრიან ქართველი კაცის ღირსებას, ნიჭიერებას, აბუჩად იგდებენ დიდი ილიას სამ ღვთაებრივ საუნჯეს: **"მამული, ენა, სარწმუნოება"**... აბიაბრუებენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ქართველ ერს უნერგავენ არასრულფასოვნების კომპლექსს.

ამ ადამიანთა უმრავლესობა 90-იან წლებში დაუპირისპირდა ეროვნულ მოძრაობას და ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ უცხოეთიდან გულუხვად დაფინანსებულნი, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში მოკალათებულნი დღემდე აგრძელებენ ქართული სულიერების ნგრევას.

მარქსისტული ფილოსოფიის დოქტორი, აწგანსვენებული მ. მამარდაშვილი, რატომღაც ეროვნული მოძრაობის მიმართ მტრულად განეწყო. როცა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნულმა მოძრაობამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, სასოწარკვეთილმა შესძახა: **"საქართველოში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა სუფთა სახით"!**

ამ **"დიდი მოაზროვნის"** აზრით, ქართული ხასიათი ეფუძნება **"კერპთაყვანისმცემლობის მოთხოვნილებას, ყალბად გაგებულ პატრიოტიზმს, ჩამორჩენილობას, საკუთარ თავში შეყვარებულობას, ამპარტავნობას, რწმენას, რომ ყველაზე კარგები, ჭკვიანები ვართ".**

"დიდ მოაზროვნეს" არც წვრილფეხა ფილოსოფოს-სოციოლოგ-ფსიქოლოგები ჩამორჩებიან ქართველი ერის ლანძღვა-გინებაში.

მათი რიცხვი და სახელი ლეგიონია!

"თავისუფლების ინსტიტუტში" გამოჩეკილი და დაფრთიანებული დ. ზურაბიშვილი ქართულ სულიერებას ლანძღავს. მისი აზრით, თურმე ქართული ცნობიერება **"ტოტალისტურ აზროვნებას", "ტოტალისტურ ტენდენციებს წარმოშობს".** ქართულმა **"ფეოდალისტურმა ფსიქიკამ"** დაბადა არა მარტო **"სტალინის ფენომენი"**, არამედ ისეთი **"უბედურება"**, როგორიცაა **"ეროვნული დამოუკიდებლობის"** იდეა. რადგან ქართული ცნობიერება **"ფეოდალისტური ცნობიერებაა"**, აქედან გამომდინარე, იგი **"მონური ცნობიერებაა"**.

ამ ჭკუისკოლოფას ძალიან სურს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა მონურ მოძრაობად მონათლოს.

რადგან ეროვნული მოძრაობა **"ფეოდალისტური", "მონური ცნობიერების"** ნაყოფია, ამიტომ ამ მოძრაობას **"შინაგანი ზნეობრივი დვრიტა"** აკლია!

ეროვნული მოძრაობის და ამ მოძრაობას მსხვერპლად შეწირულთა ზნეობრივ დვრიტაზე ლაპარაკობს კაცი, რომელმაც **"საიდუმლო სირობის"** პრეზენტაციაზე საპატიო სტუმრად მიწვეულმა ასეთი რამ თქვა: **"მართალია, ეს შედეგი არ არის, მაგრამ არა უშავსო"!**

მკითხველს ვთხოვ ყურადღება მიაქციოს ზურაბიშვილის ლოგიკასა და მსჯელობის სტილს. იგი, როგორც **"თავისუფლების ინსტიტუტში"** გამოჩეკილი და ინსტიტუტის ბეჯითი მორჩილი, ზედმიწევნით კარგად ასრულებს მამა-მარჩენალის სოროსის ერთერთ შეგონებას: **"ილაპარაკეთ და იმოქმედეთ მტკიცედ და გამოიყენეთ ლამაზ-ლამაზი სიტყვები, იხმარეთ რაც შეიძლება უფრო გაუგებარი და ვითომ მეცნიერული ტერმინები. მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვით, მთავარია, როგორ იტყვით".**

ახლა, ვნახოთ როგორი დიაგნოზი დაუსვა გ. მარგველაშვილმა ისედაც გაუბედურებულ **"მონური ცნობიერების"** მქონე ქართველ ერს: **"ქართველ ერს ახასიათებს გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმა... ის მოკლებულია სოციალურ აზროვნებას და პასუხისმგებლობის გრძნობას".**

აფერუმ, განმანათლებელო!

ვიდრე ზ. ოდილავაძე თავის სტატიაში **"მითოლოგიური ცნობიერებიდან ფაშიზმამდე"** ავითარებს უფროს თანამოკალმეთა აზრს იმის შესახებ, რომ ქართულ ცნობიერებას ფაშიზმამდე მივყავართ. რადგან ქართველებს მითოლოგიური ცნობიერება გვაქვს, აქედან ოთხი ძირითადი მაჩვენებელი გამოდის: **"1. აზროვნება-უკრიტიკო; 2. ცნობიერება-მითოლოგიური; 3. მენტალიტეტი-მონური; 4. მორალი-ფარისევლური".**

ამ ვაუბატონმა ქართველი ერი თითქმის ცხოველის დონეზე დაიყვანა. როცა ჩვენ ვამბობთ (სხვებიც ამბობენ): **"საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა", "მაცხოვრის საფლავზე სომხებისთვის ღვთაებრივი ცეცხლი არ გადმოდის", "დავით აღმაშენებელმა დიდგორის ომი მოიგო"** ეს თურმე ჩვენი განუვითარებადი, **"მითოლოგიური ცნობიერების"** ნაყოფია! **"მითოლოგიური ცნობიერებიდან"** ფაშიზმამდე კი ერთი ნაბიჯი ყოფილა!

შემიძლია დავიფიცო, არც ჟურნალ **"ტაბულის"** ავტორს ზ. ოდილავაძეს და არც ამ ჟურნალის რედკოლეგიას მითოლოგიურ ცნობიერებაზე და ფაშიზმზე წარმოდგენა არა აქვთ!

გარყვნილი, ბილწსიტყვაობის დიდოსტატი ზ. ბურჭულაძე აღშფოთებულია ქართველი ერის სიბნელით, უწიგნურობით. **"ჩვენ რომ ბნელი ხალხი ვართ, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ძალიან ბევრმა ბავშვმა მართლაც არ წაიკითხა ეს წიგნი"** (ლაპარაკია სატანისტურ წიგნზე **"ჰარი პოტერი"**).

ქართველი ფსიქოლოგების (გადაგვარებული ქართველების) აზრით, ქართული ეროვნული მოძრაობა ნეკროფილური ხასიათისაა, რადგან ის ეფუძნება **"ნეგატიური თავისუფლების პრინციპს"**(?!).

დაუკმაყოფილებელმა ვნებამ განაპირობა ქართველი ქალების აქტიურობა ეროვნულ მოძრაობაში. ქართველი ქალების პატიოსნება, მორალური სიჯანსაღე თურმე მისი ტრაგედიის მიზეზი ყოფილა. ქართველი ქალი მსოფლიოში ყველაზე უმწეო და ჩამორჩენილი არსებაა. უგრძნობი, კარჩაკეტილი, შეზღუდული გონების, რამაც ქართული საზოგადოების განუვითარებლობა განაპირობა.

მართლაც ბედნავსი ერი ვართ! გვყოლოდა თავაშვებული როკაპი, კახპა, ბოზი ქალები, აი, მაშინ ნახავდით ქართული საზოგადოების უმაღლეს დონეზე განვითარებას!

ქართული საზოგადოების განუვითარებლობის კიდევ ერთი მიზეზი ქართველ ქალებში გაბატონებული დედობრივი სიყვარულის გრძნობა ყოფილა. დედობრივი სიყვარული უარყოფითად მოქმედებს მოზარდების ფსიქიკაზე. ამ სიყვარულის გამო ისინი უნებისყოფონი, პასიურნი, ნაკლებად დამოუკიდებელნი ხდებიან.

რას არ გაიგონებ ამ ცისქვეშეთში!

დიდი ილია ჩვენი ღმერთგამწყრალი ფსიქოლოგების შრომებს არ იცნობდა, თორემ ოთარაანთ ქვრივი საყვარლებს გაიჩენდა, შვილს ბოროტი დედინაცვალივით გაზრდიდა და ჩატეხილი ხიდის პრობლემაც აღარ იქნებოდა.

ღმერთო, მაპატიე იდეალური ქალისა და დედის ამგვარ კონტექსტში მოხსენიება.

წვერებცანცარა და ბლანჟეიანი ფილოსოფოს-სოციოლოგ-ფსიქოლოგების რისხვას ვერც ქართველი მამაკაცები გადაურჩნენ.

ქართულ სუფრაზე ღვინით შემთვრალი მამაკაცები ერთმანეთს ძმობას და სიყვარულს რომ ეფიცებიან, ერთმანეთს რომ კოცნიან, ეს თურმე ურთიერთის მიმართ სექსუალური ლტოლვით მოსდით. აი, რას წერს **"დიდი ფსიქოლოგი"** ე. ჯგერენაია: **"ქართული სუფრა ტრაგიკულ ვითარებას მალავს. ის მალავს ჰეტეროსექსუალური აქტის არ შემდგარობას, ღრმა ლტოლვას ქალისკენ და, იმავდროულად, ქართველი მამაკაცების, მე ვიტყოდი, პანიკურ შიშს ქალის, მისი სექსუალურობის წინაშე... შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტური და შინაარსით ტრაგი-ჰეტეროსექსუალისტურია, ხოლო ქართველი მამაკაცი – არშემდგარი ქალი ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა".**

პატივცემულო მკითხველო, გაიხსენეთ ერთი ქართველთმოძულე მასონის დირექტივა: **"გამოიყენე ლამაზი სიტყვები... იხმარეთ რაც შეიძლება გაუგებარი ტერმინები... მნიშვნელობა არა აქვს რას იტყვით, მთავარია, როგორ იტყვით"!**

ეს ქვებუდანნი მართლმადიდებლობასაც ებრძვიან

ე. ჯგერენაიას აზრით ქართული კულტურა იმიტომ არის ჩამორჩენილი, რომ ქართულ ეკლესიას რეფორმაცია არ განუცდია. თავის დროზე რეფორმები რომ გატარებულიყო, მაშინ ერთმანეთზე ნამეტნავად შეყვარებული მამაკაცები სუფრაზე კი არ დაიწყებდნენ კურკურს და სიყვარულის ახსნას, არამედ ეკლესიაში გაიქცეოდნენ და ჯვარს დაიწერდნენ, როგორც ეს ხდება დასავლეთის ბევრ ეკლესიაში.

გ. და გ. მამულიები ფიქრობენ, რომ ქართული ეკლესია ანტიდასავლურია. იგი ხელს უშლის არა მხოლოდ ერთსქესიანთა გაბედნიერებას, არამედ ევროპასთან კავშირს, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ა. ჯოხაძე ამტკიცებს, რომ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უარყოფითად იმოქმედა ქართველთა ბუნება-ხასიათზე და დაღი დაასვა მათ მოღვაწეობას სულიერ-კულტურულ სფეროში. ამ ეშმაკშეჩენილის აზრით ქართველთა ცნობიერებაში, ცხოვრების წესში გაბატონებულია ღმერთზე მინდობა, რამაც თითქოს წარმოშვა ანტიკულტურულობა, პასიურობა, ანტიადმშენებლობა. გარდა ამისა, მათი აზრით, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უარყოფითი მხარე ისიც არის, რომ იგი ნაციონალურ, პატრიოტულ თემებს წინ წამოწევს, რაც ქართული სახელმწიფოს აშენებას შეუძლებელს ხდისო!

რა ვქნა, ბატონო ელიზბარ, ისღა დამრჩენია მეც თქვენსავით სიმწრით წამოვიძახო: **"ავაჰმე, ჩემო მამულო!..."**

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ყველას აქვს უფლება საკუთარი აზრი გამოთქვას. ამას დემოკრატია მოითხოვს. მე მათ ვეკითხები, ინგლისში, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში, რატომ ისჯება მკაცრად დედოფალზე დამამცირებელი სიტყვის წამოცდენაც კი?

რა ვუყოთ ჩვენს ტელევიზიას, რადიო, პრესას (ზოგიერთი ჟურნალი), შოუ-კონცერტებს, რომლებიც თანდათანობით, შეუმჩნევლად წამლავს ქართულ ცნობიერებას?

მიმდინარეობს **"ახალი ქართველის"** შექმნის პროცესი. და ეს მიმდინარეობს სპექტაკლის კანონებით. ჩვენ გადაგვაქციეს სპექტაკლის საზოგადოებად, ისეთ ტვინგამორეცხილ მაყურებლად, რომელიც კარგავს რეალობის განცდას და სანახაობის აქტიურ მონაწილედ იქცევა.

XX საუკუნის დასაწყისში კონსტანტინე გამსახურდია თავის პუბლიცისტურ წერილში **"ქართველობა თუ უცხოეთის გენია"** მიუთითებდა მაშინ ჩვენში ახლადგავრცელებულ და დღეს გაბატონებულ მიმბაძველობას. **"მიმბაძველები შეადგენენ ცხოვრების ღერძს. აქ არ იტანჯებიან, წვალობენ. კი არ ლოცულობენ, იღრიჭებიან. მსხვერპლს როდი სწირავენ. მსხვერპლად ეწირებიან უცხო კვარცხლბეკზე აღმართულ კერპებს".**

ჭეშმარიტად დღევანდელობაზეა ნათქვამი!

უცხოელებს, ამერიკელებსა და ევროპელებს ვბაძავთ ცხოვრების წესში, ღრეჭვაში, გეი-პარადებში, წვერ-ულვაშის დაყენებაში, საყურეების ტარებაში, სვირინგებში, სტადიონზე შედებილი სახით მისვლაში და ქაჯურ გულშემატკივრობაში, მიხვრა-მოხვრაში, ცეკვაში, სიმღერაში, მოწონების ნიშნად **"ვაუს"** შეკივლებაში... ჟურნალის გარეკანზე აუცილებლად სათაურებად უნდა დაიბეჭდოს ვინ ვის ყვარობს, ვინ უთბობს ლოგინს შორეხას, ვის ცოლი ღალატობს, ვის თვინიერი და რქიანი ქმარი ჰყავს... ეს უკვე მიმბაძველობა კი არ არა ღრმა პროვინციალიზმია. ახალ ქართულ ფილმებში უცხოელებს უნდა მივბაძოთ და ვაჯობოთ კიდეც პათოლოგიური ძალადობის, სისასტიკის, დაუნდობლობის, გაუკუღმართებული სექსის ჩვენებაში...

ამ უნიჭო მიმბაძველობის განმკითხავი არავინ არის, არც საზოგადოება და როგორც საჭიროა, არც სამდვდელოება არისხებს ზარებს!

თოქ-შოუების, კომედი-შოუების, უცხოელი მომღერლების კონცერტების, ლაზღანდარაობის, ტაკიმასხარობის ფონზე ამახინჯებენ, აბუჩად იგდებენ ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს...

როგორც ვხედავთ, საქართველოს გარეშე და შინაური მტერი ჯერჯერობით წარმატებით ახერხებს ერის გადაჯიშება-გადაგვარებას.

არ უნდა დავივიწყოთ დიდი კონსტანტინეს სიტყვები: **"მშვიდობიანი იდეები უფრო მალე ასნეულებს დაჩაგრული ერის სხეულს, ვიდრე სახელმწიფოსგან გამოგონილი სარეპრესიო წესები".**

მამული გაგვინახევრდა, ენა იბილწება, სარწმუნოებას ებრძვიან!

სამშობლო საფრთხეშია!

"მაშ, რაისთვის ვცოცხალვართ?!"

სამშობლო საფრთხეშია! ეს მოწოდება არ დაძველდება ვიდრე არსებობს ერი, სამშობლო, პატრიოტი...

ქართველმა ერმა არჩევანი გააკეთა. ხელისუფლებაში **"ქართული ოცნება"** მოვიდა. ხელისუფლებას ვერ მოთხოვ წლობით გაპარტახებული სოფლის მეურნეობის სამ თვეში აღდგენა, დანგრეული მრეწველობის აყვავებას, უმუშევრობის მოსპობას, ჯანდაცვის ჰუმანურ საწყისზე გადაყვანას დემოგრაფიულ და სხვა სოციალურ პრობლემათა მოგვარებას... თუ გავითვალისწინებთ უცხოეთიდან მართული მეხუთე კოლონის უტიფარ აქტიურობას, შეიძლება ქართული ოცნება აუხდენელ ოცნებად დარჩეს.

ეს რომ არ მოხდეს, ვფიქრობ, სასწრაფოდ უნდა დაფუძნდეს ახალი პოლიტიკური მოძრაობა (პარტია), რომელიც გააერთიანებს ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებს, მხარში ამოუდგება სახელმწიფოს ინტერესების დამცველ ხელისუფლებას, ან, თუ საჭიროდ ჩათვლის, თავად მოვა ხელისუფლებაში.

ვინ იქნება ერის გადარჩენისათვის ბრძოლის მედროშე? ვინ შესძლებს ალაგმოს ქართულ ცნობიერებასთან, ქართულ კულტურასთან, ცხოვრების წესთან და ტრადიციებთან მებრძოლი ლეგიონი?

ვფიქრობ, ამ საღმრთო საქმის გაკეთება ხელეწიფება სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"**, რომელსაც ხელმძღვანელობს გამჭრიახობითა და მოსალოდნელი პოლიტიკური სიტუაციების უტყუარი ჭვრეტით გამორჩეული, ცნობილი პოლიტიკოსი **ალეძსანდრე ჭაჭია.**

იგი უნდა გადაიქცეს ზოგადქართულ პოლიტიკურ მოძრაობად (დავარქვათ მას თუნდაც **"ოქროს საწმისი", "იბერია", "ევრია"...**), რომელიც დიდი ჭყონის ფესვებიდან შეიწოვს გაფილტრულ ქართულ გენებს და შესძლებს უცხოელების მიერ კოლხეთიდან გატაცებული სულიერი სიბრძნის ანუ ოქროს საწმისის დაბრუნებას, ქართული მოდგმის მეორედ მოსვლამდე გადარჩენას.

დაე, კავკასიურმა რასამ სულიერი სიბრძნით შესძლოს სოდომ-გომორის ცოდვის მორევში გადაჩეხილი დასავლეთის მხილება და პროგრესის გზის ჩვენება, რასაც დიდი გერმანელი მოაზროვნე ჰეგელი თავის **"გონის ფიოლოსოფიაში"** გვასწავლის.

თენგიზ პუბლაშვილი

P.S. ამონარიდების და ციტატების წყაროები მითითებული არა მაქვს გაზეთში ადგილის ეკონომიის გამო. თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება მათ არსებობაში ან სიზუსტეში, შემიძლია მივუთითო როდის, სად, რომელ გვერდზეა დაბეჭდილი.

თ.პ.

ჯამუ

საოცარი მრავალფეროვნებითაა გამორჩეული დიდი კონსტანტინე ბამსახურდიას შემოქმედება (მაპატიეთ, მაგრამ მე მის სახელს სიტყვა "იყო"-ს ვერ დავურთავ, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ნაწარმოების განმეორებით წაკითხვისას იმდენ სიახლეს აღმოაჩენს ადამიანი, რომ უნებურად გაიფიქრებ – მწერლის ახალ ნაწარმოებს ვკითხულობო). ეს არის უფლის მიერ ნაბოძები გენიით შემართული მხატვარი, რომელსაც შეუძლია ხელი ჩაჰყოს ცარიელ ქილაში და იქიდან ოქროს ზოდი ამოიღოს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ოქროს ზოდი გახლავთ მისი წინამდებარე მოთხრობაც, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ.

ღამე მომიყვანეს შინაგან ციხიდან ბუტირკის საავადმყოფოში. საერთოდ, მუდამ მძულდა საავადმყოფო.

ვინ ნახავს უფრო მეტ მწუხარებას ადამიანის თვალებში, ვიდრე ციხის საავადმყოფოს სარკმლებიდან გადმომზირალთა შემოხედვაში.

ტალანებსა და კიბეებზე ირევიან სანიტრები, გააქვთ და გამოაქვთ საკაცეებზე მწოლარე ავადმყოფები და ცოცხალ-მკვდრები.

დაჩოჩავენ დერეფნებში ყბაშეხვეული, ფეხებდაღმეჭილი, დაკუტებული, დალეული, მუქფარაჯიანი ტუსაღები.

კამერა კამერაზეა მილაგებული ყაზარმული წესით. ვიწრო, გრძელი, ნახევრად ბნელი დერეფანი შუაში გადატიხრული უშველებელი მავთულის ბადით; დაბალი, ვიწრო რკინის რიკულებიანი ფანჯრები; დაბალი ჭერი და უგანო კედლები.

ყველაზე უფრო აუტანელია: წამლების სუნი.

ჩემმა მხლებლებმა გაიხმო მოხუცი ზედამხედველი და უჩურჩულა რაღაც.

მერმე მე მომმართ:

– ისევ ჩვენთან მოგიყვანეს?

– წამიყვანეთ მეშვიდე კამერაში.

– დაკავებულია.

– მეცამეტე?

– ეგეც.

– მაშ, სადაც გინდათ.

ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ არ მინდოდა, საკაცეთი ვეთრიე უხეშ სანიტრებს.

მივყევი ზედამხედველს ამ გაუთავებელ ბნელ დერეფანში.

მარჯვნივ გადაუხვია, პატარა დერეფნის ბოლოს გამაჩერა. მე კედელს მივეყრდენი, რათა არ წავქცეულიყავ, იგი მორიგე ექიმის კაბინეტში შევიდა. დაკეტილ ოთახიდან ექიმი ქალის ხმა გავიგონე.

– ფაფახიანი ქართველი ისევ მოიყვანეს?

ზედამხედველი გამოვიდა, წინ წასვლა მიბრძანა.

გამოვყევი ისევ ხელების ფათურით ვიწრო დერეფანს მხარმარცხნით.

წინ გამისწო მოხუცმა ვახტერმა, ფეხით შეაღო კარი...

კამერაში ერთადერთი რკინის საწოლი იდგა.

ვედირსე მარტოობას, რბილსა და სუფთა ლოგინს.

დიდხანს ვებრძოლე უძილობას...

ნაშუაღამევი თუ იქნებოდა, საშინელმა გრიალმა გამომაღვიძა: ვიღაცამ კარი მიარაჯგუნა, რაღაც მძიმე საგანმა გაადინა იატაკზე ბრაგვანი.

ჩემი კამერის ფანჯრები აზრიალდნენ.

აზრიალდნენ ფანჯრები და მგონია, შემოვლენ ვიღაცეები...

ვდელავ, ვწრიალებ, ვკრთი.

მერმე ისმოდა აჩქარებული ფეხის ხმა, იატაკზე ფეხების რაჯგუნი და ღრიალი.

ადამიანისა? არა.

ასეთი ხმა არ მსმენია კაცის პირიდან.

ნადირისა?

არც მხეცთაგანისაგან გამიგონია ასეთი ბღავილი.

ისევ ჩამოვარდა მყუდროება.

მხოლოდ კანტიკუნტად მომესმის შორეული ხროტინი; ხროტინი კი არა, ეს ხმა სლოკინს უფრო მიაგავდა, ატირებული მამაკაცის სლოკინს.

ის-ის იყო თავი წამოვწიე ბალიშიდან ხელმეორედ, კარი გაიღი ღრიტინით და კარის ალაგას მოხუცი ზედამხედველი აიტუზა (პაპას ვეძახდით ამ კეთილ მოხუცს).

– ასანთი ხომ არ გექნებათ?..

ლუღლუღებს ლატიში.

– რა ამბავია, პაპა, ამ შუაღამეში ვინ ჭიდაობს მანდ?

– ეჰ, ვიღაც დაჭრილი თათარი მოიყვანეს საგიჟეთიდან. აიკლო აქაურობა, ორი ზესამხედველი ერთიმეორეზე მიანარცხა. მე კინაღამ მკლავი მომტეხა. ფანჯრები ჩალეწა.

– საგიჟეთიდან? თათარი?.. აქ რა უნდოდა?..

– ტყვია აქვს თირკმელში. ოპერაცია უნდა გაუკეთონ, ექიმებს ნაბრძანები აქვთ, რაღაც უნდა დაუჯდეთ, გადაარჩინონ სიკვდილს... საქმეს გაახსნევინებენ ალბათ.

– განა გაზეთებში არ წაგიკითხავთ ბანდიტების ბელადის სელიმ ეფენდიევის შეპყრობა?

– არა.

– მოსკოვის ერთ-ერთ დიდ ბანკს უნდა დასცემოდნენ. საქმის მიმცემმა გასცა, სისხლის სამართლის პოლიციამ ნაშუადღევის სამ საათზე ადგილას მიუსწრო ავტომობილში ჩამსხდარ ყაჩაღებს.

ყველაზე უწინ სელიმ ეფენდიევი გადმოხტა. სროლით გაუკაფა გზა ამხანაგებს, ორი იქვე მოჰკლეს, სამი გაიქცა. ეფენდიევი მიმინოსავით გადაევლო მახლობელ ქვითკირის ჯებირს. ჯოჯოხეთური სროლა გაიმართა შეშის საწყობში.

ფსიქიატრიული კომისია ამოწმებს, რომ ყაჩაღი ისე აღშფოთდა ღალატით, რომ ჭკუაზე შეირყა.

ხომ ასეთ მდგომარეობაშია, და ოთხმა კაცმა ძლივს ჩავაცვით გიჟის პერანგი.

მთელი ღამე არ დამეძინა.

შემოდგომის ამ უხიაგ ღამეს, ამ გულის შემღონებელ საავადმყოფოში, მე ჩემი ბედის მძიმე კირთებაც მერყოფოდა, რომ ახალი დარდი ამეკვიატა.

ჩემს უკან ეტაპები...

ჩემს წინ ეტაპები...

მოდი ეხლა და იფიქრე ვიღაც შეშლილ ყაჩაღზე, რომელმაც მთელი საავადმყოფო ააფორიაქა ამ შუა ღამეში და ჩემი ოთახის ფანჯრის მინები ააზრიალა.

ეს ბებერი ლატიშიც რამ გააბოროტა, ორი ღერი ასანთისთვის რომ გამაღვიძა? თუმცა არც ეს ბერიკაცია გასაკიცხავი (მე პირადად კარგის მეტი, ცუდი არაფერი მახსოვს მისგან, გარდა იმისა, რომ ორი ღერი ასანთი მთხოვა).

რა ვუყოთ, ციხეში ყველას აკლია ასანთი.

გათენებამდე ვებრძოლე უძილობას.

ყოველ წუთში ველოდი, სადაცაა, ისევ აბორგდება შეშლილი ჩემს მეზობელ კამერაში, ისევ შეიქმნება კარების რაჯგუნი, რაღაცა კიდევ დაეცემა იატაკზე და ჩემი ფანჯრების მინები აზრიალდებიან.

ეზოში გუშაგების ფეხის ხმაა... მესმის, როგორ იცვლებიან ღამის გუშაგები, ვაზნებს აჩხარუნებენ... დერეფანში მოწყალების დები და ფერშლები დადიან და დახეულ ფლოსტებს მიაჩლატუნებენ და ეს მაღიზიანებს.

სიჩუმის დარღვევის მოლოდინი უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე დარღვეული მყუდროება.

მოწყალების დამ გამაღვიძა მეორე დილას.

ათასი კაცის პირით ნალოშნი კოვზით ჩამასხა პირში რაღაც საზიზღარი, გულისამრევი წამალი.

წააჩოჩიალა თავისი დახეული სანდლები და გამეცალა.

ავდექი, დერეფანში გავედი. იმ დღეს წითური რიაზანელი მორიგეობდა:

– ავადმყოფო, დერეფანში პაპიროსს ნუ სწევთ.

– პაპიროსი ვინ მომცა, მე ვსეირნობ მხოლოდ.

– არც ეგ შეიძლება.

* * *

ღამით გაიღო კარი და პაპა გაჩერდა კარის ალაგზე.

მაშ ახლა შეიძლება სეირნობა.

დერეფანში გავიარე, პაპამ კამერა გამიღო.

რკინის ტახტზე ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცი იწვა, წყრთისოდენა გადმოსცდენოდა სარეცელს აგურისფერი ჩაბალახით შეკრული ფეხები.

გულმკერდი ძლიერ ამობორცვოდა, რადგან მკლავები ზურგზე ჰქონდა გაკრული.

ახალოხის მსგავსი, სწორსაკინძიანი ბლუზა შემოეგლიჯათ. წვერულ-ვაშაბურძგნილი, თვალებგადმოკარკლული მრისხანეთ მისჩერებოდა ბნელ კუთხეში რაღაცას.

შემომიბღვირა: ექიმო!..

წინადადება არ დაამთავრა, რაღაც უნდოდა შემოეჩივლა.

დიდხანს, დიდხანს მიყურა, დაიწმინდა მისი ამღვრეული სახე, დაუწყნარდა თვალები.

ტუჩები მაგრად მოეკუმა.

და იმ წუთში მის მშველისებურ, გიშრის თვალების შემყურე, როგორ იტყოდი, რომ გიჟი იყო, ყაჩაღი ან კაცის მკვლელი.

ერთბაშად ზემო ტუჩი აუტოკდა, თავი წამოსწია, კისრის ძარღვები დაეჭიმა, სახეზე ძლიერ წამოწითლდა, წამოდგომა სცადა.

ხან ერთ მხარეს წამოიზიდა, ხან მეორე, ოდნავ გამართა წელი, მერე თავი ვეღარ შეიკავა და საწოლის საყრდენზე მიახალა თავი.

საოცრად დაემანჭა სახე, თვალები მოხუჭა, დაესია ნაოჭები თვალის უპეებს. ღერ-ღერად მოსჩანდნენ მხოლოდ შავი წამწამები და მშვილდივით დაჭიმული შავი, ჯმუხა წარბები.

მე ახლოს მივედი, უმწეო მდგომარეობაში ჩავვარდი. ვერც ერთი თათრული სიტყვა ვერ მოვიგონე, რომ სანუგეშო, გასამხნევებელი რამ მეთქვა.

ჩემი სიახლოე შეიცნო. თვალები გაახილა, ჩემს მაღალ ფაფახს თვალი შეავლო.

და პირდამწვარივით ჩაიბუტბუტა ორიოდე თათრული სიტყვა.

ვერ გავარჩიე, ვეღარც გავიგე.

ალბათ ქისტია, ლეკი ან ჩერქეზი, გამიელვა აზრმა.

უცებ კარისკენ გაიხედა. უწმაწურად შეიგინა.

მე ყველა ხალხი მიყვარს ამ ქვეყანაზე, მაგრამ ეგეც ბუნებრივია, განსაკუთრებული გულისხმიერებით ვეკიდები კავკასიის მკვიდრთა. უცხოეთში, შეძლებისამებრ, მუდამ ვშველოდი მათ. აზერბაიჯანელებთანაც მიმეგობრია უცხოეთში, მათგანაც არაერთხელ მიგემნია ძმური თანადგომა.

როგორც ანთროპოლოგიური ტიპი, ეს უბედური სელიმი აზერბაიჯანელს მიაგავდა. ამიტომაც გულთან ახლოს მივიტანე მისი ტრაგედია... მე მასში უპირატესად ყაჩაღს როდი ვხედავდი, არამედ გზაარეულ ადამიანს... იგი უკვე სიკვდილის საუფლოში იმყოფებოდა და მხოლოდ სიკვდილი ბრალს ჩამორეცხავს ხოლმე კაცთაგანს.

საავადმყოფოს ადმინისტრაციამ შენიშნა, რომ ამ სელიმ ეფენდიევს ჩემი დანახვა უფრო ამშვიდებდა, ვიდრე წამლები და ექიმების შეგონებანი. გვიანი ღამით სასთაულთან ვუზივარ ავადმყოფს.

დაკეცილი გაზეთით ვუგერიებ აბეზარ ბუზებს, რომელთაც ეგზომ ახელებთ სისხლის სუნი და სიკვდილის მოახლოება.

ერთბაშად თვალები გაახილა ეფენდიევმა, თვალები გაუფართოვდა, ღაწვები შეუფაკლდა, ერთი წამოიწია, მაგრამ ვეღარ შესძლო და უშვერად შეაგინა ვიღაცას თურქულად.

როცა ჩვენება გაჰქრა, ისევ დახუჭა თვალი, ტუჩებს აცმაცუნებდა, გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდნენ მისი ფერგამკრთალი ტუჩები. მერმე აზვავდა ბრაზი მის გულში. კვნესოდა, ხვნეშოდა...

– ჰაიტ, ჰაიტ, ჰაიტ, მოიტათ რევოლვერი, ჩემი რევოლვერი.

Огонь! Огонь! – ყვიროდა რუსულად.

* * *

ღამღამობით გადაუღებლად წვიმდა. ყურს ვუგდებ წვიმის ერთობლივ ტლაშუნს, ხერხის გაუსაძლის ჭრიალს, ვბუტბუტებ ფსალმუნის ლექსებს ჩემს ხსოვნაში შემორჩენილთ, ხანაც ვდგები, სასთაულიდან გამომაქვს ჰინდური რიგვედას ყდაგაცვეთილი წიგნი, ხმამაღლა ვკითხულობ, რათა ტანჯვა დავახრჩო ჩემს გულში და ნირვანაში გადავიტყუო ჩემი მოუსვენარი, ბობოქარი სული... ღამღამობით, დაწოლის წინ ვბუტბუტებ ფსალმუნის ალოგიურ ლექსებს მწუხარების დასაოკებლად და ჩემს თავს ვეუბნები თითქოს ხმამაღლა: **"ამაღამ დედაჩემი თუ ვნახე სიზმარში, ყოველივე კარგად იქნება".**

ოდნავ შეღებულ კარებთან მოხუცი ზედამხედველი იდგა.

გინების გაგონებაზე შემკრთალმა პაპამ კარი გაიხურა და დერეფანში გაიარა.

მანიშნა თვალებით, დავმჯდარიყავი მის ახლოს.

საათს დავხედე: თორმეტი იყო, აწი ექიმები ჩამოივლიან, გავიფიქრე.

კარი გაიღო და წამლებით დატვირთული მოწყალების დაი შემოფრატუნდა.

კარამდის ვერ მივასწარი, მომაძახა ავადმყოფმა.

– მურზა, ჰა მურზა, ერთი რევოლვერი მაინც დამიტოვე.

კარი გამოვიხურე.

იგი რუსულად ილანძღებოდა და იგინებოდა:

– მურზა გამცემო, მოღალატე, მურზა. ჩემი რევოლვერი მომოიტანე ლუბიანკაზე.

და ის ღამე უარესი გამითენდა, ვიდრე პირველი იმავე საავადმყოფოში, ვიდრე პირველი ღამე ყოველ ახალ ციხეში.

აზვავდა შეშლილი თუ ყაჩაღი.

გამოიწვიეს მორიგი ექიმი, ექიმმა საავადმყოფოს გამგე იხმო, შეიქმნა ისევ რბენა, რიალი.

შეშლილი და დაჭრილი ვეფხვივით ბრდღვინავდა, კედელს თავს ახლიდა და ღრიალებდა:

– მურზა, ჩემი რევოლვერი მომიტანე, მურზაااااა, მურზაااااა.

მოულოდნელად გამომძიებელი მეწვია.

– მოსკოვში ყოფილხართ წინათ?

– არა.

– თურქისტანში?

– არა.

– უკრაინაში?

– არა.

– შერქმეული სახელი არა გაქვთ?

– არა.

– სელიმ ეფენდიევს თუ იცნობდით წინათ?

– არა.

– რატომ გიწოდებდათ მურზას სელიმ ეფენდიევი?

– არ ვიცი სწორედ, ეგებ ვინმეს მიმამგვანა. ცნობილია, აზერბაიჯანელები ოდნავ გვანან ქართველებს.

ახლა უფრო ზრდილობიანი ტონით დაიწყო **"მურის"** (შემოკლებით: მოსკოვის სისხლის სამართლის მილიცია) აგენტმა.

– თქვენ, როგორც ჩანს, განათლებული კაცი ხართ და არაფერს დაგვიმალავთ, თუ რაიმე იცით ამ კაცზე. სელიმ ეფენდიევი განთქმული ყაჩაღია. **"მურს"** საბუთი აქვს ივარაუდოს, რომ ის კაცი სხვისი გვარით ცხოვრობდა. ნამდვილი ვინაობის გამოურკვევლობა ძლიერ აფერხებს ბანდიტების ამ ფრიად რთული ქსელის გახსნას.

ჩვენ გვაცნობეს, რომ ის კაცი თქვენს დანახვაზე ძლიერ თვინიერი ხდება და რატომღაც თქვენ მურზას გეძახით.

– ის კაცი აქ ვნახე პირველად. მე მურზა არ მქვია და არ ვიცი, ვის მამგვანებს სულით ავადმყოფი.

ვგონებ, დამერწმუნებით, რომ ყაჩაღებთან არასოდეს მქონია კავშირი.

ვწრიალებ ჩემს კამერაში. მოუსვენრად ვბორგავ ლოგინში.

რამ ამატროვა მე უბედური, რად ვინახულე ის საცოდავი, ან ის ბებერი ზედამხედველი რომელმა ქაჯმა შემომიჩინა შუაღამეზე, ორი ღერი ასანთი რომ მთხოვა...

* * *

ტანგოს მოცეკვავესავით იზნიქება ჩემს ფანჯარასთან მდგარი კვიპაროსის ხე ჩრდილის ზღვაურზე.

წვიმისმიერი ზოლებით დაისერა გამურული ფანჯრის მინები.

ზღვაური წივის ტელეფონის მავთულებში. მახლობელ ხერხის ქარხნიდან გულისწამღები ჭრიალი ისმის.

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

შუადღის 12 საათზე ჩემი ექიმი მეწვია.

მოიკითხა ჩემი ჯანმრთელობა და სავსებით მოულოდნელად ასეთი ფრაზა ჩააკერა საუბარში:

– ამ წუთას სისხლის სამართლის მილიციის აგენტი შემოვა თქვენთან, ნუ აღელდებით ოღონდ... – ესა სთქვა და ხელმეორედ დახედა სიცხსაზომს, ჩემი იღლიიდან გამოღებულს.

– სისხლის სამართლის მილიციის აგენტს ჩემთან რა საქმე აქვს?

ექიმს პასუხი არ გაუცია, სიცხსაზომი წაიღო და იმის ადგილას დაბალი, ფრენჩიანი, მწვანე-შარვლიანი კაცი დაჯდა დანჯღრეულ სკამზე.

მუხლზე პორტფელი დაიდო, პორტფელზე – ქაღალდი და მკითხავს:

– თქვენი სახელი?

– გვარი?

– ეროვნება?

– პროფესია?

– განათლება?

"მურის" აგენტი მეუბნება:

– თუმცა თქვენ ამჟამად ტუსაღი ხართ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, შესაძლო რომ იყოს, ჩვენ გვიშველიდით ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

– თავისთავად ცხადია, – მივუგე მე.

გამომძიებელი ფრიად თავაზიანად დამემშვიდობა.

ამ დასაწვავ საავადმყოფოში ახალი საქმე გამიჩნდა.

ყოველთვის, როცა სელიმ ეფენდიევს ზნე მოუვლიდა, მე მიხმობდნენ, ახლა ჭრილობას ისე დაესუსტებინა, რომ შეშლილის პერანგი აღარ სჭირდებოდა, მაგრამ თავს ახლიდა კედელს, ხელ-ფეხს ასხმარტალებდა და ყვიროდა, აუტანელი ხმით ღრიალებდა.

მოწყალების დაი ჩემთან მოირბენდა.

შევდიოდი მის კამერაში. თვალის ბუდიდან მოწყვეტილივით წრიალებდნენ მისი დიდრონი, შავი თვალები უზომოდ გაგანიერებულ თვალის უპეებში.

წამიერად რაღაც თეთრი გარსი გადაევლებოდა დაყვითლებულ თვალის გუგაზე, სახე გაუფითრდებოდა, ქრებოდა სიწითლე ლოყებსა და ღვთივმშვენიერ სახეზე.

ერთ საღამოს გვიანამდე ვიჯექი მის სასთუმალთან.

დიდხანს იბორგა, იწუხა, იწრიალა, უცებ დაწყნარდა და დახუჭა თვალი, ხუთიოდე წუთის შემდეგ ისევ გაახილა, შემომხედა მშვიდი, გონივრული თვალებით და ხელით მანიშნა კედლისაკენ.

კედლისკენ გავიხედე, რას უყურებდა ნეტავ?

ეგებ ჩემი სახიდან მიმდგარ ჩრდილს ჰკიდა თვალი და ვინმე მოელანდა.

– სელიმ, აა სელიმ, ვინ იყო მანდ? – ვეუბნები რუსულად.

მძიმედ ამოიოხრა და კედლისკენ შეიბრუნა პირი.

დერეფანში გავედი.

ცოტა ხანში შემოვბრუნდი. პირაღმა იწვა.

ბავშვივით ეთამაშებოდა თავის თითებს.

მარცხენა ხელის თითს ემუქრებოდა, უყვიროდა:

– შე გამცემო, ჯაშუშო!

– რა იყო სელიმ? – ვეკითხები.

– ჩხუბობენ.

– ვინ?

– ეს ძაღლები.

მე შევნიშნე: ყინულის ბუშტი გადავარდნოდა, იატაკზე ეგდო.

– მე ხომ დაგიშალე შენ, ყინულის ბუშტს ნუ გადააგდებ-მეთქი? – ვეუბნები.

– მე არ გადამიგდია.

– აბა, ვინ გადააგდო?

– ამან, ამ კაცმა.

– ვინ კაცმა.

– აგერ რომ წევს, ჩემს გვერდით, ვერ ხედავ?

– დამშვიდდი, სელიმ, შენს გვერდით არავინ წევს.

– როგორ არა, განა ვერ ხედავ ამ არამზადას? ჯაშუში, ჯაშუში.

ვსდუმვარ.

ავიღე ბუშტი, შუბლზე დავადევი, მარცხენა ხელით მოიხსნა და გადააგდო.

პერანგის საკინძე შემოიფხრიწა და თვალები დახუჭა.

აჩქარებულ მოწყალების დებს უკუღმა ჩაეცმიათ პერანგი.

ახლა საკინძის ძირში შევნიშნე: ქართული, დედაბრული ხელით ამოქარგული დანჯღრეული ასოებით ეწერა: **"ჯამუ"** (სჩანს მოხუც დედას დაუწერია), ფერადი ძაფით ნაქარგი, გახუნებული იყო და ქართულის არმცოდნეს თვალი ვერც კი მოისაზრებდა, რომ ეს ბატიფეხურა ნაჯღაბნი ასოები იყო.

მე ავდექი და ფეხაკრეფით გავედი კამერიდან.

დიდხანს, დიდხანს დავდიოდი აღელვებული დერეფანში.

მერმე რიაზანელის ლანდი გამოჩნდა და ჩემს კამერაში დავბრუნდი.

გავიხადე და დავწექი, რადგან სიცხემ მიმატა.

მიმატა თავის ტკივილმა, მომეჭრა მუხლები.

ნაშუადღევს გადასულიყო მოწყალების დაი შემოვიდა და მეუბნება: ეფენდიევს ოპერაცია გაუკეთეს, კიდევ მოუარა ზნემ, მალე მოდით.

ჯამუ

საზარელი სურათი დამხვდა სელიმის კამერაში.

შესახვევი შემოეფხრიწა, დასისხლიანებული ხელებით მოესვარა ლოგინი და მთელი კედელი.

დაწრეტილიყო, დალეულიყო მისი სახე.

მე დიდხანს ვუძახე:

– სელიმ, ა, სელიმ...

ხმა არ გამცა, მოწყალების დამ გულგრილად განაცხადა: სულ ერთია, მალე უნდა გავიტანოთ, ექიმებმა იმედი დაკარგეს.

დამტოვა მარტო და წაფრატუნდა.

დიდხან ვადექი ნახევრად ბნელ კამერაში მომაკვდავს თავზე.

მივიხედ-მოვიხედე, დერეფანში არავინ იყო...

დავჯექი მის სასთუმალთან, ხელები გაცივებოდა.

– ჯამუ, – დავუძახე ნელი ხმით.

– ჯამუ, ჰა, ჯამუ...

თვალის უპეები აუტოკდა, ერთი ძარღვი შეინძრა შუბლზე.

– ჯამუ, ჯამუ, გაიღვიძე.

ქართულად ჩავძახე ყურში.

თვალები გაახილა.

– მიქ გიწუ, ჯიმაღურელი, ჩქიმი სახელი? (თქვენ ვინ გითხრათ ჩემი სახელი?)

– დამშვიდდი, ნუ გეშინია.

ვეუბნები ჩემს ვინაობას.

წარბები ასწია.

გაოცდა.

დამაცქერდა.

– ჰაიტ, ჯიმაღურელი, აქ მუნერო მოხვადით, მა გიჩინენთ შორიშე (ჰაიტ, თქვენ მე გიცნობთ შორიდან, აქ როგორ მოხვდით თქვენ?).

ჯამუმ თავისი გვარი გამიმხილა.

რამდენიმე სიტყვა ითქვა კიდევ:

– გაჭირვებამ ამაღებინა ხელი სამშობლოზე და ნამუსზე. სელიმ ეფენდიევის გვარით ვყაჩაღობდი თურქესტანში, უკრაინასა და მოსკოვში.

აქ ერთი დიდი საქმე უნდა გაგვეკეთებინა.

მერმე შინ ვაპირებდი წასვლას, საქმის მიმცემმა ჩემმა ამხანაგმა გამცა.

კიდევ კარგი, ჩემი ვაჟკაცობა არ შევარცხვინე.

სადღაც იარა გაეხსნა.

გაფითრდა.

დადუმდა.

დიდხანს ვადექი თავზე. გულნაღვლიანი ვხედავდი, თუ როგორ ერეოდა სიკვდილი ჩემი რასსის ქედმაღლობას.

ვეძახდი: **"ჯამუ".**

თვალი გაახილა.

შემომხედა.

ძალა მოიკრიფა, რადაც უნდოდა ეთქვა.

ბოლოს კედლისკენ მიიბრუნა თავი და ამოიოხრა:

– ნუ გეშინია, მე მოვალ, დედა...

– ჰაიტ, არა გრცხვენია? ვაჟკაცი არა ხარ? ჯამუ, ჯამუ...

ვეძახდი გადასულ სულს, მაგრამ ხნა ვეღარ მიეწია მიმავალს.

ღმუოდა ქარბუქი გარეთ, ზანზარებდნენ ფანჯრების მინები.

კიაფობდა მცირედი ნათელი ღიად დარჩენილი თვალის ქუთუთოებში.

უკანასკნელად შეტოკდა თვალების გუგა, შეისრუტა მრეში სინათლე და სამუდამოდ ჩაქრა...

* * *

მე მინდოდა, ჯამუს დედისთვის მემცნო ეს ამბავი, ჩავედი კიდეც იმ სოფელში, სადაც ჯამუს სახლიკაცები შრომობენ და ცხოვრობენ, მაგრამ უკანასკნელ წუთში გამბედაობამ მიღალატა, აგრე დავასკვენი: დეე, სიკვდილამდის ელოდოს-მეთქი გამწარებული დედა უკუღმართ გზაზე დაღუპული შვილის მოსვლას.

1927. სოლოვკის კუნძული.

კრემლი.

P.S. *მე აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში დავიბადე, დიდი კონსტანტინეს ოჯახის მეზობლად მდებარე ჩემი წინაპრების ჯარგვალში, მაგრამ ბედის, უფრო სწორად – უბედობის გამოისობით (მამა დიდ სამამულო ომში დაიღუპა) მე და დედა თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად და პეტრიაშვილის ქუჩაზე, დიდი კონსტანტინეს მეზობლად დავიდეთ ბინა. დედა მედიკოსი იყო და, შეიძლება ითქვას, რომ მთელი უბნის მოსახლეთა ოჯახის კარი მისთვის მუდამ ღია გახლდათ. ხშირად სტუმრობდა იგი დიდი კონსტანტინეს ოჯახსაც, მეგობრობდა სულგანათლებულ მირანდა ფალავანდიშვილთანაც, რადგან ხშირად გაუწევია მათი ოჯახისათვის პირველადი სამედიცინო დახმარება. სწორედ დედასაგან გამიგონია, რომ ჯამუ კონკრეტული პიროვნება იყო – ლადი გრიგოლაია, რომელიც, თურმე, დედას ნათლიის ძმა გახლდათ. შრომისმოყვარე ოჯახის შვილი ყოფილა ლადი, ფიზიკურად დაუჯერებლად ძლიერი და სულიერად ლამაზი, მუდამ სუსტების ქომაგი... მაგრამ აბაშის სადგურზე ჩხუბის შემდეგ ციხეში აღმოჩნდა, საიდანაც სულ სხვა კაცად გამოვიდა...*

რუსეთის ქალაქებში ყაჩაღობდა. ბაბუაჩემის – გიორგი შალამბერიძის მონაყოლი მახსოვს: ჩემოდნით ფულს ჩამოიტანდა და ნახევარზე მეტს თურმე გაჭირვებულ მეზობლებს დაურიგებდა, შემდეგ კი კვლავ რუსეთს მიაშურებდა. მოსკოვის ერთ-ერთი ბანკის დაყაჩაღებისას დაჭრილი ჩაუვარდა ხელში მილიციელებს, მაგრამ თანამზრახველები არ გასცა და წამებაში მოკლეს სამართალდამცველებმა. მაგრამ კომუნისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე, სადაც სისხლს დახარბებულ ბოლშევიკებს ლამის ანგელოზებად გამოჰყავდათ საკუთარი თავი, ფაქტის ამგვარად გადმოცემას არავინ აპატიებდა კონსტანტინე გამსახურდიას, და ამიტომაც დახატა სურათი, სადაც სულით უდრეკმა ქართველმა ვაჟკაცმა სირცხვილს თვითმკვლელობა არჩია. სწორედ ეს ლამაზი, შთამბეჭდავი ისტორია შემოგვინახა სულმნათმა კონსტანტინემ, რითაც კიდევ ერთხელ გამოამზეურა კოლხი ვაჟკაცის უდრეკი სული და უდალატო ბუნება.

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ

თვალსაზრისი ერთ შესანიშნავ ნაშრომზე

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲐᲠᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐᲐ.

გამოვიდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ კლიმენტი შელიას წიგნი **„კოლხეთი (საქართველო) – მსოფლიოს პირველი ქვეყანა, კოლხური ენა (ქართული ენა) – მსოფლიოს პირველი ენა, სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები, ადამიანები – საქართველოში გაჩნდა,"** რომელსაც წამძღვარებული აქვს გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ ლევან სანიკიძის ცნობილი დებულება: იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.

კ.შელიას წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დიდი ხნით ადრე გამოსაცემად მომზადებული 850 გვერდიანი ნაშრომის ერთგვარ გეგმა-კონსპექტს, რომლის გამოცემა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს რომ საქართველო უძველესი დროიდან ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და ქვეყანაში ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა, რომ კოლხეთი იგივე საქართველოა.

კ.შელიას ნაშრომი 22 ქვეთემისაგან შედგება და ადვილი გასაგები რომ იყოს თუ რაზეა ლაპარაკი, ჩამოვთვლით ამ ქვეთემებს: 1. კოლხეთი (საქართველო) ჩვენი სამყაროს უდიდესი და უპირველესი ქვეყანაა, 2. იაპონელი აიანები – უძველესი კოლხური ტომები, 3. კოლხი თათუ – ნეფერტიტი და აიე – ეგვიპტის ფარაონები, 4. კლეოპატრამდე ეგვიპტის ყველა ფარაონი კოლხი (ქართველი) იყო, 5. მსოფლიოს უძველესი და უპირველესი ხალხების – ქართველებისა და ებრაელების ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, 6. სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები და ადამიანები კოლხეთში (საქართველოში) გაჩნდა, 7. ჰოტუ (ხოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე, 8. შოთა ხვედელიძემ იბერული (მეგრული) ტაბულა გაშიფრა, 9. უნაჩები (გუნაჩები) – მეგრული (ქართული) ტომები, 10. კასიტური (კოსების ენა) – ქართველური ენაა, 11. აფრიკაში, **„მეგრელი ზანგები"** ცხოვრობენ, 12. ნაბუქალდე – ნაცერი (მენცარი – მეცნიერი – წინასწარმეტყველი) – საქართველოს მეფე, 13. ძვ.წ. XV – XIII საუკუნეში ქასქ – მეგრულ ტომებს გვარ-სახელები ჰქონდათ, 14. აფრიკელი ბერბერები მეგრულ (ქართულ) ენაზე მეტყველებენ, 15. კონტინენტ ევროპას ქართულად **„ოროფა"** უნდა ერქვას, 16. ლაზ-მეგრელებს უძველეს დროში **„ეფუთი"** სიბრძნის წიგნი ჰქონდათ, 17. აია – კოლხეთს (საქართველოს) წარღვნამდელი ცივილიზაციის ისტორია აქვს, 18. სომხური დამწერლობა იოანე ლაზმა (იეროთეოსმა) შექმნა, 19. **„ამერიკა კოლუმბთან ერთად კოლხებმაც აღმოაჩინეს"**, 20. კორსიკას **„ქართლს"** უწოდებენ, ნაპოლეონს კი ქართველს, 21. **„კომპრომატი-რუ"** საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ და 22. საპატრიარქოსთან არსებული **„ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭო"** – ქართველური ენების წინააღმდეგ.

კ.შელია ანოტაციაში წერს, რომ: გაივლის დრო 1,3,5 თუ კიდევ რამდენიმე წელი, კაცობრიობა აუცილებლად აღიარებს, რომ ჩვენი სამყაროს ისტორია კოლხეთით დაიწყო, სიცოცხლე კოლხეთში გაჩნდა. ამაზე მიუთითებდნენ პლატონი, ჰესიოდე, ჰეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი, სხვა ბერძენი სწავლულები, მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები; ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს.

სხვა შრომებთან ერთად კ.შელიას უკანასკნელ პეროიოდში კოლხეთ-საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს წიგნები: **„ძველი კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი", „კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე", „კოლხეთი – ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე" (ბროშურა), „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება",** ასევე – ეს წინამდებარე, სარეცენზიო ნაშრომი.

ამ პატარა რეცენზის ავტორებს გვჯერა, რომ კ.შელიას შრომების გამოცემით ქართული, ეროვნული საქმე გაკეთდება.

პროფ. ოთარ ჭორდანია,
პროფ. იაკობ ახუაშვილი,
პროფ. ჯემალ ჯინჯიხაძე

ილია მეორე

ᲥᲐᲚᲓᲘ-ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

გავიხსენოთ წმიდა ილია მართალი, რომელიც ქართველთა ფესვებს უკავშირებს ურარტულ წიაღს, რასაც, ალბათ, ისიც განაპირობებდა, რომ ურარტუელთა სამ მთავარ ღვთაებას შორის უპირველესს **„ქალდი"** ერქვა. **„ურარტუელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორცნი"**, – წერს იგი **„ქვათა დაღადში"** და ამ აზრს მისი დროის უცხოელ მეცნიერთა კვლევებითაც ამყარებს. თავის ცნობილ ნაშრომში, – **„ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში"**, – კათოლიკოს-პატრიარქი კირიონიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქართველნი შთამომავალნი არიან ქალდეველთა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს უძველესი მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში.

საყურადღებოა, რომ **„ქალდი"** დღესაც ჰქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ ლაზები. **„ქალდეად"** ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვა. ამ ტოპონიმთან დკავშირებით კი პირველი ინფორმაცია ჩვენს წერილობით წყაროებში ლეონტი მროველთან გვხვდება... სიტყვა **„ქალდიდან"** უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი **„ქართიც"**, რომელსაც ალბათ უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო, მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა. სინამდვილეში **„ქალდი"** საერთო ქართული სამყაროს, კოლხეთის, ცენტრს, მის გულს ერქვა. გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზეწოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღში, გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ **„ქალდიდან"** მომდინარეობს. ამდენად, ქალდი – ქართი – ქართლი – ქართველი, ჩვენი ერის ისტორიული გზის, ჩვენი ერთობის გამომხატველი ტერმინებია. .

XXX

პროფ. აკაკი ურუშაძეს აპოლონიოს როდოსელის **„არგონავტიკიდან"** მოაქვს ასეთი ადგილი: იყო დრო, როცა ის ვარსკვლავები ცაზე რომ ციმციმებენ, არ არსებობდნენ, მაშინ საბერძნეთში მხოლოდ არკადიელები იყვნენ, რომლებიც მთვარის დაბადებამდე ცხოვრობდნენ. ამბობენ, რომ აქედან გამომგზავრებულმა ერთმა ვინმემ, უამრავი ქალაქი დაარსა, მათ შორის ქალაქი **ᲔᲐ**. მას შემდეგ მრავალმა საუკუნემ გაიარა. ამ კაცის მიერ დაარსებული **ᲔᲐ** ახლაც მტკიცედ დგას და აქ ცხოვრობენ იმ ხალხის (არკადიელების) შთამომავალნი, ვინც მან მაშინ საცხოვრებლად დაასახლა. მათ შენახული აქვთ მამებისაგან დანაწერი კირბები, სადაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარია მოგზაურისათვის ნაჩვენები.

ქართველი ექიმი, რომელიც სიცოცხლის რისკის ფასად აფხაზეთში ატარებს ოპერაციებს

ჩვენი სტუმარია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ მარშავა. ოთარ მარშავამ ხუთასზე მეტი ქირურგიული ოპერაცია ჩაატარა აფხაზეთში, სადაც ის უსასყიდლოდ ემსახურება პაციენტებს. ამ კეთილშობილური მისიის შესრულებისას, მას ხშირად უწევდა ენგურის გადაცურვა, სუსხიან ზამთარშიც კი.

– ბატონო ოთარ, დევნილობამდე სად ცხოვრობდით?

– ჩემი ოჯახი გალის რაიონში ცხოვრობდა, მაგრამ მე მოსკოვში ვსწავლობდი. ვიდრე აფხაზეთში ომი დაიწყებოდა, მედიცინაში დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1992 წელს დავბრუნდი გალში და დაიწყო კიდეც აფხაზეთის ომი, რასაც მოჰყვა აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველთა გამოდევნა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ამირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. ექვსი წლის წინ კი დასავლეთ საქართველოს ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობა შემომთავაზეს და მას შემდეგ ვარ ქუთაისში.

– გალში ვინ გყავთ ამჟამად?

– გალში მყავს 87 წლის დედა.

– მარტო ცხოვრობს?

– დიახ, მარტო ცხოვრობს და ყოველ პარასკევს მელოდება.

– ყოველ პარასკევს დადიხართ გალში?

– კი, ყოველ პარასკევს ჩავდივარ, დედას ვნახულობ მცირე ხნით და შემდეგ ვიწყებ პაციენტების მიღებას საავადმყოფოში, ხან გალში, ხან ოჩამჩირეში, ხან ტყვარჩელში, იმის მიხედვით, თუ სად მახვედრებენ პაციენტებს.

– პაციენტები მხოლოდ ქართველები არიან თუ აფხაზებიც და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც?

– პაციენტებს არა აქვთ ეროვნება.

– მესმის, მაგრამ მაინც...

– პაციენტებს შორის, რა თქმა უნდა, ქართველებიც არიან აფხაზებიც, რუსებიც და სხვა ერის წარმოამდგენლებიც.

– დედას, როგორც ქართველს, რამე დისკომფორტის განცდა ხომ არ აქვს აფხაზეთში ცხოვრების გამო?

– არავითარი.

– როგორ ატყობთ, ყოფით დონეზე, აფხაზეთსა და ქართველებს შორის ურთიერთობებში გარკვეული დათბობის პერიოდი ხომ არ დადგა?

– რა თქმა უნდა, დადგა. დრო თავისას აკეთებს. ადამიანებმა გადახარშეს ის, რაც მოხდა და თანაცხოვრებას ეჩვევიან. ომის შემდგომი ოთხი-ხუთი წელიწადი ურთიერთობების თვალსაზრისით ჯოჯოხეთს ჰგავდა. საზღვარს, რომ ვერ გადავდიოდი, იძულებული ვხდებოდი ენგური გადამეცურა და ისე შევსულიყავი გალში. აქეთა მხარეც მტრულად მიყურებდა და იქითა მხარეც. ორივე მხრიდან საფრთხე მემუქრებოდა, მაგრამ მაინც ასე ვიქცეოდი, ვინაიდან იქ ბევრს სჭირდებოდა გადაუდებელი ქირურგიული დახმარება.

– გადავცურავდი რას ნიშნავს, პირდაპირი გაგებით?

– პირდაპირი გაგებით, ხან სად, ხან სად. სხავდასხვა სოფლებთან – შამგონასთან, კოკისთან, ჭუბურხინჯთან, თაგილონთან, ნაბაკევთან...

– კი, მაგრამ სულ ზაფხული ხომ არ იყო, ზამთარშიც გადაგიცურავთ ენგური?

– ბევრჯერ. დავუჭერივართ კიდეც.

– მხატრული ფილმის ან მოთხრობის ფაბულაა...

– არ ვიცი, როგორი ფილმი გამოვა, მაგრამ როდესაც იქიდან სიგნალი მომდიოდა, რომ ვიღაცას შველა სჭირდებოდა, ყველა საქმეს გადავდებდი და ჩავდიოდი. მაშინ მობილურები არ არსებობდა. ერთხელ გაზეთის ჩამონახევზე მიწერილი ბარათი მივიღე, – ოთარ მიშველე, – მაშინვე წავედი.

– როგორ დაგიჭირეს?

– ორჯერ დამიჭირეს. შემნიშნეს და დამაკავეს. უშიშროების მაღალჩინოსანთან მიმიყვანეს. ვუთხარი, რომ ექიმი ვარ და ავადმყოფების საშველად ჩამოვედი მეთქი. კარგად ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მითხრა, – ძალიან მინდა რომ დაგიჯერო, მაგრამ პროფესორს არ გავხარო. – მეორედ რომ გადმოვალ აფხაზეთში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის დიპლომებს წამოვიღებ მეთქი, ვუთხარი. – დარწმუნებული ხარ, რომ გაგიშვებო, – გაეცინა. – გაშვება თქვენი ნებაა, მაგრამ თუ გამიშვებთ, აუცილებლად ჩამოვალ-მეთქი ვუთხარი. მეორედ რომ დამაკავეს, ისევ იმ კაცთან მიმიყვანეს. – პროფესორის საბუთი გაქვსო, მკითხა. პირველი დაკავების შემდეგ, დოქტორისა და პროფესორის დიპლომების ასლები გადავიღე და თან ვატარებდი. – კი მეთქი, ვუთხარი და ეს დოკუმენტები წარვუდგინე. დაათვალიერა და ბრძანება გასცა, რომ ჩემთვის აფხაზეთში შესვლის ნებართვა ოფიციალურად მოეცათ.

– თვითონ აფხაზი იყო?

– კი, რა თქმა უნდა. ამის შემდეგ უკვე ოფიციალურად შევდივარ აფხაზეთში პრობლემებს არავინ მიქმნის.

– არც რუსები?

– არა, არც რუსები.

– რა ქვია იმ კაცს?

– ის დღესაც მაღალ თანამდებობაზეა და იქნებ არ ღირდეს მისი სახელისა და გვარის დაფიქსირება.

– კი ბატონო. რამდენი ოპერაცია გაქვთ აფხაზეთში ჩატარებული?

– პირველ ეტაპზე, როდესაც არალეგალურად გადავდიოდი და ასევე არალეგალურად ვმუშაობდი, 41 ოპერაცია გავაკეთე. ეს იყო არასტაციონალურ პირობებში გაკეთებული ოპერაციები. ხან თხილის ბუჩქებთან, ხან მანდარინის პლანტაციებში...

– ასეთ პირობებში გაკეთებული ოპერაციები რა შედეგით სრულდებოდა?

– იმ 41 ოპერაციიდან ყველა წარმატებული იყო.

– საკვირველია.

– აფხაზ ახალშობილს, რომელსაც გულის თანდაყოლილი მანკი ჰქონდა, უნიკალური ოპერაცია გავუკეთე. გადარჩა, ოთარი დაარქვეს, ჩემი სახელი. ის ბავშვი თბილისში ჩამოვიყვანე და ქაშუეთის ეკლესიაში მოვნათლე. ახლა 12 წლისაა. პირველი ეტაპი ცუდი იყო იმით, რომ, საზღვარზე არ მიშვებდნენ და მხოლოდ ქართველ პაციენტებს ვეხმარებოდი.

– აფხაზები არ გენდობოდნენ?

– რთული ვითარება იყო, პარტიზანული ომი მიდოდა, ნდობის ფაქტორი ძალიან დაბალი იყო. ერთხელ გალის საავადმყოფოში ვიყავი, როდესაც სამი დაჭრილი აფხაზი მოიყვანეს. სისხლდენის გამო მათი სოხუმში ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო. თანაც სოხუმში, რომ დარეკეს და საქმის ვითარება აუხსნეს, იქ უთხრეს, რომ ამ საქმისათვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე ქირურგიც არ ჰყავდათ. როცა გაიგეს, მარშავა გალში იმყოფებაო, გადაწყვიტეს, რომ ოპერაცია მე გამეკეთებინა. სამივეს აღმოვუჩინე საჭირო ქირურგიული დახმარება. ამ ამბის შემდეგ ხშირად მომმართავენ აფხაზი პაციენტები დახმარების თხოვნით. სხვათაშორის, ამ ამბის შემდეგ საქართველოს მხარეც დაინტერესდა, კერძოდ ჯადაცვის მაშინდელი მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. უკვე 59 ოპერაცია მქონდა გაკეთებული და რომ დავბრუნდი, ხელფასიც გამომიწერეს. ზუსტად არ მახსოვს, რამდენი იყო, მაგრამ იმ ფულით საკმაო რაოდენობის მედიკამენტი ვიყიდე. ის მედიკამენტები აფხაზეთში წავიღე და 252 ოპერაცია გავაკეთე. ვიღაცას არძინბასთვის მიუტანია ამბავი, პროფესორი მარშავა თბილისიდან ჩამოდის, აფხაზეთში ოპერაციებს აკეთებს და ავკრძალოთო. მე როგორც მითხრეს, არძინბას ასეთი პასუხი გაუცია: ექიმი თუ კეთილშობილურ საქმეს აკეთებს, რატომ უნდა ავკრძალოთო. ამიტომ ჩემი საქმიანობა ფაქტიურად ნებადართული იყო, მაგრამ ეს ქაღალდზე გადატანილი და ოფიციალურად გაფორმებული არ ყოფილა. მხოლოდ 2009 წელს მივაღწიეთ იმას, რომ აფხაზეთიდან შემოსული თხოვნის საფუძველზე, ქართულმა მხარემ 57 ოპერაცია და 307 კონსულტაცია დააფინანსა. ამ კონსულტაციების საფუძველზე შეირჩა პაციენტები, რომელთაგან ზოგი თბილისში გადმოვიყვანეთ და ზოგი ქუთაისში.

– თქვენ "იმედის გმირი" ბრძანდებით, ტელეკომპანია იმედს ჰქონდა ასეთი გალერეა, ალბათ ამ საქმიანობის გამო, ხომ?

– რა თქმა უნდა. მე ექიმი ვარ და სხვა არაფერი მიკეთებია. არ ვიცი, რამდენად არის ეს საქმიანობა გმირობა, მაგრამ "იმედმა" ცხადია, რომ ჩემი ეს საქმიანობა შეაფასა.

– ბატონო ოთარ, თქვენ ხშირად ამბობთ, რომ პოლიტიკას ემიჯნებით და მხოლოდ თქვენი სპეციალობით იფარგლებით, მაგრამ თუ თქვენმა მოღვაწეობამ აფხაზეთში ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობების დათბობას შეუწყო ხელი, განა ეს პოლიტიკა არ არის? რომელ პოლიტიკოსს გაუკეთებია უფრო მეტი ამ მიმართულებით, ვიდრე თქვენ შეძელით?

– არ ვიცი, პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ სამედიცინო მიმართულებით ჩემმა თავდადებამ რამე პოლიტიკური დადებითი შედეგი თუ მოიტანა, ამას რა სჯობს.

– როგორ ფიქრობთ, აფხაზები აცნობიერებენ თუ არა იმ მდგომარეობას, რომ ვითომ დამოუკიდებლობის მოპოვებითა და რუსეთის მიერ არ დამოუკიდებლობის აღიარებით თავიანთი ერი რუსეთთან სრული ასიმილაციის საშიშროების წინაშე დააყენეს, მაშინ როდესაც საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისას მათ თვითმყოფადობასა და კულტურას არაფერი ემუქრებოდა?

– მე ბევრი აფხაზი მეგობარი მყავს, რომელთა ცნობიერებაში უკვე გაჩნდა შეკითხვები: საით მიდის აფხაზეთი? რა მიიღო აფხაზეთმა იმითი, რაც მოხდა? რა ელის აფხაზეთს ხვალ? რისთვის ამდენი მსხვერპლი? და ა.შ. დღეს აფხაზეთში არსებობს სკოლები, რომელთაც აფხაზური სკოლები ჰქვიათ, მაგრამ იქ აფხაზურ ენაზე არაფერი ისწავლება. მე ვფიქრობ, რომ ისინი მთელი სიგრძე-სიგანით ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ იმ პრობლემას, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს პროცესი დაწყებულია. საზოგადოებრივ ცნობიერებაში გარკვეული შეკითხვები ტივტივებს.

– თქვენ პოლიტიკოსი არა ხართ, მაგრამ დაკვირვებული და პატრიოტი ადამიანი ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მექანიზმი გამოჩნდება?

– ვერც ქართველი და ვერც აფხაზი ერი ამ პრობლემის გადაჭრას ვერ შეძლებს, თუნდაც საამისო ორმხრივი სურვილი არსებობდეს. ასე სახალხო დიპლომატიის დონეს ვერ გავცდებით. ვერც საერთაშორისო ორგანზიაციები და დასავლეთის ქვეყნები შეძლებენ ამ პრობლემის გადაჭრას, ვიდრე რუსეთთან არ შევაჯერებთ ინტერესებს და, როგორც რუსები იტყვიან, მათგან **"დობრო"** არ იქნება მიღებული. ჩემთვის მთლად მისაღები ტერმინი არ არის ტერიტორიის დაბრუნება. მე უაფხაზო აფხაზეთის ტერიტორია არ მინდა. მე მინდა ქართველებსა და აფხაზებს შორის სიყვარული დავაბრუნო. გუდაუთში ერთ-ერთ სუფრასთან, ჩემს პატივსაცემად, **"გამარჯობა აფხაზეთო შენი"** მომასმენინეს. ქუთაისში აფხაზი სტუმარი რომ ჩამომივა, ხუმრობით ვამბობ, მრვალამილიონიანი აფხაზი ერის წარმომადგენელი ჩამოვიდა, მეთქი. მე ერთმანეთს შეხუმრებული, ერთმანეთის მოსიყვარულე ქართველი და აფხაზი მინდა და არა – ტერიტორია. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. ვისაც აფხაზეთში უცხოვრია, ვისაც იმ ხალხის, იმ ცისა და იმ მიწის მადლი ესმის, ყველა ასე ფიქრობს.

– ბატონო ოთარ, რამდენი ოპერაცია გაქვთ გაკეთებული, საერთოდ?

– ხუთი ათასამდე ვითვლიდი, მერე მომბეზრდა და აღარ ვითვლი.

– ადამიანის სხეულში ხელებს რომ აფათურებთ, რა არის ის მაშინ თქვენთვის, მხოლოდ მატერია?

– არ მყოლია პაციენტი, ვისთვისაც ოპერაცია გამიკეთებია და მასთან მეგობრობა ან სულიერი დამოკიდებულება არ გამჩენოდეს.

– არ მოგბეზრდათ ამდენი ოპერაციის კეთება, ხომ არ დაიღალეთ?

– ავადმყოფის დახმარება ჩემი ცხოვრებაა და, როდესაც ეს მომბეზრდება, მაშინ ალბათ ცხოვრებაც მომბეზრდება.

საინფორმაციო სააგენტო "ივერონი"

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ: ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **საქინფორმის** სტუმარია ჟურნალისტი, მწერალი და პოლიტიკური პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე, ბატონი **ვალერი კვარაცხელია.** ბატონი ვალერი ამჟამად ქართულ პოლიტიკაში აქტიურად არ არის ჩართული, თუმცა, ყურადღებით აკვირდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და ჩვენი საუბარიც სხვადასხვა აქტუალურ თემაზე შედგა.

– ბატონო ვალერი, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს?

– მოდი, დავიწყოთ იქიდან, რომ მოხდა ის, რასაც, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამბობდა – შუა გაიკრიფა. დარჩა ორი გუნდი – კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ყველა დანარჩენი პოლიტიკური ძალა პოლიტიკის მიღმა დარჩა. კარგია, თუ ცუდი ეს მოვლენა, ამის შესახებ შეფასებები სხვადასხვაგვარია. ჩემი აზრით, ეს არ არის კარგი. ვფიქრობ, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელიც საპარლამენტო უმცირესობას წარმოადგენს, საკმაოდ მაღალი – 40% ზე მეტი შეინარჩუნა იმიტომ, რომ ფლობდა სახელისუფლებო ბერკეტს, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“, ცხადია, გაიმარჯვა იმიტომ, რომ ჰქონდა დიდი კაპიტალი. შედეგად, მოხდა ის, რომ საზოგადოებას პოლიტიკური ცხოვრებისთვის არ დარჩა ადგილი. ეს ორი ძალა ამტკიცებს, რომ საზოგადოების ინტერესებს გამოხატავს. თუ რამდენად იქნებიან ისინი საზოგადოებრივი აზრისა და ინტერესების გამომხატველი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

– იმისათვის, რომ პარლამენტი იყოს მრავალპარტიული, ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ შესაძლოა, კოალიცია დაიშალოს. როგორ ფიქრობთ, ეს ხელოვნური პროცესი რამდენად ჯანსაღი იქნება?

– თქვენ ძალიან კარგი სიტყვა ახსენეთ – ხელოვნურობა. ხელოვნურობა არაფერში ვარგა, მით უმეტეს – პოლიტიკაში. ხელოვნურობა გულისხმობს, რომ პროცესი შეიცავს თამაშის ელემენტებს. რეალურად ეს ეტაპი ჩვენ გამოვლილი გვაქვს. საქართველოში არავითარი ოპოზიცია არ არსებობდა. არსებობდა ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელოვნურად იყო დაყოფილი ე.წ. ხელისუფლებად და ოპოზიციად. ამას შესანიშნავად ახერხებენ ამერიკელები, რომლებიც საქართველოში პროცესებს მართავენ. მათ ხუთი ძირითადი ბერკეტი უპყრიათ ხელთ და მათი მეშვეობით საზოგადოებას საკუთარ ნებასა და აზრს ახვევენ თავზე.

– კონკრეტულად, რომელ ბერკეტებს გულისხმობთ?

– როცა ამერიკელები ზოგ ქვეყანაში იარაღითა და ბომბებით შედიან, ეს სხვა ვითარებაა, მაგრამ როგორც ისინი საქართველოში არიან შემოსული, ასეთ შემთხვევაში, ქვეყნის სათავეში მოჰყავთ მათ მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლება, ნიშნავენ თავიანთ ოპოზიციას, ქმნიან და აფინანსებენ თავიანთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთლიანად მათ ინტერესებს ემსახურება მედიასაშუალებები (იშვიათი გამონაკლისების გარდა) და, რაღა თქმა უნდა, სპეცსამსახურები. ეს ხუთი ბერკეტი საათივით აწყობილად მუშაობს და აკეთებენ ყველაფერ იმას, რაც ამერიკელების ინტერესებში შედის. თუ ხელახლა შევქმნით ასეთ ვითარებას და კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელოვნურად დაიყოფა და ქართულ პოლიტიკურ სცენაზე თამაში გაჩაღდება, რა თქმა უნდა, ეს არ მოიტანს იმას, რაც გვინდა. ჩვენ გვინდა, რომ ქვეყანა იყოს დემოკრატიული, რომელიც ხალხის ინტერესების შესაბამის მმართველობას ნიშნავს; რეალურად ეს არ გვექნება. ავიღოთ ისეთი გლობალური საკითხი, როგორიც საქართველოს საგარეო ორიენტაციაა. ჩვენ 20 წელია, დეკლარირებული გვაქვს, რომ გვინდა, ვიყოთ დასავლეთის ნაწილი. უნდა გადავხედოთ ამ წლებს და გავაანალიზოთ, თუ რა მოგვიტანა ამ 20-წლიანმა დასავლეთისკენ ლტოლვამ. მივყავართ მას „სამოთხისკენ“, თუ პრობლემებს გვიქმნის და სერიოზული კატაკლიზმების წინაშე დგება ქვეყანა?

– ბატონო ვალერი, რეალურად ახალი ხელისუფლება ქვეყნის იმ საგარეო პოლიტიკურ კურსს იზიარებს, რომელსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ახორციელებდა, თუმცა, ამასთან, რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას ცდილობს. როგორ ფიქრობთ, ეს ორი კომპონენტი ერთად როგორ იმუშავებს?

– ისტორიის მოკლე მონაკვეთმა დაამტკიცა, რომ ამ ორი მომენტის ერთმანეთთან შეთავსება პრაქტიკულად შეუძლებელია. იმ განცხადებების შედეგად, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატოს წევრი, ვართ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორი და ა.შ., მივიღეთ სამ ნაწილად დაშლილი საქართველო, რომელიც ეკონომიკურად გაჩანაგებულია, რომლის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტიც საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვნელადაა გაქცეული და ყველანაირად დაშლილ-დაქსაქსულია ქვეყანა. ამ მიმართულებით სიარული და პარალელურად რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა, ჩემი აზრით, ერთ კონტექსტში ვერანაირად ვერ მოვა. აქ წინააღმდეგობა იმდენად სერიოზულია, რომ ჩვენს სტრატეგიულ მიმართულებაში სერიოზული კორექტივის შეტანის გარეშე რეალურად არაფერი გამოვა. საქართველოს დაშლის უკვე დაწყებული პროცესი გაგრძელდება და დაკარგულ ტერიტორიებს კიდევ მიემატება სხვა ტერიტორიები და კუთხეები. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს მტკივნეული ადგილები, ვგულისხმობ ჯავახეთს (ეს დასამალი არავისთვისაა) და ქვემო ქართლის რეგიონს. ამიტომ, თუ რუსეთთან მტრობის გზით ვივლით, მაშინ რუსეთიც გახდება ჩვენთვის მტერი და ის შეეცდება რეგიონში საკუთარი ინტერესების გატარებას. ამ კონკურენციაში ჩვენ, რა თქმა უნდა, დავმარცხდებით და ქვეყანას სერიოზულად დავაზიანებთ.

– რა კორექტივებს გულისხმობთ?

– მე და ჩემი თანამოაზრეები, რომლებიც ლამის „ჯვარს გვაცვეს“ იმ პოზიციის გამო, რომ რუსეთთან მტრობას მეგობრობა სჯობია, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე კარგი გამოსავალი ამ ვითარებიდან არის ნეიტრალიტეტი; არა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობა, არამედ ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსის მოპოვება და, ამავე დროს, ყველა მიმართულებით პარტნიორობა და თანამშრომლობა. ეს ეხება ამერიკასაც, რუსეთსაც, ევროპასაც, აზიის ქვეყნებსაც და ა. შ.

ნეიტრალიტეტი ითვალისწინებს არა მარტო ნატოში, არამედ ნებისმიერ სამხედრო ბლოკში გაწევრებაზე უარის თქმას, მაგრამ პარტნიორობა ნებისმიერი ჰუმანიტარული, კულტურული, ეკონომიკური და სხვა სახის ნეიტრალიტეტის პირობებში, ჩვეულებრივ, შესაძლებელია. სამწუხაროდ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა (მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ახალი შემოსული იყო ქართულ პოლიტიკაში), განაცხადა, რომ ის ნეიტრალიტეტს არ უჭერს მხარს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. პრემიერ-მინისტრმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში სპეციალურ წარმომადგენლად ბატონი ზურაბ აბაშიძე დანიშნა. რატომ არ დაავალა პრემიერმა, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ გამოეყო კონკრეტული პიროვნება, რომელიც იმუშავებდა ამ მიმართულებით? მე მაქვს ამ ფაქტის ჩემეული ახსნა (შესაძლოა, მცდარიც) – ივანიშვილი დასავლეთთან გარკვეულ ლავირებას ეწევა. დასავლეთთან პირდაპირ კონფრონტაციაში შესვლა რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად ვიცით. სადაც ფულით და მოსყიდვით არ გამოსდის, დასავლეთი იარაღით მუშაობს, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერაყი, იუგოსლავია, ავღანეთი, ეგვიპტე, სირია და ა.შ. ამიტომ ერთგვარი პოლიტიკური ხრიკი შეიძლება იყოს აბაშიძის დანიშვნა, რადგან ივანიშვილს რუსეთთან დაკავშირებით გარკვეული გეგმები შესაძლოა, ჰქონდეს, მაგრამ ეს ჯერ არ ვლინდება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებულია ე. წ. პროდასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსებით, შესაძლოა, ივანიშვილი ვერ ანდობდა საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელებას. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა დააბარა ბატონმა ივანიშვილმა ზურაბ აბაშიძეს პუტინისთვის და, ასევე, რა დააბარა პუტინმა კარასინს საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის?! ეს შესაძლოა, მხოლოდ მაშინ გავიგოთ, როცა ეს ოთხი ადამიანი მემუარების წერას დაიწყებს. ფაქტი ის არის, რომ გარკვეული მესიჯები არსებობს. ასეთ სიგნალად შეიძლება ჩავთვალოთ ივანიშვილის განცხადება, რომელიც მან გააკეთა ბაქოდან ყარსამდე სარკინიგზო მაგისტრალთან დაკავშირებით, როდესაც მან ეჭვქვეშ დააყენა ეს უზარმაზარი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის პროექტი. ამ განცხადებას რუსეთიდან პასუხი მოჰყვა – გახსოვთ, ალბათ, პუტინის პრესკონფერენცია.

მე ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, რომ ივანიშვილი და პუტინი რევოლუციურ აზროვნებას იწყებენ, სადაც ვგულისხმობ, რომ პუტინმა ფორმულა, რომელიც რუსეთს ჰქონდა საქართველოსთან მიმართებაში, რევოლუციურად შეცვალა. თუკი ადრე პუტინი და რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ კავკასიაში შეიქმნა ახალი რეალობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოების სახით და საქართველოს მოუწევს ამ რეალობისათვის ანგარიშის გაწევა, ახლა რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ სააკაშვილმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ჩიხში შეიყვანა. რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ამ აღიარებას იგი უკან არ წაიღებს, მაგრამ საქართველოსაც არ შეუძლია ეს რეალობა ცნოს – ჩემი აზრით, ეს ძალიან სერიოზული გზავნილია და სწორი მიდგომაა.

მიმაჩნია, რომ ამ ცვლილებებს რაღაც ფარული, არასაჯარო ფაქტორები განაპირობებს. ჩემთვის, პირადად, ეს დამაიმედებელია. თუ ჩვენ რუსეთის ინტერესების გათვალისწინება არ დავიწყეთ, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს დაშლა გარდაუვალია.

ქართველები ვაღიარებთ, რომ ამერიკას, რომელიც ოკეანის გაღმა არსებობს, საქართველოში ინტერესები უნდა ჰქონდეს და რუსეთს, რომელიც ჩვენი მეზობელია, ინტერესები არ უნდა ჰქონდეს კავკასიის რეგიონში – ეს აბსურდია. ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი და რუსეთის ინტერესების ჰარმონიზაცია.

ივანიშვილს მოუწევს კორექტივების შეტანა ან რუსეთთან ურთიერთობებში, ან აშშ-თან მიმართებაში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ ის გადაწყვეტს, რომ ჩვენს ჩრდილოთელ მეზობელთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა საქართველოსთვის პრიორიტეტულია, სააკაშვილზე მეტად ივანიშვილს წინააღმდეგობას საკუთარი პოლიტიკური გარემოცვა გაუწევს. შესაძლოა, სწორედ საკუთარი პოლიტიკური გუნდის წევრები გახდნენ პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური მესაფლავეები.

– ბატონო ვალერი, სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადასთან დაკავშირებით მინდა, გკითხოთ; როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებულია, რომ პრეზიდენტი 2013 წლის ოქტომბრამდე შეინარჩუნებს პოსტს?

– იანვარში სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციები დაიწყო. შეიძლება გადადგეს ის პრეზიდენტი, რომელსაც აქვს უფლებამოსილების ვადა, ხოლო პრეზიდენტი, რომელსაც ეს ვადა დაუმთავრდა, კი არ უნდა გადადგეს, არამედ, აიღოს თავისი ბარგი და დატოვოს თანამდებობა. კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის პრეზიდენტს ირჩევს 5 წლის ვადით. ჩვენ სააკაშვილი ავირჩიეთ 2008 წლის 5 იანვარს და მიმდინარე წლის 5 იანვარს მას უფლებამოსილების ვადა დაუმთავრდა. სააკაშვილმა კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვით, ეშმაკობითა და ძალადობით კონსტიტუციაში ჩაწერა სხვა ნორმა, რომლის მიხედვითაც, ახალი პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ 2013 წლის ოქტომბერში – ეს ხალხის ნების უგულებელყოფაა. ის აქციები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ გაიმართა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, ვფიქრობ, არანაირ შედეგს არ მოიტანს. სააკაშვილს 100 000-იანი მიტინგებიც უნახავს, მაგრამ არ დამორჩილებია ხალხის მოთხოვნებს. მან უნდა იგრძნოს ძალა. ამ ძალას ის იგრძნობს იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილის ნება იქნება. მთელი პრობლემა ის არის, რომ ამჟამად პრემიერ-მინისტრს ამის გაკეთება არ უნდა. ის ძალიან დიდ ზეწოლას განიცდის ამერიკელებისა და ევროპელებისგან.

– როგორ ფიქრობთ, რა ბედი ეწევა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ჩემი აზრით, ყველა პირობა შექმნილია იმისათვის, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, გასამართლდეს. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ეს ასე მარტივად შესაძლებელი არ იქნებოდა. იმედია, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისეთ საბედისწერო შეცდომებს არ დაუშვებს, რომლებიც საპარლამენტო უმცირესობას რევანშის საშუალებას მისცემს.

– ფიქრობთ, რომ მათ რევანშის ძალა შესწევთ?

– ცხადია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხალხის მხარდაჭერას ვერ მიიღებს და არჩევნების გზით საქართველოს ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება, მაგრამ ძალა შესწევს, მიიღოს დასავლეთის დახმარება (აქვს კიდეც ამერიკული რეაქციული ძალების მხარდაჭერა). ამიტომ, ვფიქრობ, რომ საშიშროება ჯერჯერობით მოხსნილი არ არის.

ესაუბრა ᲜᲐᲢᲐ ᲧᲘᲠᲔᲗᲘᲚᲘ

საქინფორმი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ალექსანდრე იაშვილი: საცხოვრებლად თბილისში უნდა დავბრუნდე

ალექსანდრე იაშვილი უკვე 16 წელია, გერმანიაში თამაშობს. "ბოხუმამდე" იგი "ლიუბეკის", "ფრაიბურგისა" და "კარლსრუეს" ღირსებას იცავდა. დღეისთვის 35 წლის ქართველი თავდამსხმელი "ბოხუმის" ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა. კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა მას ინტერვიუ ჩამოართვა და სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე გაესაუბრა.

– შარშან "კარლსრუეში" თამაშობდი, ახლა კი "ბოხუმის" ფეხბურთელი ხარ. რა განასხვავებს ამ ორ კლუბს?

– "ბოხუმს" უკეთესი შემსრულებლები ჰყავს და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გუნდის შედეგებზეც აისახება.

– და რატომ ვერ აღწევს "ბოხუმი" კარგ შედეგებს?

– ამას ბევრი მიზეზი აქვს. უპირველესად, იმას აღვნიშნავდი, რომ ხშირად იმ მატჩების მოგებასაც კი ვერ ვახერხებთ, სადაც აშკარა უპირატესობას ვფლობთ. როცა ნეგატიური შეხვედრები ერთმანეთს ებმის, ამ სიტუაციისთვის თავის დაღწევა ძალიან ძნელია.

– დეკემბერში "ბოხუმმა" ზედიზედ სამი ოფიციალური მატჩი მოიგო. შეგიძლია თქვა, რომ ეს გარდამტეხი მომენტია?

– დიდი იმედი მაქვს, რომ სწორედ ასეა. ფაქტია, რომ ბოლო დროს თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოვასწორეთ და წარმატებული სერიით ზამთრის პაუზას პოზიტიური განწყობით შევხვდით.

თუ ასე გავაგრძელებთ, აუტსაიდერთა რიგებს სულ მალე დავტოვებთ და გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. **"ბოხუმს"** შესწევს იმის ძალა, რომ მეორე ბუნდესლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას არ დასჯერდეს და ამაზე ბევრად მეტზე იფიქროს.

– "კარლსრუეს" მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნამ შენზე როგორ იმოქმედა?

– მე გუნდის კაპიტანი ვიყავი, ასე რომ, ეს ამბავი ჩემთვის ნამდვილი კატასტროფა იყო. **"კარლსრუეს"** გავარდნა გულშემატკივრების გამოც განვიცადე. იმის მიუხედავად, რომ მე-17 ადგილზე ვიყავით, ჩვენი 30-ათასიანი სტადიონი ყოველთვის ბოლომდე ივსებოდა. მოხარული ვარ, რომ ჩემი ყოფილი გუნდი ახლა აღმავლობის გზაზეა.

– შენი ოჯახი ახლაც კარლსრუეში ცხოვრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ იქ დაფუძნდები?

– საერთოდ, გადაწყვეტილი მაქვს, რომ საცხოვრებლად თბილისში უნდა დავბრუნდე. თუმცა ჩემი სამი შვილი სკოლაში გერმანიაში დადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი ოჯახი რამდენიმე წელიწადს აქ დარჩება.

– შენი საფეხბურთო მომავალი როგორ წარმოგიდგენია?

– **"ბოხუმთან"** ჩემი კონტრაქტი ზაფხულში იწურება. ჯერჯერობით, მთლიანად იმაზე ვარ კონცენტრირებული, რომ გუნდმა სეზონი ღირსეულად ჩაამთავროს. ამის შემდეგ კი კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები და ჩემს მომავალს განვიხილავთ. ხუთი წლის წინ ცოტა სხვანაირად ვფიქრობდი, ახლა კი მიმაჩნია, რომ კრიტიკულ ასაკში არ ვარ. ფეხბურთის თამაში ძველებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ეს კი იმის დამსახურებაა, რომ "ბოხუმში" იდეალური გარემოა შექმნილი.

მოდით, ჩემს მომავალზე აპრილში ან მაისში ვისაუბროთ.

– ესე იგი, არც 35 წლის ასაკში ხარ დარწმუნებული, რომ აქტიურ საფეხბურთო კარიერას მალე დაასრულებ?

– დიახ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს 2013 წელს მოხდება. ფეხბურთი ძალიან მიყვარს და შემრჩა იმდენი მოტივაცია, რომ ყველა ვარჯიშსა თუ თამაშზე მაქსიმალურად დავიხარჯო. თანაც, ტრავმა არ მაწუხებს და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ერთხელ **"ფრაიბურგში"** და ერთხელაც **"კარლსრუეში"** მძიმედ დავშავდი და მაშინ გაცდენილი დრო ახლაც მწარედ მახსოვს. ასე რომ, კარგად ვიცი, რა გემო აქვს ფეხბურთის თამაშს.

– ბოლო სამი მატჩი შეცვლაზე ჩაატარე. ამას როგორ უყურებ?

– ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია და მე მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ძალიან მიჭირს, რადგან ამას კარიერის განმავლობაში არასდროს ვყოფილვარ ჩვეული.

როცა ფორმაში ვიყავი, ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი და ჩემთვის თადარიგში ყოფნა სრულიად ახალი და უჩვეულო როლია.

თუმცა პოზიტივი ყველაფერში შეიძლება დაინახო და ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა. როგორც თავმოყვარე ფეხბურთელმა, ვალდებული ვარ, ყველას დავუმტკიცო, რომ სასტარტოში თამაშის ღირსი ვარ.

თუმცა როგორც კი შევატყობ, რომ ახალგაზრდებს კონკურენციას ვეღარ ვუწევ, ბრძოლას შევწყვეტ და სახლში წავალ.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი

პირველად მეგრულ ენაზე

აფხაზეთში მეგრულ და რუსულ ენებზე პირველად გამოიცა 2013 წლის ილუსტრირებული კალენდარი. ის გაზეთ **„გალის"** რედაქციის მუშაკთა ძალებით არის შედგენილი. ამის შესახებ **საქინფორმს აფხაზურმა მედიაკლუბმა „აინარმა"** და გაზეთმა **„გალმა"** აუწყა.

კალენდარში ასახულია ძირითადი ცნობები ძველი კოლხეთის, მეგრელი ხალხის კულტურისა და ენის ისტორიიდან. მეგრული ენა კავკასიის იაფეტურ ენათა ე.წ. ქართველურ ჯგუფს მიეკუთვნება. როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით ის ყველაზე ახლოს ლაზურ, ანუ ჭანურ ენასთან დგას და მასთან ერთად ქმნის იაფეტური ენების სიბილანტური შტოს სისინა ჯგუფს.

აფხაზეთში, 2003 წლის აღწერის მიხედვით, 44 ათასი მეგრელი და ქართველი (მათი უმრავლესობა მეგრულენოვანია) ცხოვრობდა, მათ შორის, გალის რაიონში – 28919 ადამიანი (რაიონის მოსახლეობის 99%), ტყვარჩელის რაიონში – 8155 ადამიანი (55%). რუსეთში, 2010 წლის აღწერის მიხედვით, მეგრულ ენაზე 1529 ადამიანი ლაპარაკობდა.

1926 წლამდე მოსახლეობის აღწერის დროს მეგრელები მეგრელებად ეწერებოდნენ, მეგრული ენა, ძირითადად, ფუნქციონირებს როგორც ურთიერთობის ზეპირი საშუალება. ძირითად ლიტერატურულ და დამწერლობის ენად ქართული გამოიყენება, რომელსაც მატარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ფლობს. მეგრელებისთვის დამწერლობის ენად კირილიცას შემოღების მცდელობებს ადგილი ჰქონდა 1860-იან წლებში. პირველი მეგრული გრამატიკის შემდგენელი რუსი პედაგოგი მიხაილ ზავადსკი გახლდათ. 1920-იანი წლებიდან რეგულარულად გამოიყენებოდა ქართული ანბანი (რამდენიმე დამატებითი ასოთი), გამოდიოდა რამდენიმე გაზეთი. ეს ყველაფერი 1938 წელს შეწყდა.

მას შემდეგ დამწერლობა მხოლოდ პირად მიმოწერაში გამოიყენებოდა. მხოლოდ 1990-იან წლებში გამოჩნდა რამდენიმე წიგნი მეგრულ ენაზე (ძირითადად, ლექსიკონები და პოეტური კრებულები). აფხაზეთში ამჟამად გამოდის გაზეთი **„გალი"** აფხაზურ, რუსულ და მეგრულ ენებზე.

საქინფორმი

იუმორი

ცოლი ეკითხება მიხოს:

– მრავალფეროვნება რას ნიშნავს?

– ეს ნიშნავს მაკასა, ზოიასა, ირასა, ელიკოსა...

– გასაგებია! ესე იგი – ვასო, პეტრე, ივანე...

– დედაკაცო, შენა მრავალფეროვნებას ბოზობაში ნუ ურევ!

* * *

– რაში გედებათ ბრალი? – ეკითხება ეჭვმიტანილს გამომძიებელი.

– მაღაზიაში ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ავიღე.

– კი მაგრამ, ამაში კანონსაწინააღმდეგო ხომ არაფერია?

– საქმე იმაშია, ბატონო გამომძიებელო, რომ ეს მაღაზიის გაღებამდე გავაკეთე.

* * *

– შენმა გარდაცვლილმა ქმარმა რომ გაიგოს მისი გარდაცვალებიდან ერთ თვეში საყვარელი გაიჩინე, საფლავში გადატრიალდება, – ეუბნება მეგობარი ქვრივ ქალს.

– რაცხა, ეჭვი მეპარება, – საფლავში კი არა, საწოლში ძლივს ვაბრუნებდი, ჩამექცა თირკმელები...

* * *

– არ ვიცი, როგორ შევატყობინო მშობლებს, ქმარს რომ გავშორდი.

– გეშინია?

– აბა რა! მაგათ არც კი იციან, რომ გათხოვილი ვიყავი!

* * *

წიგნის ბაზრობაზე ჭიჭიკია ეკითხება გამყიდველს:

– რა ღირს ეს წიგნები?

– ერთი – 25, მეორე კი 50 ლარი.

– კი მაგრამ, ისინი ხომ ზუსტად ერთნაირებია, რაშია განსხვავება?

– ფასში, ბატონო, ფასში!

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge